გაზეთი ბევრის, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№49 (805) 1 – 2 მაისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

დავით საგანელიძე: „სააკაშვილი პარლამენტში უნდა მობრძანდეს და ყველა კითხვაზე გვიპასუხოს!“

გვ. 3

გვ. 5

ხათუნა ლაგაზიძე

„ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ფონია – ქართველებს სულ 23 წელი დაგვქირდა, დასავლეთის სიყვარული გაგვნელებოდა და ჩვენს მიერ შექმნილი ერთი მითიდან, მეორე უკიდურესობაში ვვარდებით!“

გიორგი თარგამაძე: „თუ ივანიშვილი პრინციპული კაცია, დაგვანახოს თავისი თანმიმდევრულობა და თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ...“

გვ. 10

გვ. 9

„ან რუსები საქართველოში ვითარების არევას ცდილობდნენ ან საქართველოს ხელისუფლება გრუს-თან იყო შეკრული!“

როგორ აღმოჩნდა ბერეზოვსკის დაქირავებული ქილერი ლონდონიდან პანკისში და რა ვერსიები აქვს ლაფანყურის ოპერაციაზე მამუკა არეშიძეს

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

გვ. 3

რატომ ითხოვენ „ყაზტრანსგაზთბილისის“ ყაზახი მფლობელები სამთავრობო კომისიის შექმნას?

რატომ გაიზარდა გაკოტრების რეჟიმში მყოფი კომპანიის დავალიანება 20 000 000 დარიდან 40 000 000 დოლარამდე და რა დარღვევები უნდა შეისწავლოს კომისიამ?

გვ. 6

„ეს ფერმერისა და გლეხისთვის დიდი შეღავათია!“

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

„საქართველოს ბანკი“ რამდენიმე ათეული მილიონი დარის ოდენობის აგროსესხს გასცემს

გვ. 8

საინგილო გუშინ, დღეს... მაგრამ ხვალ?!

გვ. 13

„კერძო იპოთეკარების კორუფციულ გარიგებებს პარლამენტარები მფარველობენ“

რა სკანდალური სიების გამოქვეყნებას აპირებენ იპოთეკური სესხებით დაზარალებული მოშიმშილეები

გვ. 11

კონსტანტინ ლებედევი რუსულ აქციებში გივი თარგამაძის მონაწილეობას იხსენებს

მოსკოვში, „ბალოტნაიას მოედანზე“ მასობრივი აქციების ორგანიზატორი კონსტანტინ ლებედევი რუსულ „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ არეულობის ორგანიზება სერგეი უდალცოვთან, ლეონიდ რაზვოზჟაევთან და გივი თარგამაძესთან ერთად დაგეგმა.

მისივე განცხადებით, სასამართლოში ჩვენების მიცემისას აღიარა, რომ იმავე ადამიანებთან ერთად, მომავალშიც გეგმავდა მასობრივი არეულობების მომზადებას.

„ჩვენ მემარცხენე პარტიის შექმნას ვფიქრობდით. ყოველ შემთხვევაში, ამაზე საუბრობდა თარგამაძე და საბოლოოდ, სახელისუფლო ორგანოში შესვლას ვგეგმავდით“, — აღნიშნა ლებედევმა რუსულ გამოცემასთან საუბრისას.

მისივე თქმით, ქართველი დეპუტატი 2005 წელს უკრაინაში, „მაიდანზე“ გააცნეს, როგორც ერთ-ერთი მოძრაობის სპონსორი და მასწავლებელი. **„გაწეული სამსახურისთვის თარგამაძისგან პირველად ფული 2006 წელს ბელორუსში მივიღე. ადგილობრივი აქტივისტების მუშაობას ვაკვირდებოდი. ადვილი დავალება მქონდა – უნდა შემემოწმებინა გააკრეს თუ არა პლაკატები, რამდენი ადამიანი მივიდა რეალურად აქციაზე, ინსტრუქციები გამეცა“,** — აცხადებს ლებედევი.

პირველი თანხები კი, გივი თარგამაძისგან რუსეთში ლებედევის მიერ შექმნილი მოძრაობა Смена-ს მეშვეობით შევიდა. ლებედევის თქმით, ეს ორგანიზაცია საქართველოსა და ევროპის არაოფიციალური გრანტებით არსებობდა.

რაც შეეხება უდალცოვისა და თარგამაძის ურთიერთობას, ლებედევი აცხადებს, რომ მათი გაცნობა ქართველი დეპუტატის ინიციატივით მოხდა.

„2011 წელს, როცა სათათბიროს არჩევნების შემდეგ პროტესტი დაიწყო, თარგამაძე ძალიან აღფრთოვანდა. მეუბნებოდა, უდალცოვი ძალიან მომწონსო. ის ნავალნიზეც მეკითხებოდა, თუმცა ვუთხარი, რომ ნავალნი ამაზე არ წავიდოდა“, — აცხადებს ლებედევი.

როგორც ლებედევი რუსულ „კომერსანტთან“ აცხადებს, სამეული – უდალცოვი, რაზვოზჟაევი და ლებედევი – თარგამაძეს სამჯერ შეხვდა. პირველად ეს მინსკში, 2012 წლის მარტში მოხდა, მეორეჯერ ივნისში, მესამეჯერ კი — აგვისტოში. ლებედევის განცხადებით, ბოლო შეხვედრის დროს მანქანის საჭეს ლიტვაში საქართველოს ელჩი მართავდა, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იყო.

„კომერსანტთან“ ინტერვიუში, ლებედევი აცხადებს, რომ გივი თარგამაძესთან ერთად განიხილავდნენ ტრანსციმბირული მაგისტრალის აფეთქების ვარიანტს. გარდა ამისა, მისივე თქმით, ქართული მხარე ასევე სთავაზობდა მათ პუტინის გამოსახულებიანი საჰაერო ბურთის გაშვებას და მისთვის იარაღის სროლას, კადიროვის დაცვის პროვოცირებას მისი კორტეჟისთვის გზის გადაკეტვით, ავტობუსებით დატვირთული სატვირთოების გატაცებას ან დაქირავებას და მიტინგების დროს მათი მეშვეობით პოლიციისგან თავის დაცვას.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს შეიარაღებული ძალების 22 წლისთავი ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე

ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე საქართველოს შეიარაღებული ძალების დაარსების 22 წლისთავთან დაკავშირებით, საჩვენებელი საველე-ტაქტიკურ სწავლება — „ისარი 013“ გაიმართა, რომელსაც თავდაცვის მინისტრთან ერთად, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და მთავრობის სხვა წევრებიც ესწრებოდნენ.



სარა უილიამსონი ახალ ხელისუფლებას წინა მთავრობის რეფორმების დაფასებას ურჩევს

როგორც უილიამსონმა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სემინარზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ეს ქვეყანას მხოლოდ წინ წაიყვანს და ამით საქართველო დასავლეთსაც კარგ მაგალითს მისცემს. უილიამსონმა საქართველოში წლების წინ არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ გზებიც კი სავალალო მდგომარეობაში იყო.

„თუ საქართველოს უნდა, დაიმკვიდროს სატრანზიტო ქვეყნის პოზიცია, ამისთვის მნიშვნელოვანია ლოჯისტიკა. ბიზნესისთვის რისკის ფაქტორები გაქრა, გადასახადების ოდენობა შემცირდა, ამოღება კი გაიზარდა, ეს რეფორმების წარმატებაზე მიუთითებს. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 6,6%-ით გაიზარდა, ქვეყანამ კი ბიზნესის კეთების სიმარტივით მოწინავე ქვეყნების რიგებში გადაინაცვლა, თუმცა გარკვეული რისკები მაინც არსებობს“, — აღნიშნა უილიამსონმა.

მისი თქმით, წინა წლების განმავლობაში არსებობდა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ გადასახადები, ცალკეულ შემთხვევებში, გამოყენებული იყო შერჩევითაც, ასევე არსებობდა არასანდო სასამართლო სისტემა, განსაკუთრებით, საგადასახადო დავებთან დაკავშირებით, რადგან ცოტა მოსამართლეს ჰქონდა შესაბამისი გამოცდილება.

„ხელისუფლების ცვლილება იყო ერთდროულად შეშფოთებისა და იმედის საგანიც. შეშფოთების იმიტომ, რომ ცვლილებას ეს ყოველთვის მისდევს, თანაც საქართველოს კოჰაბიტაციის გამოცდილება არ გააჩნდა. იყო შფოთვა იმასთან დაკავშირებით, ხომ არ შეიცვლებოდა გატარებული რეფორმები. რაც შეეხება იმედებს, გაჩნდა იმედი, რომ შეიქმნებოდა უფრო მტკიცე და დემოკრატიული სისტემა ქვეყანაში. ხელისუფლების ცვლილება მშვიდი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დღევანდელი გადასახედიდან კოჰაბიტაცია თითქოს მუშაობს, იმის მიუხედავად, რომ ხშირად ისმის მწვავე ურთიერთკრიტიკა“, — განაცხადა სარა უილიამსონმა.

მისივე თქმით, ახალი ხელისუფლება მნიშვნელობას ანიჭებს კანონის უზენაესობასა და გამჭვირვალობას, თუმცა რეფორმები, რომლებიც წინა ხელისუფლების პერიოდში გატარდა, ძალიან ხელშესახები იყო.

„ჩვენ ჩართულები ვიყავით შრომის კოდექსზე მუშაობის პროცესში, არავინ ფიქრობს, რომ ეს შესანიშნავი კანონია, თუმცა საბოლოო ჯამში, ალბათ, ცუდი არ იქნება. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მცდელობას, რუსეთის ბაზარი ყველასთვის ძალიან საინტერესოა, თუმცა ბიზნესმენები მას მთლიანად არ უნდა დაეყრდნონ. რუსეთს არაფერი გაუკეთებია იმის საჩვენებლად, რომ საიმედო პარტნიორია. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, ახლანდელმა მთავრობამ დააფასოს წინა ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, ეს მხოლოდ წინ წაიყვანს ქვეყანას და ამით საქართველო დასავლეთსაც კარგ მაგალითს მისცემს“, — აღნიშნა სარა უილიამსონმა.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

გალში ლიკვიდირებული შეიარაღებული პირი ამნისტირებული ქართველი პატიმარია

smo.ge ავრცელებს ინფორმაციას, რომ ოკუპირებული აფხაზეთის დეფაქტო შსს-ს სპეცრაზმის მიერ გალში ლიკვიდირებული ყაჩაღური ჯგუფის წევრი ამნისტირებული ქართველი პატიმარია. მედიასაშუალება, თვითმხილველებზე დაყრდნობით, ასახელებს გარდაცვლილის ვინაობასაც.

„მთელი ღამე ძლიერი სროლა იყო სოფელში. ძალიან შეგვეშინდა. თითქმის არც გვიძინია. დილით გავიგეთ, რომ სპეცრაზმმა ერთ-ერთი ყაჩაღი მოკლა, ერთი კი დაჭრილია. როგორც სოფელში ამბობენ, ვიღაც სანაია აღმოჩნდა სოფელ სიდადან, რომელიც იანვარში გაათავისუფლეს ციხიდან. დაჭრილის ვინაობა უცნობია“, — აცხადებს smo.ge-სთან საუბარში სოფელ ქვემო ბარღების მკვიდრი მურმან ჯ.

აფხაზური წყაროების ინფორმაციით, გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებში შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა სპეცრაზმებმა ერთ-ერთი ბანდიტური დაჯგუფების წევრი მოკლეს, ხოლო ამავე დაჯგუფების 7 წევრი დაკავებულია. დაჯგუფება გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში მოქმედებდა.

„ნიუპოსტს“

დავით საგანელიძე: „სააკაშვილი პარლამენტში უნდა მობრძანდეს და ყველა კითხვაზე გვიპასუხოს!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პრეზიდენტი სააკაშვილი პარლამენტში მისვლას აღარ აპირებს. როგორც საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ მას ამჟამად, ძალიან უჭირს და იმ კითხვების ეშინია, რომელზეც მოუწევს, პასუხი აგოს. საპარლამენტო უმრავლესობის თავმჯდომარე დავით საგანელიძე, „ვერსიასთან“ საუბარში, შუალედური არჩევნების შედეგებსაც აჯამებს და საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ინტერფრაქციულ ჯგუფთან დაკავშირებით დაგროვილ კითხვებსაც პასუხობს.

— ბატონო დავით, შუალედური არჩევნების შეფასებისას, საინტერესოა, რა იცოდით სამივე ოლქის შედეგები არჩევნების დასრულებისთანავე?

— გულთმისანი ვარ! ეს მონაცემები უბანზე დამკვირვებლებისგან, კოორდინატორებისა და აგიტატორებისგან მქონდა. არავისთვის არაფერი მომილოცავს, ისე გადმოვეცი ის განწყობა, რაც საარჩევნო უბნებზე იყო და როგორ, იმის უფლებაც არ მაქვს, განწყობაზე ვისაუბრო?! არც ისეთი სულელი პოლიტიკოსი ვარ, რასაც წინა ხელისუფლებას ვაბრალებდი, თავად გავაკეთო — ყველამ იცის, რომ ნაციონალები შედეგებს წინასწარ აჯამებდნენ, წერდნენ და მერე ერთმანეთს ულოცავდნენ. ახლა კი, მსგავსი რომ ვერაფერი ნახეს, ამაზე გამომეკიდნენ? არადა, ორი მინისტრი ერთ-ერთ ოლქში მხარდასაჭერად ჩასვლას აპირებდა. თავიანთი მანქანით იყვნენ და ერთ-ერთი მათგანი თავად იჯდა საჭესთან, თუმცა როცა რაიონში ჩავიდნენ, მოითათბირეს და იმის მიუხედავად, რომ კანონით მხარდაჭერის უფლება ჰქონდათ, ხალხთან მაინც აღარ გამოჩნდნენ.

— ანუ კალაძემ შეიკავა თავი სამტრედიაში გამოჩენისგან?

— გვარებს რა მნიშვნელობა აქვს, ამით იმის თქმა მინდა, რომ მინისტრს ამის უფლება ჰქონდა, მაგრამ ეს თემაც სალაპარაკო რომ არ გამხდარიყო, ამომრჩეველთან არ გასულა. აქ სამწუხარო ის იყო, რომ ჩვენი კონკურენტი ძალები დადიოდნენ და ამბობდნენ, ჩვენ ვართ „ოცნებიდან“ დასახელებული და ივანიშვილს ჩვენ წარმოვადგენთო.

— ინტერფრაქციულ ჯგუფზე გკითხავთ, რომელიც საარჩევნო კოდექსზე მუშაობს: რატომ ხვდებიან ერთმანეთს მხოლოდ „ოცნება“ და ნაციონალები, დანარჩენი პარტიების სახელს კი საჯაროდ იყენებენ — ეს ფორმატი ჩავარდა?

— არა, არ ჩავარდნილა. მაინტერესებს, რომელი პარტიის წარმომადგენელი მოვიდა და არ მოუშვეს, ან რა შემოგვთავაზა ჭკვიანური და არ მოვუსმინეთ? ბიომეტრია თუ ვინმეს არ აწყობს, ეს სწორედ ხელისუფლებაა, რადგან გაყალბების ერთ-ერთ მექანიზმს კარგავს, ჩვენ კი პირიქით, სწორედ ამ მეთოდის დამკვიდრება გვინდა. რასაც ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნის დროს ვამბობდით, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ხელისუფლებაში ვართ, ზუსტად იგივე აზრზე ვრჩებით. ამ 4 წლის განმავლობაში, ჩემს უპირველეს ამოცანად მიმაჩნია, ისე არ წავიდე პოლიტიკიდან, ქვეყანაში ჩემმა გუნდმა კარგი და გამართული საარჩევნო კოდექსი არ დატოვოს!

— ამ კუთხით, ჯერ წინ არ წაგიწევიათ!

— ასეა, სამწუხაროდ, წინ ვერ წავედით. რაც სათავეში მოვედით, ბევრი მნიშვნელოვანი, გადადებული საკითხი დაგვანცა კისერზე. მმართველი გუნდი გადაწყვეტილებებს მარტო არ იღებს, მაგრამ ყველას მოსმენა და ყველას აზრის გათვალისწინება ერთბაშად არ გამოდის. არც ჩვენ გვინდა, თავად გადავწყვიტოთ ყველაფერი. თუმცა ყველა კმაყოფილი მაინც ვერ იქნება, ვიღაც გამოხტება და იტყვის, ეს არ მომწონს, ის არ მომწონსო, რათა არჩევნებში საკუთარი მარცხი ამით გაამართლოს.

— მთავარია, კოდექსისა და კონსტიტუციისა შეცვლა საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოასწროთ, რათა უფლებრივად მეორე სააკაშვილი არ მივიღოთ ივანიშვილის სახით. თუმცა ითქვა, რომ საკონსტიტუციო კომისია მხოლოდ ნოემბერში ანუ არჩევნების შემდეგ ამოქმედდება, რატომ?

— საკონსტიტუციო კომისიის შექნაზე, ალბათ, ძალიან მალე უნდა ვიფიქროთ. უნდა შეიქმნას ისეთი კომისია, რომელიც მთელ რიგ მიმართულებებზე იმუშავებს და რომლის თავმჯდომარეც ხალხისთვის მისაღები იქნება. აქ მეორე თემაცაა — კონსტიტუცია ძალიან მალეც ვერ დაიწერება. საპრეზიდენტო არჩევნებამდე კიდევაა მასში ისეთი მუხლები, რაც გასწორებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკანონმდებლო ვაკუუმში ვექცევით. წლის ბოლომდე, ალბათ, რამდენიმე მუხლში ცვლილების შეტანა კიდევ დაგვჭირდება.

— მანამდე ისაა საინტერესო, სასამართლო რეფორმის თემაზე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა რატომ გადაიფიქრეთ?

— აქაც ორი საკითხია, რასაც პრეზიდენტმა ვეტო დაადო. ეტყობა, მას თავად ვეტოს დადების პროცესი მოსწონს, რადგან ამით დროს აჭიანურებს, თორემ ამ ვეტოს დაძლევის ძალა რომ აქვს პარლამენტს, სააკაშვილმაც იცის და საზოგადოებამაც. ვეტოს მოხსნისთვის 89 ხმა გვჭირდება, რაც ნამდვილად გვაქვს. აქ საუბარია სასამართლოს დაკომპლექტების წესზე, რასაც დღის წესრიგში აუცილებლად დავაყენებთ, რადგან ამ საკითხზე ყველას აზრი ვიცით. მეორე თემა კი ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღებაა და არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა, ეს ისეთი საჩქარო და აქტუალურიც არ არის. ამაზე ხუთშაბათსაც ვიმსჯელებთ უმრავლესობის სხდომაზე და ჩამოვყალიბდებით.

— ამ დღეებში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომებს ესწრებით. სწორედ ნატო-ს, ყველაზე დიდი ანტიტერორისტული ორგანიზაციის სხდომების წინ, რას ნიშნავს პრემიერის განცხადება, რომ საქართველოს მთავრობა ტერორისტებს მფარველობს?

— მიმაჩნია, რომ პრემიერის განცხადება სწორედაც დროულია! მოდი, იმაზე ვისაუბროთ, რატომ ველოდებით ამდენ ხანს ნატოში შესვლას, რომლის კარი ჩვენთვის დაიკეტა და რაღაც ბარიერებიც ვერ გადავლახეთ?! ვწუხვარ, რაც უნდა ვთქვა იმის გამო, მაგრამ ეს ყველაფერი ძველი ხელისუფლების იმ ტყუილების ბრალია, რასაც უცხოეთს უყვებოდა.

დასასრული მე-4 გვერდზე

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

SECURITY POLICE 125

SECURITY POLICE 125

www.125.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-იდან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

ვადა: 12 თვე

გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24 საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).

ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;

ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

ბრაიენ ვაითმორი: „დღეს ნაციონალური მოძრაობა ძლიერი ძალის აჩრდილს წარმოადგენს“

სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ქართული პოლიტიკის სათავეში დაახლოებით, ათი წლის განმავლობაში იმყოფებოდა, მაგრამ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ კოალიციასთან დამარცხებიდან ექვსი თვის შემდეგ, ისინი წარმოადგენენ იმ ძლიერი ძალის აჩრდილს, რომელსაც ერთ დროს გააჩნდა იმის ამბიცია, რომ განეხორციელებინა სამხრეთ კავკასიის ამ ცვალებადი სახელმწიფოს ტრანსფორმაციული მოდერნიზაცია, — ამის შესახებ ბრაიენ ვაითმორი რადიო „თავისუფლების“ ბიუროს სტატიაში წერს.

ამის დამამტკიცებელ საბუთად ავტორს 19 აპრილის ანტისამთავრობო დემონსტრაცია მოჰყავს, სადაც, მისი შეფასებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ეცადა, მეგობრებისა და მტრებისთვის ეჩვენებინა, რომ კვლავ ანგარიშგასაწევი ძალა იყო.

„ჭორები ჩვენი გარდაცვალების შესახებ გაზვიადებულია“, — განაცხადა ტრიბუნიდან პარტიის საპარლამენტო ოპოზიციის ხელმძღვანელმა დავით ბაქრაძემ. თუმცა, როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, ამ მიტინგმა აჩვენა პარტიის მოსალოდნელი პოლიტიკური უძლურება. მარინა მუსხელიშვილი, თბილისში არსებული სოციალური კვლევების ცენტრის დირექტორი ამბობს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაიზიარებს იმავე ბედს, რასაც ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევადნაძის „მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც დაიშალა 2003 წელს ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ. **„არსებობდა შემდეგი სახის ტენდენცია — მმართველი ძალა ხელისუფლებაშია და ამიტომაცაა პარტია ძლიერი“,** — ამბობს მუსხელიშვილი. **„როგორც კი პარტია კარგავს ძალას, ის იშლება. ეს მოხდა მმართველი პარტიების შემთხვევაში და ეს მოელის ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“,** — წერს ბრაიენ ვაითმორი.

სტატიის ავტორს მოჰყავს ნაცმოძრაობის ლიდერების განცხადება, რომ მიტინგი უდიდესი წარმატება იყო და მას 10 000 ადამიანი დაესწრო. **„მაგრამ, მიტინგის თვითმხილველები ამბობენ, რომ სინამდვილეში, დამსწრეთა რაოდენობა ზემოთ ხსენებული ციფრის ნახევარიღა თუ იყო. კრიტიკოსების თქმით, დამსწრეების უმრავლესობას წარმოადგენდნენ მამაკაცები, ახალგაზრდების მცირე ჯგუფი და დამსწრეების უმრავლესობა მობილიზებულ იქნა რეგიონებში, რომლებიც ძირითადად, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩამოიყვანა ავტობუსებით,. უფრო მეტიც, მიტინგიდან ზუსტად ერთი დღის შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის ახალმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მოწონების მაჩვენებელმა ძლივს მიაღწია ორციფრიან ინდექსს. გამოკითხვის თანახმად, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერონულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა ჩაატარა და გამოაქვეყნა 22 აპრილს, ქართველი ამომრჩევლების მხოლოდ 10-მა პროცენტმა დაასახელა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, როგორც მათთვის მისაღები პარტია, ხოლო 60 პროცენტზე მეტმა გამოკითხულმა, მათთვის მისაღებ პარტიად „ქართული ოცნების“ კოალიცია დაასახელა“,** — აღნიშნავს სტატიის ავტორი.

ის ხაზს უსვამს ასევე კვლევის იმ ნაწილს, სადაც 63 პროცენტი დადებითად აფასებს ივანიშვილის, როგორც პრემიერ-მინისტრის საქმიანობას, ხოლო სააკაშვილის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 15 პროცენტს უდრის.

„გამოკითხვამ აჩვენა, რომ ხალხი გაცილებით მეტად ენდობა „ქართულ ოცნებას“, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობას ყველა ძირითად საკითხთან მიმართებაში, შრომით დაწყებული, დამთავრებული ეკონომიკითა და სამართლის დაცვით. ეროვნული უსაფრთხოების საკითხებშიც კი, რომელიც ტრადიციულად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ძლიერ მხარედ ითვლებოდა, საზოგადოების უმრავლესობა უპირატესობას „ქართულ ოცნებას“ ანიჭებს. რუსეთთან ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებითაც, მმართველი კოალიცია ამარცხებს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 68:4 მაჩვენებლით. ხოლო ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში, „ქართულ ოცნებას“ მხარს უჭერს 54%, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი — 9%“, — წერს ბრაიენ ვაითმორი.

თბილისში რუსეთის ფედერაციის საელჩოს შენობის რემონტი დაიწყო

თბილისში რუსეთის ფედერაციის საელჩოს შენობის რემონტი დაიწყო. მუშები შენობის გარეპერიმეტრზე ხარაჩოებს ამონტაჟებენ. როგორც მშენებლებმა „პირველი რადიოს“ კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადეს, სარემონტო სამუშაოები შენობის, როგორც გარე ასევე შიდაპერიმეტრზე იგეგმება. რადგან ოფიციალურად, რუსეთის საელჩო საქართველოში დახურულია, მაშინ ვისი დაკვეთით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები? ამ კითხვაზე არც მშენებლებს და არც დაცვის სამსახურს პასუხი არ აქვს. ამ დროისთვის, მიმდინარეობს მხოლოდ რუსეთის საელჩოს ყოფილი შენობის სარემონტო სამუშაოები, საკონსულო სამსახურის შენობაში კი იქ, სადაც შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციაა განლაგებული, დიპლომატები მუშაობენ.

„პირველი რადიო“

სამართალდამცავებმა ქართველი ძებნილი დააკავეს

ჩეხეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა საქართველოს მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი, 1955 წელს დაბადებული ზურაბ ნადირაძე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნულმა პირმა 1994 წელს თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა გიორგი ქოიავა, გრიგოლ ნატროშვილი, გიორგი კირკიტაშვილი და იოსებ ქოიავა, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ზურაბ ნადირაძე იმავე წელს ძებნილად გამოცხადდა, 2000 წლიდან კი ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით იძებნებოდა.

ჩეხეთის პოლიციამ ძებნილი არაერთხელ დააკავა, თუმცა სასამართლო ექსტრადიციის მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა. ამჯერად ექსტრადიციის საკითხი ჩეხეთის იუსტიციის მინისტრმა დადებითად გადაწყვიტა. ზურაბ ნადირაძის ქართული მხარისთვის გადმოცემა უახლოეს პერიოდში მოხდება.

„ინტერპრესნიუსი“

რუსეთში ნარკოდანაშაულის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეები დააკავეს

რუსეთის ქალაქ როსტოვში სამართალდამცველებმა საქართველოსა და აზერბაიჯანის 7 მოქალაქე დააკავეს ნარკოდანაშაულის ბრალდებით.

როგორც აზერბაიჯანული მედია, როსტოვის სამართალდამცავ ორგანოზე დაყრდნობით იუწყება, დაკავებულთაგან 3 აზერბაიჯანელია, ხოლო 4 – საქართველოს მოქალაქე. რუსეთის საგამოძიებო უწყებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებულები ორ დანაშაულებრივ ჯგუფში ერთიანდებოდნენ, რომლებიც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ნარკოტიკების ტრაფიკს ახორციელებდნენ.

გამოძიების მტკიცებით, დაკავებისას აღნიშნულ პირებს თან დიდი რაოდენობით (თითოეულს 3-დან 8 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი აღმოაჩნდათ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ ჯერჯერობით, ამ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობენ. საგარეო უწყებაში „ნეტგაზეთს“ რუსული საგამოძიებო უწყების მიერ გავრცელებული ცნობის გადამოწმებას დაპირდნენ.

„ნეტგაზეთი“

დავით საგანელიძე: „სააკაშვილი პარლამენტში უნდა მობრძანდეს და ყველა კითხვაზე გვიპასუხოს!“

მე-3 გვერდიდან

ამის ფონზე, სწორედაც რომ იყო ეჭვები ამ ტერორისტულ მოძრაობებთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან და ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილმა კი არ გააჟღერა პირველმა, ამაზე უცხოეთშიც ბევრი ითქვა და დაიწერა. ახლა სირაქლემას პოზის დაჭერა და იმის მტკიცება, როგორ გეკადრებათ, ჩვენთან მსგავსი არაფერი ხდებაო, არასწორია. პირიქით, თუ არის რამე ისეთი, რაც ქვეყანაში ხდებოდა და არ უნდა მომხდარიყო, ეს უნდა გადავამოწმოთ. ღმერთმა არ ქნას, ტერორისტულ საქმიანობას ჩვენთან ვინმე ეწეოდეს, მაგრამ თუ ეწევა, ისიც ნახოს მსოფლიომ, რომ ჩვენ თავად ვართ ამ საკითხის შესწავლის ინიციატორები! თუ ასეთი რამ ხდება, სჯობს, დავმალოთ? დავუშვათ, 0,1%-ით, რომ ტერორისტული მოძრაობა ქვეყანაში მართლაა, დავმალოთ და არ ვთქვათ, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ამ მოძრაობაში იყო ჩართული?! პირიქით, უნდა ვთქვათ, რომ შეგვეშალა. როცა საერთაშორისო თანამეგობრობას სიმართლეს ეუბნები, ეს ყველაზე კარგი მაგალითია იმისა, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო!

— და რას მოგვიტანს ეს „გულწრფელობა“ — ნატო-სთან დაგვაახლოებს თუ უფრო დაგვაშორებს?

— მხოლოდ დაგვაახლოებს! ალიანსში ვინ შეგიშვებს ტყუილებით?! ამიტომ თუ რამე ხდება, მოდი, ჯერ ჩვენს ოჯახში ვაღიაროთ, რომ პრობლემა გვქონდა, ბოდიში მოვიხადოთ, ვთქვათ, რომ ამას აღარასოდეს გავაკეთებთ! რაკი პატარა ეჭვი გაჩნდა, გავხსნათ ყველა კარი, ფანჯარა და ყველამ ყველაფერი შეამოწმოს!

— უკაცრავად, „პატარა ეჭვი“ პრემიერ-მინისტრის ნათქვამი ვერ იქნება, ეს პოლიტიკური განცხადებაა!

— მით უმეტეს, სწორედ მისი ნათქვამია საინტერესო. აბა, ისე ეჭვების გამოთქმა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის არაფერს ნიშნავს, თუ ამაზე პირველმა პირებმა არ გაამახვილეს ყურადღება. სახელმწიფომ უნდა დააფიქსიროს პოზიცია — თუ არსებობს რაიმე დაშვება, შევისწავლოთ და ვინც დასასჯელია, დავსაჯოთო!

— ახლა 0,1%-ით ისიც დავუშვათ, რომ რუსეთმა კიდევ ერთხელ განახორციელა სამხედრო აგრესია საქართველოზე და თქვა, რომ ეს სწორედ ამ განცხადების საფუძველზე, ტერორისტების წინააღმდეგ მიმართული შეტევა იყო?

— რუსეთი ამას ვერ გააკეთებს, რადგან სახელმწიფომ თავად თქვა, ეს პრობლემა მაქვსო! პირიქით, როცა რაღაცას მალავ, რუსეთი მაშინ შემოიჭრება ეჭვების საფუძველზე, რათა გადაამოწმოს. როცა ამბობ, მოდი, ძმაო, ყველა კუთხე-კუნჭული შევამოწმოთ და ყველა საკითხი გამოვიძიოთო, მაშინ შემოჭრის საბაბი არავის აქვს. პრემიერის ეს განცხადება სწორედ ამის პრევენცია იყო! თუ რამეს ვაშავებდით და ქვეყანაში არაჯანსაღი პროცესები მიდიოდა, არიქა, ვისი შიშით არ უნდა ვთქვათ? ბარემ, ხომ არ გამოვაცხადოთ, აქეთ ჩვენ გვეშლებოდა, როცა წლების მანძილზე ძველ ხელისუფლებას ვაკრიტიკებდითო?!

— დაბოლოს, სააკაშვილს პარლამენტში გამოსვლა საკონსტიტუციო ცვლილებების გამო გადაუვადეთ. ეს ცვლილება გავიდა, მაგრამ დღეს პავლე კუბლაშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტი, შესაძლოა, საკანონმდებლო ორგანოში აღარ მოვიდეს — ეს ისევ თქვენი მიზეზით ხდება?

— კონსტიტუციაში წერია, რომ პრეზიდენტი წელიწადში ერთხელ უნდა მივიდეს პარლამენტში, მაგრამ როდის — არ წერია. არსებობს მეორე დოკუმენტი, პარლამენტის რეგლამენტი, სადაც წერია, რომ ყოველი წლის დასაწყისში, საგაზაფხულო სესიების პირველ დღეებში, პრეზიდენტი პარლამენტში უნდა მივიდეს. როცა მან მოსვლა მოისურვა, ვუთხარით, გაიაროს ამ ცვლილებებმა და მერე მობრძანდითო. ჩვენ არ დაგვირღვევია კონსტიტუცია და არ გვითქვამს, არასოდეს მოხვიდეო. პირიქით, რეგლამენტი მან დაარღვია. ახლა ცვლილებებმა ჩაიარა და ჩვენი პოზიცია ასეთია — როცა შენ იტყვი, მაშინ მოდი! გამოცდილი იურისტი და პოლიტიკოსია კუბლაშვილი, ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როცა პირდაპირ გააკეთა დაშვება, შეიძლება პრეზიდენტი აღარ მოვიდესო. ანუ, კაცი ამბობს, რომ შეიძლება, პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვიოს!

— დავაზუსტებ, „ოცნება“ სააკაშვილს ელოდება პარლამენტში ნებისმიერ დროს და ბარიერი აღარ არსებობს?

— თუ პრეზიდენტი პარლამენტში არ მოვა, ის აქეთ დაარღვევს კონსტიტუციას! რას ჰქვია, არ მოვა! იმაზე არაა საუბარი, ელოდება თუ არა „ოცნება“, მას აქვს ვალდებულება კონსტიტუციის წინაშე, სურს თუ არა ეს „ოცნებას“! ამიტომ, დიახ, მე ვაცხადებ — მე შენ არ შეგზღუდავ, როცა გინდა, მოდი! თუმცა ვიცი, რომ პრეზიდენტს ახლა ძალიან უჭირს, პარლამენტში მოსვლის ეშინია, რადგან ჩვენი კითხვებისა და მოსაზრებების მოსმენა არ სურს. ეს მისთვის ძალიან მძიმე იქნება და შეიძლება, მისმა ფსიქიკამ ამ ყველაფერს ვერ გაუძლოს, მაგრამ პრეზიდენტობა რომ უნდოდა, კეთილი ენება და კონსტიტუციაც წაეკითხა — ის უნდა მობრძანდეს პარლამენტში და ყველა კითხვაზე პასუხი გაგვცეს!

ხათუნა ლაგაზიძე: „ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ფონია — ქართველებს სულ 23 წელი დაგვჭირდა, დასავლეთის სიყვარული გაგვნელებოდა და ჩვენს მიერ შექმნილი ერთი მითიდან, მეორე უკიდურესობაში ვვარდებით!“

ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 23 წლის შემდეგ, რატომ მიისწრაფვის საქართველო კვლავ რუსეთისკენ? — ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ხათუნა ლაგაზიძე ეთნოფსიქოლოგებისა და პოლიტოლოგების ჯგუფის მიერ ერის შესწავლის ინიციატივით გამოდის. რატომ შეაქცია ზურგი საქართველოს საზოგადოებამ დასავლეთს და რას ელოდება ახლა რუსეთისგან, როგორ განლაგდებიან პარტიები ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, „ვერსიას“ პოლიტოლოგი ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲚᲐᲒᲐᲖᲘᲫᲔ ესაუბრა.

— 27 აპრილს გამართული შუალედური არჩევნები, მომავალი ადგილობრივი, საპრეზიდენტო თუ მოსალოდნელი ვადამდელი არჩევნების მიკროსქემა იყო. კარგად გამოჩნდა, რომ შემდეგ არჩევნებზე პოლიტიკური პარტიები დაბლოკებას არ შეეცდებიან და ამომრჩევლის წინაშე ცალ-ცალკე პოლიტიკურ სუბიექტებად წარსდგებიან. შუალედური არჩევნების განხილვისას საზოგადოებაში ერთი მთავარი კითხვა გაჩნდა: რამ გამოიწვია „ქართული ოცნების“ რეიტინგის ვარდნა? ვფიქრობ, ეს კითხვა საფუძველშივე არასწორად დაისვა, რადგან 1 ოქტომბერთან შედარებით, 27 აპრილს, თავისი არსით, აბსოლუტურად განსხვავებული არჩევნები ჩატარდა. პირველ შემთხვევაში, საზოგადოება არჩევანს პოლიტიკურ პარტიებს შორის კი არა, ათიათასობით ოჯახის გადარჩენასა და დიქტატურას შორის აკეთებდა. შუალედურ არჩევნებში კი მთავარი ამოცანა უკვე დაძლეული იყო.

— და რამდენად ნორმალურია, როცა მოსახლეობა ინერციით მისთვის უცნობ კანდიდატს მხოლოდ იმიტომ ირჩევს, რომ ის ბიძინა ივანიშვილმა წარადგინა?

— რა თქმა უნდა!

1 ოქტომბერსაც 83 სადეპუტატო მანდატი, უშუალოდ, ბიძინა ივანიშვილმა მიიღო. ნაძალადევში თამარ კორძაიას გამარჯვება კი აბსოლუტურად პრემიერის მანდატად უნდა ჩავთვალოთ, რადგან 20 დღეში საკუთარი უცნობი კანდიდატის შეყვარებას ნაძალადევის მოსახლეობა ფიზიკურად ვერ მოასწრებდა. ბუნებრივია, საპრეზიდენტო არჩევნებშიც ბიძინა ივანიშვილის მიერ წარდგენილი კანდიდატი გაიმარჯვებს, რადგან მისი რეიტინგი არა მხოლოდ ერთ ადამიანზე, არამედ „ქართულ ოცნებასა“ და სრულიად კოალიციაზე დღემდე ვრცელდება.

— არჩევნების დასრულების შემდეგ, ნაძალადევის რაიონში არაერთი უკმაყოფილო მხარე გამოიკვეთა, ბევრს ნაციონალური მოძრაობის მესამე ადგილი და 15,1% არ მოეწონა, სოსო მანჯავიძის მარცხის შემდეგ კი, გაბრაზებულმა ირმა ინაშვილმა „ობიექტივიდან“ წასვლა გადაწყვიტა. ნაძალადევი პოლიტიკური ძალების დაპირისპირების პოლიგონად რატომ იქცა?

— ნაძალადევის მაგალითზე კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ნაციონალური მოძრაობა, ამჟამინდელი ფორმით, პოლიტიკურ არსებობას ვეღარ გააგრძელებს და ვერც კონკურენტუნარიანი იქნება. მირზა დავითაიას მიერ მიღებული ხმები კი, დარწმუნებული ვარ, ჯერ კიდევ ნაციონალების ხელში, თბილისში შემორჩენილი ადმინისტრაციული რესურსის დამსახურებაა.

რაც შეეხება სოსო მანჯავიძესა და ირმა ინაშვილს, ვფიქრობ, მათი მწვავე რეაქცია დაპირებასთან შეუსაბამო შედეგმა გამოიწვია. არ ვიცი, მათ ვინ რას დაჰპირდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ადამიანებს ციხის კადრებისთვის გაწეული ამაგი უკვე დაუფასდათ, როცა საქართველოში რიგით მეორე ქალაქის საკრებულოში ახლადშექმნილმა პარტიამ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ უმრავლესობის მოპოვება შეძლო.

ჩემი აზრით, ეს სწორედ დაფასების გამოძახილია, რადგან ამ შემთხვევაში სხვა ლოგიკას ვერ ვპოულობ. მოკლედ, ნაძალადევში პარტიებს შორის ბრძოლის კლასიკური მაგალითი ვიხილეთ.

— როგორ ფიქრობთ, რატომ არ გაერთიანდა ოპოზიცია სახელისუფლო კანდიდატის წინააღმდეგ თუ ისევ ნაცნობ წრეზე მივდივართ, როცა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში ოპოზიციური პარტიები სკამების გაყოფას ვერ ახერხებდნენ?

— გასაგებია, რომ პოლიტიკაში ყველას საკუთარი ამბიცია ამოძრავებს, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკოსებს საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენა აქვთ. როგორც ჩანს, არასაპარლამენტო ოპოზიცია ფიქრობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, 9 წელი იცადეს და ახლა მომავალი ცხრა წელი ლოდინს აღარ აპირებენ. მათთვის ახლა პოლიტიკური სივრცე ბევრად თავისუფალია და არც პოლიტიკური დევნა ემუქრება ვინმეს, შესაბამისად, თავის რიგს არავინ ელოდება. საერთოდ, იმედი მაქვს, რომ თუნდაც 9 წლის შემდეგ, პოლიტიკაში თაობები შეიცვლება და მოყირჭებული სახეები ამ სფეროს დატოვებენ.

სხვათა შორის, ძალიან მაინტერესებს, პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ როგორ პოლიტიკურ სისტემას დატოვებს ბიძინა ივანიშვილი, რადგან, როგორც წესი, საზოგადოებისთვის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი ერთი ადამიანი ხდება. ახლა ასეთი ფიგურა ივანიშვილია, რომლის შემდეგ, ჯერჯერობით, სისტემის სტაბილურობის გარანტორი ფიგურა არ ჩანს. თუმცა, შესაძლოა, პარლამენტში ისეთი კონფიგურაცია მივიღოთ, რომ სტაბილურობის გარანტი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო გახდეს.

— და სტაბილურობის გარანტად ამჟამინდელ პარლამენტს რატომ არ მიიჩნევთ?

— როცა ჯერ კიდევ არსებობს შიში, რომ პარლამენტში 40%-ით მოხვედრილმა ნაციონალურმა მოძრაობამ, შესაძლოა, რეინკარნაცია განიცადოს, ბიძინა ივანიშვილმა ქუდი დაიხუროს და წავიდეს, დაუშვებელია. მისი დიდი ავტორიტეტის გარეშე, საკმაოდ ჭრელ პარლამენტს მივიღებთ. შესაბამისად, ვერ გეტყვით, როგორ მოახერხებენ აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებების მქონე პოლიტიკური ძალები სტაბილურობის შენარჩუნებას. თუმცა არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი — ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემდეგ, თუ ბიძინა ივანიშვილი კონკრეტულად, თავის პარტიას ჩაუდგება სათავეში, პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებას შეძლებს და, როგორც მინიმუმ, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სტაბილურობის გარანტიას შექმნის.

იმედია, ოთხი წლის შემდეგ რაღაც მექანიზმი თავისთავად გამოჩნდება. წინაარჩევნებში, პირველ რიგში, კოალიცია დაიშლება, რადგან თუ ივანიშვილის სახით კოალიციაში შემავალ პარტიებს დუღაბი გამოეცლებათ, „რესპუბლიკელებს“, „მრეწველებსა“ და „ფორუმს“ საერთო შეხების წერტილი აღარაფერი რჩებათ. შედეგად, მკვეთრად დასავლური ორიენტაციის მქონე პარტიები, „რესპუბლიკელები“, თავისუფალი დემოკრატები“ და ნაციონალური მოძრაობა, საერთო ჯამში, მაქსიმუმ 25 %-ს მიიღებენ, ცენტრისტული პარტიის როლს, სავარაუდოდ, „ქართული ოცნება“ და სალომე ზურაბიშვილის პარტია „საქართველოს გზა“ შეასრულებს, 30%-ს კი, ღიად თუ შეფარვით, პრორუსული ორიენტაციის ძალები მიიღებენ.

— ანუ ბიძინა ივანიშვილმა პრორუსულ ძალებს განვითარების საშუალება მისცა? სოციალურ ქსელში თქვენი განცხადება, ქართველებს დასავლეთის შესაძულებლად 23 წელი დასჭირდათო, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ?

— რეალურად, ამის მიზეზი ბევრად ღრმად, ნაციონალური მოძრაობის მმართველობაში უნდა ვეძებოთ, რომელმაც თავი დასავლეთთან გააიგივა და, შესაბამისად, საზოგადოებაში ნაციონალების შეცდომები დასავლეთთან ასოცირდება.

რეალურად, საბჭოთა კავშირისგან თავის დაღწევის შემდეგ, ქართველმა ჩათვალა, რომ მას როგორც პიროვნებას, პასუხისმგებლობა არაფერზე ეკისრებოდა და დასავლეთს უნდა ერჩინა, თუმცა როცა ამერიკელმა სოციალური სამოთხე ვერ შეუქმნა, გაბრაზდა და შეიძულა. რატომ მივდივართ ახლა რუსეთისკენ? იმიტომ, რომ ქართული საზოგადოება ეკონომიკურ ბუმს ახლა ჩრდილოელი მეზობლისგან ელოდება და იქმნის ილუზიას, რომ ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემები რუსეთთან ბაზრის ჩაკეტვის ბრალია. ახლა ქართველი ფიქრობს: აი, ნახეთ, რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები აღდგება და სოციალური პრობლემებიც თავისთავად მოგვარდებაო.

— არ ფიქრობთ, რომ საზოგადოებაში მსგავსი აზრის ფორმირებას ხელისუფლებაც უწყობს ხელს, რომელიც ახლა ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინაში რუსეთის მტრის სტატუსის შეცვლას გეგმავს?

— არასერიოზულია ვიფიქროთ, რომ საქართველოს მოსახლეობას ექვს თვეში ტვინი გამოერეცხა და ახლა ყველამ ერთად რუსეთისკენ მზერა დაიწყო. უბრალოდ, ეს აზრი საზოგადოებაში ღრმად მიმალული იყო და ახლა, როცა რუსეთის თემას ტაბუ მოეხსნა, ზედაპირზე ამოვიდა. ამ შემთხვევაში საზოგადოების აზროვნებასთან გვაქვს პრობლემა, ამიტომ, ვფიქრობ, საკუთარი ერის შესწავლის მიზნით, ეთნოგრაფებისა და პოლიტოლოგების ჯგუფმა, სერიოზული კვლევაც უნდა ჩაატარონ. ეს მომავალი ხელისუფლებისთვის ერთგვარი ქრესტომათიაც იქნება. დიახ, ქართველებს სულ 23 წელი დაგვჭირდა იმისათვის, რომ დასავლეთის სიყვარული გაგვნელებოდა. როცა ეს სოციალურ ქსელში დავწერე, იცით, ჩემ „პოსტს“ როგორი რეაქცია მოჰყვა? რა გახდა ეს დასავლეთი, რა მოგვიტანა ამერიკამ? ანუ ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ფონია — საქართველო მის მიერ შექმნილი ერთი მითიდან მეორე უკიდურესობაში ვარდება. რაც შეეხება დოქტრინას, მოდით, ერთად განვიხილოთ ყველა პოლიტიკური სტატუსი, რაც შეიძლება რუსეთს მოვარგოთ: საქართველოს მეგობარი ან პარტნიორი სახელმწიფოა? არა! ჩვენდამი ნეიტრალურად განწყობილია? არა! რჩება ერთადერთი — მტერი, რომლის ლოგიკური დასაბუთებაც გამაჩნია. ეს არის ქვეყანა, რომელმაც ტერიტორიის 25%, სულ რაღაც 5 წლის წინ წაგვართვა, არაფერს ვამბობ აფხაზეთსა და ცხინვალზე.

— თუმცა ხელისუფლებას აქვს არგუმენტი, რომ რიტორიკის შეცვლითა და რუსეთთან ურთიერთობის დალაგებით, ტერიტორიების დაბრუნებას მოახერხებს, თქვენ ამ არგუმენტს არ იზიარებთ?

— ხელისუფლების პოზიციაც გასაგებია, რუსეთთან ხელშესახები საკითხები უნდა ვიპოვოთ, მაგრამ მხოლოდ რიტორიკის ცვლა არაფერს მოგცემს. რუსეთი დღეს ერთ კანონს შეგვაცვლევინებს, ხვალ მეორეს და ბოლოს, სარუსეთოდ გამზადებული საზოგადოების ფონზე, მის ორგანულ ნაწილადაც გამოგვაცხადებს. შესაბამისად, თანამშრომლობასა და პატრონ-ყმობას შორის ზღვარი უნდა ვიპოვოთ, საითკენაც რუსეთი მიგვათრევს.

შესაძლოა, ვინმეს გაუჩნდეს კითხვა, ხომ შეიძლება ხვალ რუსეთმა მტრის პოზიციიდან პარტნიორის პოზიციაში გადაინაცვლოს? დაუფიქრებლად გიპასუხებთ — არა! ეს ვერასოდეს მოხდება, რადგან საქართველო რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების სფეროში შედის. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ნატო-ს ჯარების შემოსვლის შემთხვევაში, საქართველო ავტომატურად ნატო-რუსეთის საზღვარი გახდება, რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფცია კი ღაღადებს, რომ მსგავსი სასაზღვრო მოცემულობა სახელმწიფო ინტერესებს საფრთხეს უქმნის. ერთი სიტყვით, რუსეთი მშვიდად ვერ იქნება, სანამ საქართველოს, როგორც საფრთხეს არ გაგვანეიტრალებს ანუ სანამ ჩვენ მისი ტერიტორიული სივრცის ორგანული ნაწილი არ გავხდებით.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

კახა ბენდუქიძე: „უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას ორი ათეული წელი მაინც დასჭირდება“

უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას საქართველოში, სულ მცირე, ორი ათეული წელი დასჭირდება, — ამის შესახებ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სემინარზე თავისუფალი უნივერსიტეტის დამფუძნებელმა კახა ბენდუქიძემ განაცხადა. მისი თქმით, უმუშევრობის დაძლევის ერთადერთი მეთოდი რეალური ეკონომიკური ზრდაა.

„თუ ვინმეს აქვს ილუზია, რომ არსებობს რაღაც ტაქტიკა, რომელიც უმუშევრობის პრობლემას ძლევს, უნდა გავაწბილო. ერთადერთი გზა ამ პრობლემის დასაძლევად არის რეალური ეკონომიკური ზრდა. ყველა სხვა მეთოდი უშედეგოა და უმუშევრობას პირიქით, ზრდის“, — აღნიშნა კახა ბენდუქიძემ. მისივე თქმით, საქართველოს შეეძლო, უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის მიეღწია, ვიდრე დღეს აქვს. **„შეიძლებოდა, საქართველოს ეკონომიკა ორნიშნა ციფრით გაზრდილიყო. უმუშევრობა არის სისტემური პრობლემა და კარგი ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში მის გადაჭრას სულ მცირე ორი ათეული წელი მაინც დასჭირდება“,** — აღნიშნა კახა ბენდუქიძემ.

„ინტერპრესნიუსი“

რატომ ითხოვენ „ყაზტრანსგაზთბილისის“ ყაზახი მფლობელები სამთავრობო კომისიის შექმნას?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ყაზტრანსგაზთბილისის“ ყაზახი მფლობელები საქართველოს ხელისუფლებას სამთავრობო კომისიის შექმნას სთხოვენ. კომისიამ უნდა გამოიძიოს, რა ხდება კომპანიაში 2009 წლიდან ან რატომ გაიზარდა „ყაზტრანსგაზთბილისის“ დავალიანება, რომელიც ამ კომპანიას „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიმართ დაუგროვდა. „ყაზტრანსგაზთბილისის“ გენერალური დირექტორი სანჟარ შოკატაევი აცხადებს, რომ კომპანიის 40 000 000-ლარიანმა დავალიანებამ 43 000 000 ლარს გადააჭარბა და ეს არის მიზეზი, რის გამოც ყაზახი მფლობელები ქართულ-ყაზახური სამთავრობო კომისიის შექმნას ითხოვენ. არ არის გამორიცხული, რომ საქმე პროკურატურამდეც მივიდეს, მაგრამ ამ ეტაპზე, ყაზახ მფლობელებს დეტალებში გარკვევა სახელისუფლებო დონეზე სურთ.

რატომ გაიზარდა გაკოტრების რეჟიმში მყოფი კომპანიის დავალიანება 20 000 000 ლარიდან 40 000 000 დოლარამდე და რა დარღვევები უნდა შეისწავლოს კომისიამ?

„ყაზტრანსგაზთბილისის“ გენერალური დირექტორის, სანჟარ შოკატაევის განცხადება პრესაში უკვე გავრცელდა. მისი თქმით, 2009 წლიდან დღემდე, ბუნებრივი აირის მომხმარებლების მიერ გადახდილი გადასახადების საშუალებით, კომპანიამ საკმაოდ დიდი თანხის აკუმულირება შეძლო, რომლითაც „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიმართ არსებული დავალიანება უნდა დაფარულიყო. სანჟარ შოკატაევი იმასაც ეჭვობს, რომ შესაძლოა, „ყაზტრანსგაზთბილისს“ დავალიანება აღარც კი აქვს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია, სამთავრობო კომისია შეიქმნას, რომელიც კომპანიაში არსებულ სიტუაციას შეისწავლის.

„ყაზტრანსგაზთბილისში“ დროებითი მმართველობა 2009 წლის მარტში იმიტომ შევიდა, რომ ამ კომპანიას „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიმართ, 20 000 000 ლარის დავალიანება ჰქონდა. ახლა ირკვევა, რომ ეს დავალიანება 40 000 000 აშშ დოლარამდე გაიზარდა, არადა, ამ ხნის მანძილზე, მომხმარებლები ბუნებრივი აირის საფასურს ჩვეულებრივ იხდიდნენ. მეტიც, კანონის მიხედვით, როდესაც გაკოტრების რეჟიმში მყოფ კომპანიაში დროებით მმართველი შედის, პირველ რიგში, სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანება უნდა დაფაროს, რაც „ყაზტრანსგაზთბილისის“ შემთხვევაში, არ განხორციელებულა. დროებით მმართველობას კომპანიაში ყოფნის ვადა მიმდინარე წლის 1 მაისს ეწურება, მაგრამ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ (სემეკ-ი), ეს ვადა მაისის ბოლომდე გააგრძელა.

რა მოხდა „ყაზტრანსგაზთბილისში“ და კონკრეტულად, რა დარღვევებზე ამახვილებენ ყურადღებას კომპანიის ყაზახი მფლობელები? „ვერსია“ ექსპერტს ენერგეტიკის საკითხებში, **გია ხუხაშვილს** დაუკავშირდა:

— ყაზახეთი ჩვენი პარტნიორი და მეგობარი ქვეყანაა, მაგრამ რაც მთავარია, „ყაზტრანსგაზი“ სახელმწიფო კომპანიაა, ამიტომ ბუნებრივია, რომ თუ კომპანიის მფლობელებს რამე ტიპის კითხვა უჩნდებათ, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, პასუხი გასცეს. ინვესტორების უფლებები დაცული უნდა იყოს და თუ მათი უფლებები ირღვევა, მით უმეტეს, როდესაც სახელმწიფო კომპანიასთან გაქვს საქმე, ბევრად უფრო აკურატული ქმედებებია საჭირო. რა თქმა უნდა, მივესალმები სამთავრობო კომისიის შექმნას, რადგან ნამდვილად არ ვარ იმის მომხრე, რომ ეს ყველაფერი, პირდაპირ სისხლის სამართლის ჭრილში გადავიდეს, თუმცა თუ საჭირო იქნება და კომისია დაადგენს, რომ კონკრეტულმა პირებმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს, პასუხიც უნდა აგონ. ცხადია, სამთავრობო კომისიის შექმნა მისასალმებელია, რადგან ამ საკითხში კარგად გავერკვეთ და საქართველოსა და ყაზახეთს შორის არსებული ეს გაუგებრობა, ორი ქვეყნის თანამშრომლობის რეჟიმში გადავიტანოთ.

— ბატონო გია, ამ სამთავრობო კომისიის წევრი თქვენც იქნებით?

— არა, არ ვიქნები. გამორიცხული არ არის, რომ ეს კომისია ენერგეტიკის სამინისტროს ფარგლებში შეიქმნას, მაგრამ შესაძლოა, სამთავრობო კომისია იყოს. გიმეორებთ, თუ კომპანიის მუშაობის პროცესში, გარკვეული პრობლემები არსებობს, ეს ყველაფერი ორი ქვეყნის წარმომადგენლების თანამშრომლობის რეჟიმში უნდა გაირკვეს და არა ისეთი ძალისმიერი მეთოდებით, როგორც თავის დროზე, ეს საკითხი გადაწყდა.

— ძალისმიერ მეთოდებში რას გულისხმობთ, რა სახის დარღვევებზე ამახვილებენ ყურადღებას ყაზახები და საერთოდ, რა ტიპის დანაშაულებრივი სქემა მოქმედებდა „ყაზტრანსგაზთბილისში“?

— დეტალები არ ვიცი, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „თბილგაზის“ პრივატიზება ყაზახურმა მხარემ განახორციელა, თუმცა სხვადასხვა დავალიანებების გამო, ეს კომპანია საქართველოს სახელმწიფომ ჩაიგდო ხელში. მართალია, ყაზახების საკუთრების უფლება დარღვეული არ არის, მაგრამ კომპანიის მენეჯმენტს არ ახორციელებენ. სიმართლე გითხრათ, დაზუსტებით ისიც არ ვიცი, ვინ მართავს კომპანიის მენეჯმენტს, მხოლოდ ის ვიცი, რომ თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი გასარკვევია, რადგან საზოგადოებას საკმაოდ სერიოზული კითხვები აქვს და ეს ყველაფერი, სწორედ ამ სამთავრობო კომისიის ფარგლებში უნდა გაირკვეს.

— ზუსტად ამიტომ ითხოვენ ყაზახები სამთავრობო კომისიის შექმნას, რომ თვითონაც აინტერესებთ, რა ვითარებაში გაიზარდა კომპანიის დავალიანება.

— ვეთანხმები და აბსოლუტურად ვიზიარებ მათ სურვილს. ვფიქრობ, ქართული სახელმწიფოც დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ამ საკითხს წერტილი დაესვას და ის გაუგებარი ვითარება, რაც დღეს გვაქვს, აღარ შენარჩუნდეს.

— როგორ ფიქრობთ, 20 000 000 ლარის დავალიანება, 4 წლის მანძილზე, 40 000 000 აშშ დოლარამდე როგორ გაიზარდა?

— ციფრებზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან ამ სფეროში კომპეტენტური არ ვარ და ვერც ვარაუდს გამოვთქვამ.

— გასაგებია, მაგრამ როდესაც კომპანიას სახელმწიფოს მიმართ დიდი დავალიანება აქვს და გაკოტრების რეჟიმში მუშაობს, კანონის მიხედვით, დროებითმა მმართველმა ჯერ სახელმწიფოს ვალი უნდა დაფაროს და სწორედ ეს მაინტერესებს, რატომ უნდა გაზრდილიყო ეს ვალი?

— ამაში ნამდვილად გეთანხმებით და ეს კითხვები მართლაც არსებობს, მაგრამ პასუხები არ მაქვს. რა თქმა უნდა, ზუსტად იგივე კითხვა მიჩნდება, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ვითარებაში დეტალურად გავერკვეთ. წინასწარ, ზეპირი განცხადებების გაკეთება არ მინდა და ამიტომ გთხოვთ, სამთავრობო კომისიის დასკვნას დაველოდოთ. თეორიულად, ყველაფრის დაშვება შეიძლება, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, რა ტიპის საჯარიმო სანქციებზეა საუბარი, რაც მთავარია, ამ დოკუმენტაციასაც არ ვიცნობთ და აქედან გამომდინარე, კატეგორიულად ვერაფერს გეტყვით.

— როგორც ჩანს, ეს დავალიანება თბილისის მერიის მაღალჩინოსნების ჯიბეში ილექებოდა, არ მეთანხმებით?

— საერთოდ, პოლიტიკური ნიშნის მქონე ადამიანების მეტი რა იყო ამ კომპანიაში, მაგრამ დაზუსტებული ინფორმაცია არ მაქვს და კონკრეტულად, ვერაფერს გეტყვით.

— ბატონო გია, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არის მზაობა, რომ სამთავრობო კომისია შეიქმნას?

— რა თქმა უნდა! თუ პრობლემები გვაქვს და კითხვებიც არსებობს, თუნდაც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში, ამ კითხვებს პასუხები აუცილებლად უნდა გაეცეს. ვფიქრობ, სააკაშვილის ხელისუფლების აგდებული დამოკიდებულება ყაზახური, მით უმეტეს, სახელმწიფო კომპანიის მიმართ, ჩემი აზრით, როგორც მინიმუმ, მძიმე პოლიტიკური შეცდომა იყო.

— მას შემდეგ, რაც სამთავრობო კომისია შეიქმნება და ამ პრობლემებს შეისწავლის, რამდენად შესაძლებელია, რომ „ყაზტრანსგაზთბილისი“ ისევ ყაზახებმა დაიბრუნონ?

— სავსებით შესაძლებელია! თუ კომპანიის მფლობელი ყაზახური მხარეა, რომელსაც გარკვეული პრეტენზია გააჩნია, ეს ვითარება უნდა გაირკვეს და პრობლემა გადაწყდეს. საკმაოდ არაჯანსაღი მდგომარეობაა, როდესაც კომპანიის მფლობელი, მენეჯმენტს ჩამოაშორეს და ბუნებრივია, ეს სიტუაცია უნდა გამოსწორდეს.

— ყაზახებმა პირდაპირ პროკურატურას რომ არ მიმართეს, ეს პოზიტიური გადაწყვეტილება იყო?

— რა თქმა უნდა, ისინი პასუხისმგებლობით უდგებიან ამ საკითხს და ამიტომაც ითხოვენ კომისიის შექმნას, თორემ სრული უფლება ჰქონდათ, პროკურატურისთვის მიემართათ.

— თქვენი ინფორმაციით, ყაზახური ინვესტიციები ხომ არ შეფერხებულა ქვეყანაში?

— არა, ეს პროცესი არ შეფერხებულა. როგორც ვიცი, ყაზახებს ისევ მენეჯმენტში აქვთ ბათუმის პორტი და ბათუმის ტერმინალი. გარდა ამისა, ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებული „რომპეტროლი“, ყაზახური კომპანიაა. საერთოდ, ყაზახები სხვადასხვა ტიპის ინვესტიციებს ახორციელებდნენ საქართველოში, მათ შორის, საკრედიტო მიმართულებითაც, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი საერთო განწყობა ასეთი უნდა იყოს — ყაზახეთი ჩვენი მეგობარი, პარტნიორი ქვეყანაა და ამ ურთიერთობებში, ასეთი ტიპის კითხვები არ უნდა არსებობდეს. ეს ვითარება აუცილებლად უნდა დარეგულირდეს და ჩვენი ყაზახი მეგობრების, როგორც ინვესტორების უფლებები დაცული უნდა იყოს ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ინვესტორების.

„ვერსია“ საქართველოს „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ნინო ჯღარკავას დაუკავშირდა და ამ თემაზე ოფიციალური კომენტარი სთხოვა. მისი თქმით, „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიმართ, „ყაზტრანსგაზთბილისს“ უკვე წელიწადნახევარია, რაც დავალიანება აღარ აქვს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კომპანიის დავალიანება გაქრა, ან განულდა, ნინო ჯღარკავამ აგვიხსნა, რომ წელიწადნახევრის წინ, „ყაზტრანსგაზთბილისის“ დავალიანება, რომელიც ამ კომპანიას „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიმართ დაუგროვდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გადაიწერა.

ვერსიანიუსი

ირაკლი ალასანია: „სამშობლო, ღირსება, ერთგულება ჩვენი შეიარაღებული ძალების დევიზია“

ქართული არმია 22 წლისთავს აღნიშნავს. შეიარაღებული ძალების დღესთან დაკავშირებით, ყველა სამხედრო ბაზაზე საზეიმო მოწყობა გაიმართა. თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ პროფესიული დღესასწაული პირად შემადგენლობას თავდაცვის სამინისტროს სამწყობრო მოედანზე პირადად მიულოცა. მინისტრის მილოცვა ქართველ სამხედროებს ყველა სამხედრო ნაწილში საზეიმო მოწყობაზე გააცნეს.

„გილოცავთ საქართველოს შეიარაღებული ძალების 22-ე წლისთავს. ამ წლების განმავლობაში, არაერთხელ დაამტკიცეთ, რომ თქვენ საკუთარი სიცოცხლის ფასად, ღირსეულად ემსახურებით საქართველოს. სამშობლო, ღირსება, ერთგულება — ეს ჩვენი შეიარაღებული ძალების დევიზია. ქართული არმიისთვის ეს მხოლოდ სიტყვები არ არის. თქვენ და თქვენმა თანამებრძოლებმა დაამტკიცეთ, რომ საქართველოს ღირსეული შვილები ხართ, რომლებიც აგრძელებთ ჩვენი წინაპრების გზას. არ არის ტყვია, რომელიც თქვენ შეგაჩერებთ, რადგან თქვენი ფესვები საქართველოშია, იმ ქვეყანაში, რომელსაც ბევრჯერ კლავდნენ და არ კვდებოდა. მე ამაყი ვარ, რომ მერგო პატივი, გემსახუროთ თქვენ, ვინც ჩვენს სამშობლოს იცავს. მიგულეთ თქვენს გვერდით რიგით ჯარისკაცად“.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა სამხედრო ბაზაზე ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ სამხედროებს წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

თავდაცვის მინისტრმა, გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ და მისმა მოადგილემ პოლკოვნიკმა ლაშა ბერიძემ საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმატებულ 36 ოფიცერს უწყებრივი ჯილდო გადასცეს.

პროფესიულ დღესასწაულზე შეიარაღებული ძალების მასშტაბით 152 სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა.

„ინტერპრესნიუსი“

ირმა ინაშვილი: „ჩემი პირველი ანონსი — მომავალი კვირიდან ყველა იმ ადამიანის მხილებას დავიწყებ, ვინც დაუმსახურებლად მაფურთხებდა!“

27 აპრილს, ღამის ეთერში, მედიაკავშირ „ობიექტივის“ დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა მედიაკავშირის გამგეობას „ობიექტივის“ დახურვის თხოვნით მიმართა. გამგეობამ ინაშვილის მოთხოვნა გაითვალისწინა და იმ ღამითვე შეაჩერა მაუწყებლობა. 28 აპრილს კი, გამგეობის სხდომამ მაუწყებლობის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო და რეორგანიზაცია დაიწყო. გამგეობის განცხადებით, „ობიექტივს“ ეყოლება ახალი მენეჯმენტი, რომლის ფარგლებშიც შეიცვლება გადაცემების ფორმატი და წამყვანთა უმეტესობა, ასევე მომზადდება ახალი სატელევიზიო ბადე. „ობიექტივი” მომავალშიც დაიცავს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრინციპს და შეიმუშავებს სატელეფონო ზარების მიღების ახალ ფორმას“. თავად ირმა ინაშვილმა კი, „ობიექტივის“ ხელმძღვანელის თანამდებობა დატოვა. რატომ მოითხოვა მან „ობიექტივის“ დახურვა, არხზე დაწყებული რეორგანიზაციის დროს კი, რატომ დატოვა თანამდებობა და სად გააგრძელებს მოღვაწეობას? — ამ და სხვა კითხვებზე Media.Ge-ს ირმა ინაშვილი პასუხობს.

— ქალბატონო ირმა, რატომ მიიჩნიეთ, რომ მედიაკავშირი „ობიექტივი“ უნდა დახურულიყო?

— ვფიქრობ, საზოგადოებამ ბოროტად დაიწყო იმ მოდელის გამოყენება, რომელიც მე, როგორც ხელმძღვანელმა, შევთავაზე „ობიექტივს“. ეს მოდელი იყო საზოგადოებრივი მაუწყებელი, ინტერაქტიული ტელევიზია, სადაც არც ერთი ზარი, სტუმარი არ იბლოკებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წამომაძახებდა ხოლმე, პოლიტიკასთან გაქვს კავშირიო, განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ, როცა მან მესამე პოლიტიკურ ძალასთან მიმართებაში მომიხსენია. ვინც „ობიექტივს“ უყურებდა, ყველა ხედავდა, რომ ეთერში თითქმის ყველა პოლიტიკოსი იყო წარმოდგენილი და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ვაკვირდებოდი „ობიექტივის“ ეთერს და შევამჩნიე, რომ ამ თავისუფალი ეთერის გამოყენება ბოროტად ხდებოდა. სხვადასხვა პოლიტიკური ძალების დაკვეთით, ეთერსმიღმა ორგანიზებული ჯგუფები შეიქმნა, რომლებიც ეთერში რეკავდნენ და ოპონენტების დისკრედიტაციას ეწეოდნენ. ვინაიდან ჩვენთან არ იბლოკება ზარები, ეს ახალ პრობლემას ბადებდა — იყო ბევრი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, რაც ჩემთვის მიუღებელი იყო. ვნახე რომ, მაუწყებლის იმ მოდელს, რომელსაც ჩემს წარმოდგენაში ვხედავდი, თან მოჰყვა ასეთი პრობლემა. მეკითხებიან, უკავშირდება თუ არა ჩემი გადაწყვეტილება არჩევნებს — უკავშირდება, მაგრამ არა პირდაპირ. ეს უკავშირდება წინასაარჩევნო პერიოდს, იმ ორგანიზებულ ზარებს, რომლებიც ჩვენს ეთერში არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ძალიან გააქტიურდა.

აგრეთვე ვფიქრობდი, რომ უნდა შეცვლილიყო არხის კონცეფცია — ბევრი წამყვანისთვის ღია იყო „ობიექტივის“ კარი, იყვნენ ადამიანის უფლებების დამცველები, ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები უძღვებოდნენ ეთერს, ბევრი მათგანის კვალიფიკაცია არ იყო შესაბამისი სატელევიზიო მოთხოვნებთან, ესეც ექნებათ გამოსასწორებელი ჩემს კოლეგებს. უნდა დაიხვეწოს არხის კონცეფცია და სტილი, შეირჩეს ის წამყვანები, რომლებსაც მაღალი კვალიფიკაცია აქვთ.

— რატომ მიიღეთ „ობიექტივის“ დახურვის და არა რეორგანიზაციის განხორციელების გადაწყვეტილება?

— გამგეობას მივმართე „ობიექტივის“ დახურვის მოთხოვნით და დაიხურა კიდეც. მნიშვნელოვანი იყო ეს პაუზა, რათა საზოგადოება დაფიქრებულიყო, რამდენად მზად იყო, მიეღო თავისუფალი ტელევიზიის მოდელი. ხომ ხშირად ადანაშაულებენ ტელევიზიებს, არ ხართ თავისუფლები, ვიბლოკებით თქვენს ეთერშიო, აი, გქონდათ თავისუფალი ეთერი, როგორ გამოიყენეთ? ეს გუნდი იფიქრებს ზარების ეთერში შეყვანის ფორმებზეც, როგორ შევინარჩუნოთ ინტერაქტიული ფორმა, რომ სრულიად დაუმსახურებელი შეურაცხყოფა, გინება და ლანძღვა გამოირიცხოს. ისე, ეთერსგარეთაც ბოლო 6 თვის განმავლობაში, იმდენი ფურთხი და შეურაცხყოფა მივიღე, უმადურობის გამოც მივიღე ეს გადაწყვეტილება.

— რატომ გადაწყვიტა გამგეობამ, რომ არხმა მაინც უნდა განაგრძოს ფუნქციონირება?

— ძალიან ბევრი მაყურებელი გვირეკავს, უამრავი ადამიანი მოდის, ვალდებულნი ვართ, საზოგადოების ინტერესი დავაკმაყოფილოთ და გავითვალისწინოთ, ამიტომ მაუწყებლობა არ გაჩერდება.

— რატომ დატოვეთ „ობიექტივის“ ხელმძღვანელის თანამდებობა?

— ჩემი გადადგომით მინდოდა, მაგალითი მეჩვენებინა, რომ როცა ხედავ რაიმე პრობლემას, უნდა დატოვო ხელმძღვანელის თანამდებობა. პრობლემას ჩემს თავთან დაკავშირებითაც ვხედავდი, რადგან ეს უქმნიდა პრობლემას „ობიექტივს“, იყო საუბრები, რომ ხელმძღვანელი არის პოლიტიკაში, აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს. ეს საბოლოოდ სისულელეა, რადგან ყველა არხი, პირდაპირ თუ ირიბად, პარტიულია, თუმცა იმ არხებზე, ჩემგან განსხვავებით, პოლიტიკურ ოპონენტებს არასოდეს იწვევდნენ. არის აგრეთვე მომენტი, როცა იღლები და გინდა რაიმე ახლის გაკეთება. ვუტოვებ ჩემს ადგილს ახალ ადამიანებს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გამგეობამ დააკმაყოფილა ჩემი წინადადება, დავტოვო ხელმძღვანელის თანამდებობა. აგრეთვე, გამგეობამ მიიჩნია, „ობიექტივს“ მისი მოდელიდან გამომდინარე, მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავს და მიიღეს გადაწყვეტილება, გააგრძელონ ახალ ფორმატში მაუწყებლობა, რაც დაახლოებით, ერთი კვირის ფარგლებში მოხდება.

— თქვენ სად გააგრძელებთ მოღვაწეობას, ხომ არ აპირებთ პოლიტიკაში წასვლას?

— „ობიექტივში“ არ ვრჩები, თუ კონსულტაციები დასჭირდებათ, გავუწევ, თუმცა ეს ისეთი ძლიერი გუნდია, არ დასჭირდებათ. ვფიქრობ, ახლა თავისუფალი ჟურნალისტის სტატუსი უფრო დამეხმარება, არც ერთ ორგანიზაციაზე არ ვიყო მიბმული, მით უმეტეს, ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, არ შემიძლია კომპრომისზე წასვლა და ანგარიშის გაწევა. „ობიექტივის“ გამო, მეც ხშირად ვჩუმდებოდი და მივდიოდი კომპრომისზე. აღარ მინდა. ჩემი პირველი ანონსია, რომ მომავალი კვირიდან ყველა იმ ადამიანის მხილებას დავიწყებ, ვინც დაუმსახურებლად მაფურთხებდა, თუნდაც ციხის კადრების გავრცელების გამო. პოლიტიკაში წასვლას გამოვრიცხავ. ახლა ასე ვფიქრობ და არ მგონია, მომავალში ასე გავგიჟდე და ეს ვიფიქრო.

— ვინ არის „ობიექტივის“ ამჟამინდელი ხელმძღვანელი?

— გამგეობა, მომავალში იმსჯელებენ და ერთ კონკრეტულ კანდიდატურაზე ჩამოყალიბდებიან, ალბათ.

media.ge

დავით უსუფაშვილი: „მე და პრემიერ-მინისტრს გვაინტერესებს პასუხი კითხვაზე — შეგვიძლია, ნატო-ში შემოვიდეთ?“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს აინტერესებს პასუხი კითხვაზე, როდის შევა საქართველო ნატო-ში. ამ კითხვით დავით უსუფაშვილმა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სემინარის მონაწილეებს მიმართა. პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოში მთავრობის ცვლილების შემდეგ გატარებულ რეფორმებსა და მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე ისაუბრა.

როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, მთავრობა შეიცვალა, თუმცა ქვეყნის პრიორიტეტები უცვლელი დარჩა. დავით უსუფაშვილმა ხაზი გაუსვა იმ რეზოლუციასაც, რომელიც საქართველოს პარლამენტმა უმრავლესობისა და უმცირესობის შეთანხმების შედეგად, საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების მიმართულებებით მიიღო. პარლამენტის თავმჯდომარემ ამ დოკუმენტს მნიშვნელოვანი უწოდა და აღნიშნა, რომ ქვეყანას ჯერ კიდევ აქვს სერიოზული პრობლემები კოჰაბიტაციის პროცესში ისევე, როგორც ყველა ახალგაზრდა დემოკრატიას.

„ჩვენ გავაგრძელებთ დემოკრატიულ რეფორმებს, რათა საქართველოში დამყარდეს მრავალპარტიული დემოკრატია, რადგან გვჯერა, რომ ესაა დემოკრატიის ერთადერთი მდგრადი ფორმა. ჩვენ დამოუკიდებლად ვებრძვით სირთულეებს, თუმცა მათ დაძლევაში ჩვენი მეგობრების დახმარებაც გვჭირდება. მინდა, ჩემი გამოსვლა დავასრულო ერთი ისტორიული პროცესის ხაზგასმით — ნატო-ს კარზე 10 წლის წინ, პრეზიდენტმა შევარდნაძემ დააკაკუნა, დაახლოებით 5 წლის პრეზიდენტ სააკაშვილს უთხრეს, რომ ეს კარი ღიაა. დღეს კი ჩვენ, მე და პრემიერ-მინისტრს გვაინტერესებს პასუხი კითხვაზე — შეგვიძლია, შემოვიდეთ? გთხოვთ, ადრე თუ გვიან, ამ კითხვაზე გაგვეცით პასუხი“, — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სემინარის მონაწილეებს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მიმართავს.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

ბიძინა ივანიშვილი: „ოპოზიციასთან მაქსიმალური თანამშრომლობის დამყარება გვსურს“

პრემიერ-მინისტრს დღევანდელ ოპოზიციასთან მაქსიმალური თანამშრომლობის დამყარება სურს. ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სემინარზე გამოსვლისას, მას შემდეგ განაცხადა, რაც პოლონეთის დელეგაციის წევრმა კითხვა დაუსვა ოპოზიციის წარმომადგენლების დაკითხვებზე დაბარებასთან დაკავშირებით.

კითხვას, გაგრძელდება თუ არა დაპატიმრებების პროცესი, ბიძინა ივანიშვილმა უპასუხა, რომ **„საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურად ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პროცესი რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს. ეს არ არის სასარგებლო ჩვენი ქვეყნისთვის და ჩემი დიდი სურვილია, დღევანდელ ოპოზიციასთან მაქსიმალური თანამშრომლობა დამყარდეს, რათა ყველა მათგანმა მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში. ჩვენი პოლიტიკური სურვილი არ არის, მუდმივად ვარკვიოთ მასთან ურთიერთობა, მაგრამ ესაა სახელმწიფო, ჩვენ გვყავს საზოგადოება და სამართლიანობის პროცესი ასევე საინტერესოა ქვეყნისთვის. წინა ხელისუფლება ძალადობით იყო დაკავებული. საზოგადოებას არ უნდა დარჩეს განცდა, რომ ძალადობის ავტორები და არქიტექტორები დაუსჯელები დარჩებიან“,** – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლები პროცესში თავად არ ერევა: **„არსებობს შესაბამისი ორგანოები, მათ შორის პროკურატურა, სადაც შესულია უამრავი განცხადება. ჩვენ ვცდილობთ, სასამართლო იყოს ობიექტური და ვაკეთებთ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს“.**

მისივე თქმით, საქართველოს ახალმა მთავრობამ მოიწვია თომას ჰამერბერგი პროცესის გამჭვირვალობაში დასარწმუნებლად, ყველა ექსპერტს შეუძლია საქართველოში ჩამოსვლა.

გია ხუხაშვილი მთავრობას ეკონომიკური მიმართულებით კონსულტაციებს გაუწევს

საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი გია ხუხაშვილი მთავრობას ეკონომიკური მიმართულებით კონსულტაციებს გაუწევს. როგორც ხუხაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, იგი საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მომუშავე სამთავრობო ჯგუფში შევიდა.

„ჩემი მიზანი აბრეშუმის გზის მიმართულებით, ასევე ცალკეულ ენერგეტიკულ პროექტებთან მიმართებაში საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქციის გაძლიერება იქნება. ამ საქმით ისედაც ვიყავი დაკავებული და ამ კუთხით მთავრობას აქამდეც ვეხმარებოდი, თუმცა რადგან საზოგადოებაში აჟიოტაჟი არსებობდა, ვერ გაერკვია, რა იყო ჩემი ფუნქცია, აღნიშნულ ჯგუფში შევედი და ეკონომიკური მიმართულებით მივცემ რჩევებსა და რეკომენდაციებს მთავრობას“, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა. მისივე განმარტებით, აღნიშნულ საქმიანობაში ხელფასს არ იღებს.

„ხელფასს არ ვიღებ ამ საქმეში. ესაა ჩემთვის საზოგადოებრივი დატვირთვა. ვინმეს არ ეგონოს, რომ კაბინეტში ვიჯდები და იქედან გავცემ რჩევებს. ჯგუფს კონსულტაციას გავუწევ იმ ინსტიტუტიდან, სადაც ახლა ვმუშაობ“, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა. მისივე ინფორმაციით, აღნიშნულ ჯგუფში, სხვა პირებთან ერთად, შედიან ზურაბ აბაშიძე და ირაკლი მენაღარიშვილი.

„ინტერპრესნიუსი“

„ეს ფერმერისა და გლეხისთვის დიდი შეღავათია!“

„საქართველოს ბანკი“ რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ოდენობის აგროსესხს გასცემს

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„საქართველოს ბანკი“ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში აგროსესხებს აქტიურად გასცემს. ბანკის წარმომადგენლების განმარტებით, იაფი კრედიტების გასაცემად, რამდენიმე ათეული მილიონი ლარია მობილიზებული. 30 სესხი უკვე გაცემულია, დაახლოებით 100 განაცხადი კი, განხილვის პროცესშია. რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს გლეხი ან ფერმერი, რომ აგროსესხი მიიღოს? აქვს თუ არა აღნიშნულ პროგრამაში რაიმე ფორმით მონაწილეობის უფლება მას, ვინც უკვე სარგებლობს მაღალპროცენტიანი სესხით? რის გამო უნდა მიაკითხონ აგროსესხის მსურველებმა მაინცდამაინც „საქართველოს ბანკს“? „ვერსიის“ კითხვებს, „საქართველოს ბანკის“ მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა მენაბდე პასუხობს.

— პროგრამის არსი შემდეგია — იაფი კრედიტი ხელმისაწვდომი იყოს იმ ადამიანებისთვის, ვისაც აგრარულ სფეროში გარკვეული გამოცდილება აქვს, ან თუნდაც, სხვა სფეროშია დაკავებული და უნდა, სოფლის მეურნეობაში ჩადოს ინვესტიცია. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს მხრიდან ხდება გარკვეული თანხით უზრუნველყოფა, ძირითადი რისკები მაინც ბანკზე მოდის. ჩვენ გავცემთ საკუთარ რესურსს, სესხზე პასუხისმგებლებიც ჩვენ ვართ და ზარალის შემთხვევაშიც, ძირითადი დარტყმა ბანკს მიადგება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გაიგოს ხალხმა, ეს არ არის საქველმოქმედო პროექტი და, შესაბამისად, ფულს ვერ ჩამოვურიგებთ ყველას, ვისაც მოუნდება.

— გასაგებია, მაგრამ უკმაყოფილოები არიან, მაგალითად ფერმერებიც. ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ ფერმა გვაქვს, ბანკი სესხს არ გვაძლევსო.

— ეს ასე არაა. ჩვენზე არ მგონია ვინმეს უნდოდეს სესხის გაცემა. ყველაფერს თავისი ახსნა და მიზეზი აქვს. უპირველესად, მნიშვნელოვანია მიზნობრიობა, რასაც თვითონ სააგენტო აწესებს. აქ არის ძალიან ფართო ჩამონათვალი. იმის 90%, რაც შეიძლება ფერმერს დასჭირდეს, ფინანსდება. არ ვაფინანსებთ ტრანსპორტის მექანიზაციის, უძრავი ქონების, მიწის შეძენას და ისეთ პროექტებს, რომლებიც მხოლოდ საოფისე ინფრასტრუქტურის მოწყობაზეა ორიენტირებული — მაგალითად, ფერმერს უნდა ოფისის აშენება. სხვა შემთხვევაში, მიწათმოქმედებაზე, შხამ-ქიმიკატებით მომარაგება, სარწყავი არხის გაყვანა, მიწის იჯარა, მესაქონლეობაში ძირითადი საშუალებების, ახალი საწარმოო ხაზის შეძენა, ქარხნის აშენება... აბსოლუტურად ყველა მიმართულება ფინანსდება. თუ მიზნობრიობას ვერ აკმაყოფილებს ფერმერი, პროგრამაში მონაწილეობას ვერ შეძლებს. მეორე პირობაა გამოცდილება. უნდა იცოდეს საქმე, ჰქონდეს ამ საქმეში გამოცდილება, რისთვისაც სესხის აღებას აპირებს. მესამე პირობა კი გახლავთ გადახდისუნარიანობა. უნდა დავრწმუნდეთ, რომ მსესხებელს აქვს სესხის გადახდის საშუალება, ასეთ შემთხვევაში ყველა პროექტს ვაფინანსებთ.

— აგროსესხის მსურველები. ზოგჯერ ყველა პირობას აკმაყოფილებენ, უზრუნველყოფისთვის კი, საკმარისი აქტივები არ აქვთ, ასეთ დროს რას შვრება ბანკი?

— ადეკვატური თანხა უნდა მოითხოვონ. თუ ადამიანს აქვს 40-სულიანი ფერმა, 50 ჰა საძოვარი და უფრო დიდი ფერმის შესაძენად 600 ათას დოლარს ითხოვს, არაადეკვატურია. თუ ფერმერი ითხოვს თავისი მეურნეობის ადეკვატურ თანხას, უზრუნველყოფის პრობლემა არ დადგება. შეიძლება, სხვა ბანკები ასე არ მოქმედებენ, მაგრამ ჩვენთვის თუნდაც ის მიწა, რომელსაც ფერმერი ამუშავებს, მისაღები უზრუნველყოფაა. ძირითადი პრობლემა იქმნება „სტარტაპებთან“ დაკავშირებით. ჩვენზე მეტად არავინაა მოტივირებული, სესხი გასცეს და საკრედიტო პორტფელი შექმნას, მაგრამ ისეთი სესხი უნდა გავცეთ, ფერმერმა გადახდა შეძლოს. „სტარტაპს“, განსაკუთრებით ამ სფეროში, აქვს რისკი — გამოუცდელობის გამო დაგეგმილი შემოსავლის ვერმიღება.

— ანუ დამწყებ „ბიზნესმენებს“ არავითარ შემთხვევაში არ დააფინანსებთ?

— დავაფინანსებთ, თუ შეასრულებს რამდენიმე წინაპირობას. მათ შორის, უმნიშვნელოვანესია თანამონაწილეობა, რადგან არ შეიძლება, მხოლოდ სესხით დააფინანსო დამწყები პროექტები.

— რამდენპროცენტიანი თანამონაწილეობაა აუცილებელი?

— მინიმუმ 50%, რაც უფრო მაღალია თანამონაწილეობა, სესხის მიღების მით მეტი ალბათობაა. თუ პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა 100 ლარი, არ შეიძლება ასივე ლარი სესხად აიღო. გარწმუნებთ, ასეთი ბიზნესი, განწირულია. მეორე წინაპირობაა ალტერნატიული გამოცდილების არსებობა. ანუ თუ აგროსესხის მსურველს სხვა სფეროში აქვს ბიზნესის კეთების, მენეჯმენტის გამოცდილება, მას შეუძლია აგროსფეროში გამოცდილების არარსებობა დააბალანსოს აგრონომის აყვანით. დაბოლოს, „სტარტაპს“ სესხი შეიძლება მივცეთ, თუ არსებობს შემოსავლის სხვა წყარო. თუნდაც ბიზნესი, რომელმაც შეიძლება, აგრობიზნესში პრობლემების შექმნის შემთხვევაში, მოახდინოს აგროსესხის მომსახურება. თუ ამ წინაპირობებს ვერ აკმაყოფილებს და ადამიანს აქვს მხოლოდ იდეა და სურვილი — სოფლის მეურნეობაშიც სცადოს ბედი, ვერ დავაფინანსებთ, ასეთ რისკზე ვერ წავალთ. სიმართლე გითხრათ, „სტარტაპები“ გლეხები არ არიან. ეს, ძირითადად, ის ხალხია, ვისაც სოფლის მეურნეობასთან აქამდე საერთოდ არ ჰქონია შეხება და ახლა უნდა, ბედი სცადოს ამ სფეროში. ფერმერს და გლეხს, ვისაც რაღაც პატარა მეურნეობა მაინც აქვს, აქამდეც შეეძლოთ აგროსესხის მიღება და ახლა უკეთესი პირობებით აქვთ ამის საშუალება. არ ვიცი, რატომ გაჩნდა ასეთი მოლოდინი. არასოდეს, არც ერთ ოფიციალურ პირს, ბანკის არც ერთ წარმომადგენელს არ უთქვამს, ამ პროექტის ფარგლებში, ყველას მივცემთ ფულს, ვისაც მოუნდებაო.



— რა უპირატესობა აქვს ამ პროგრამას?

— ის, რომ 13, 14, 15%-იანი სესხის ნაცვლად, 1-2%-იან სესხს მიიღებს და 5-7-ჯერ ნაკლები საფინანსო ტვირთი დააწვება თითოეულ გლეხს და ფერმერს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ აგროსესხების უმრავლესობა იფარება მოსავლის აღების დროს და პროცენტი გროვდება, საბოლოო ჯამში, საკმაოდ დიდი თანხა გამოდის. ამ უზარმაზარმა შეღავათმა ბევრ ფერმერს, გლეხს მისცა დამატებითი სტიმული, ჩაედო ახალი ინვესტიცია და გაეფართოებინა თავისი მიმართულებები. ჩვენთვის კარგია ის, რაც კარგია ჩვენი კლიენტებისთვის.

— ამ პროგრამაში არ არის ჩართული სადაზღვევო სექტორი. თუ ზრდის ეს რისკებს და თქვენ თუ ითხოვთ კლიენტებისგან დაზღვევას?

— სადაზღვევო კომპანიები დღეს უკვე სთავაზობენ კლიენტებს ამ კუთხით პროდუქტებს. როცა დაზღვევის აუცილებლობაზე ინფორმირებულობა გაიზრდება, ფერმერებიც მზად იქნებიან, დაზღვევაში თანხა გადაიხადონ და დაფარვის არეალიც გაიზრდება, კომპანიები ტარიფების შემცირებასაც შეძლებენ. ამას დრო სჭირდება. მანამდე კი, ჩვენ ვერ და არც დავავალდებულებთ მსესხებელს დაზღვევაში ფული გადაიხადოს. ეს ნებაყოფლობითია.

— „საქართველოს ბანკმა“ უკვე რამდენი იაფი აგროკრედიტი გასცა?

— „საქართველოს ბანკი“ სესხებს გასცემს მეორე კომპონენტში, რომელიც საოპერაციო საქმიანობის დაფინანსებას გულისხმობს და მესამე კომპონენტში, რომელიც საწარმოებზეა გათვლილი. მეორე კომპონენტში ფინანსდება ასევე მცირე ინვესტიციებიც. მაგალითად, სათბური, სარწყავი სისტემა... სესხის მოცულობაა 5000-10 000 ლარი და ამ ნაწილში სააგენტოს სუბსიდია ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, მთლიანი საპროცენტო განაკვეთის 9%-ს შეადგენს. მესამე კომპონენტში, არსებული საწარმოს განვითარება იქნება თუ ახალი საწარმოს გახსნა, მოცულობა 30-600 ათასი დოლარია, 7 წლამდე ვადით და სუბსიდია 12%-ს შეადგენს. მესამე კომპონენტში უკვე გავეცით სესხი, რომელიც კლიენტისთვის 3%-იანია — სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახი საწყობი გაკეთდება. დამუშავებაშია რამდენიმე პროექტი — ღვინის ქარხანა, გადამამუშავებელი წარმოება... მეორე კომპონენტში ძალიან ფართო სპექტრია, მიწათმოქმედებით დაწყებული, მესაქონლეობით, საკალმახე მეურნეობებით, ფერმებით, ნახევარფაბრიკატებით... დამთავრებული. ამ ეტაპზე უკვე გაცემულია 30-მდე სესხი, 100-ზე მეტი განაცხადი კი დამუშავებაშია. „საქართველოს ბანკმა“ მემორანდუმს ხელი მარტის ბოლოს მოაწერა. გარკვეული ტექნიკური მომზადება დაგვჭირდა. საბოლოოდ, სულ რაღაც მეორე კვირაა, რაც დავიწყეთ სესხების გაცემა. ამ მოკლე დროში კი, ნახევარი მილიონი ლარი და 100-ზე მეტი განაცხადი, ცოტა არაა. ყოველდღიურად, 5-6 სესხს გავცემთ.

— სულ რა რაოდენობის თანხაა გამოყოფილი ამ პროგრამის ფარგლებში აგროსესხების გასაცემად და სესხის მისაღებად რა ვადაა საჭირო?

— რამდენიმე ათეული მილიონი ლარი. რაც შეეხება ვადას. რაც უფრო ნაკლებ თანხაზეა მოთხოვნა, მით მარტივია შეფასება. მაქსიმუმ, 7 სამუშაო დღეა საჭირო კრედიტის მისაღებად. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა შეგვიწყო ხელი და საბუთები დროულად მოიტანა. თუ მსხვილი საწარმოს დაფინანსებაზე არაა საუბარი, მსესხებლებს არ ვთხოვთ ბიზნესგეგმებს. მთავარია, დაასაბუთონ და აგვიხსნან, რა აქვთ დახარჯული, რა უნდა დახარჯონ, რას გეგმავენ... თუ უნდათ, საკუთარი ხელით ჩამოწერილი ხარჯთაღრიცხვა მოიტანონ. დანარჩენში, განაცხადის შევსება იქნება თუ სხვა, ბანკის წარმომადგენელი დაეხმარება. ისე, გასაუბრებაზევე იგრძნობა, ადამიანს აქვს გამოცდილება თუ არა. ძალიან მარტივი და სასიამოვნოა ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებთან ურთიერთობა. ისინი უმეტესად, კეთილსინდისიერები, პატიოსანი ხალხია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

— სესხზე ყველაზე მეტი განაცხადი რომელი რაიონიდან გაქვთ და უმეტესად, სოფლის მეურნეობის რა დარგებზე?

— კახეთიდან. ეს რეგიონი კვლავაც რჩება საქართველოს ბელლად. შემდეგ, აქტიურობს ქართლი. რაც შეეხება დარგებს, საკმაოდ დივერსიფიცირებულია. ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული აქტიურობით რომელიმე სექტორი გამოირჩევა. ზოგადად, აქამდე ძირითადად, მესაქონლეობის სესხები გვქონდა პორტფელში და არ მგონია, 2-3 წელში, ამ მხრივ, ვითარება, რადიკალურად შეიცვალოს.

— ვისაც უკვე აქვს მაღალ პროცენტში აგროსესხი აღებული, შეუძლიათ პროგრამაში რაიმე ფორმით ჩაებან?

— შეუძლიათ დაარეფინანსირონ სესხი. ოღონდ, ის უნდა აკმაყოფილებდეს მიზნობრიობასა და მოთხოვნილ პირობებს. არის სააგენტოს მიერ დაწესებული შეზღუდვაც — მთლიან პორტფელში, რეფინანსირებული სესხის ოდენობა 1/3-ს არ უნდა აჭარბებდეს. პრიორიტეტი კი, ცხადია, ახალი ბიზნესების დაფინანსებაა. ეს პროგრამა გრძელვადიანია. შესაბამისად, მომავალში, გაცილებით მეტი ადამიანი შეძლებს იაფი სესხების აღებას.

— რამდენად ჯანსაღია კრიტიკა, თითქოს ეს პროგრამა ეფექტური ვერ იქნება, რადგან ბანკებს არ აქვთ აგროსესხების გაცემის გამოცდილება?

— ამ კრიტიკას ჩვენ ნამდვილად ვერ მივიღებთ. ამ მხრივ, შეიძლება ვინმეს აქვს პრობლემა, მაგრამ არა ჩვენ. 5-6 წელია, აგროსესხებს გავცემთ. 40 მილიონის პორტფელი უკვე გვაქვს. პორტფელის ხარისხი იდეალურია — მასში ძალიან ცოტაა გაფუჭებული სესხი. ასე რომ, გამოცდილება საკმარისზე მეტი გვაქვს. გვაქვს სხვა უპირატესობებიც. მაგალითად, — ერთ-ერთი საუკეთესო პოზიცია კვალიფიციური თანამშრომლების რაოდენობის ქსელის მხრივ. ყველა მსხვილი აგრარული რეგიონი გვაქვს დაფარული. მარტო კახეთში, 6 ფილიალიდან გავცემთ სესხებს. ამას გარდა, საკრედიტო მრჩევლების ინსტიტუტი ავამუშავეთ — ჩვენი წარმომადგენლები, ადგილზე მიდიან ადამიანებთან და ახდენენ ჩვენი პროდუქტების წარდგენას, განცხადების მიღებას, ბანკში გადამისამართებას... ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ჩვენმა მომხმარებელმა, ჩვენთან თანამშრომლობით, მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნოს თავი.

„ან რუსები საქართველოში ვითარების არევას ცდილობდნენ ან საქართველოს ხელისუფლება გრუს-თან იყო შეკრული!“

როგორ აღმოჩნდა ბერეზოვსკის დაქირავებული ქილერი ლონდონიდან პანკისში და რა ვერსიები აქვს დაფანყურის ოპერაციაზე მამუკა არეშიძეს

ირუსუდან შელია
557-100-768

„დიდი ეჭვი მაქვს, საქართველოში ბოევიკების მომზადება მართლაც ხდებოდა, ტერორისტები წვრთნებს გადიოდნენ“, — პრემიერ-მინისტრის ამ განცხადებას საზოგადოების ნაწილმა ანტისახელმწიფოებრივი უწოდა, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბოსტონის ტერაქტში ეჭვმიტანილმა ძმებმა ცარნაევებმა წვრთნა სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე გაიარეს. რატომ ეძებს აშშ ტერაქტის კვალს საქართველოში და რატომ არ აწყობს, ამ ეტაპზე, ლაფანყურის ოპერაციის გამოძიება საქართველოს სპეცსამსახურებს, „ვერსიას“ ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე განუმარტავს.

— მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბოსტონის ტერაქტით ხელის მოთბობა რამდენიმე სახელმწიფომ ერთდროულად გადაწყვიტა. რუსეთი ცდილობს, ინციდენტის ავტორად აშშ გამოაცხადოს, ამერიკა კი, თავის მხრივ, ორგანიზატორებს კავკასიაში ეძებს.

აქვე, ერთ საინტერესო ფაქტს დავაკვირდეთ: ძმებ ცარნაევებს საკუთარი ბიძა, ამერიკის მოქალაქე რუსლან ცარნაევი გაემიჯნა, რომლის მეუღლე „ცეერუს“ მაღალი თანამდებობის პირის, გრეჰემ ფულერის ქალიშვილი იყო და 90-იან წლებში ყაზახეთში ამერიკული ხაზით მუშაობდა. საინტერესოა ისიც, რომ წლების განმავლობაში, რუსლან ცარნაევი კერძო სამხედრო კომპანია „ჰალი ბარტონთან“ თანამშრომლობდა, რომელიც დღემდე დიკ ჩეინის საკუთრებას წარმოადგენს.

— თუ ამით იმის თქმა გსურთ, რომ ბოსტონის ტერაქტი აშშ-ს დადგმული სცენარია, რატომ ცდილობს თეთრი სახლი პროცესებში კავკასიის, კერძოდ, საქართველოს ჩართვას?

— ჯერჯერობით, ამ თეორიის განხილვა მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება. ბოსტონის ტერაქტს რუსეთიც აქტიურად იყენებს და ერთდროულად ორი კურდღლის მოკვლასაც ცდილობს. საქმე იქამდე მივიდა, რომ მაქსიმ შევჩენკოს საშუალებით, საქართველოსთან ერთად, საერთაშორისო ასპარეზზე აზერბაიჯანის დისკრედიტაციაც დაიწყო, რომელიც რეალურად, ამ საქმეში არაფერ შუაშია. შევჩენკოს ვერსია ასეთია: მას შემდეგ, რაც გაისად, ავღანეთიდან ამერიკული კონტინგენტი გამოვა, აზერბაიჯანში ამერიკელი სამხედროების განსალაგებლად საფუძვლიანი მიზეზის დასახელება აუცილებელია. შევჩენკოს განცხადებით, აზერბაიჯანის ხელისუფლება მზადაა, ავღანეთიდან გამოსული სამხედრო ძალა საკუთარ ტერიტორიაზე დააბანაკოს. მიზეზიც ნაპოვნია: საქართველოში ბოევიკების, ხოლო ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ვაჰაბიტების წვრთნა მიმდინარეობს. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, რუსები მალე გაბალის ბაზას დატოვებენ და იგი აზერბაიჯანის მხარეს გადაეცემა. ჩვენს მეზობელ სახელმწიფოს ბაზის მართვის რესურსი არ გააჩნია, რისთვისაც ავღანეთიდან გამოსულ ამერიკელებს გამოიყენებენ.

— რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ შევჩენკოს თეორია რეალობას მოწყვეტილია, მით უმეტეს, აშშ-ს სპეცსამსახურები ბოსტონის ტერაქტის დრამატიზებას ახდენენ და 11 სექტემბრის ტრაგედიას ადარებენ.

— რა თქმა უნდა, შევჩენკოს თეორიაში სიმართლის მარცვალი არსებობს, მაგრამ თუ ავღანეთის შემდეგ, ამერიკელები სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის, აზერბაიჯანში გაჩერდებიან, ეს პროცესი ტერორისტებთან კავშირში არ იქნება. აქ საჰაერო სივრცის კონტროლზე ბრძოლა მიმდინარეობს. საქართველოში ამერიკული კონტინგენტის განთავსება ვერ მოხერხდება, რადგან ჩვენს ტერიტორიაზე რუსული ჯარია განთავსებულია. დიახ, ერთი შეხედვით, ბოსტონში დიდი მასშტაბის ტერაქტი არ მომხდარა. სამწუხაროდ, 3 ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ტერაქტის ბევრად მეტი მსხვერპლიც გვინახავს, თუმცა ადრე, მას მსგავსი რეზონანსი არ მოჰყოლია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩეჩნებმა ამერიკაში პირველი ტერაქტი განახორციელეს.

— საინტერესოა, ამ ფონზე, საქართველო რა როლს ასრულებს და მმართველი გუნდი რატომ აცხადებს, რომ ქვეყანაში ბოევიკებს ამზადებდნენ — ამერიკის კონტინგენტის შემოსვლის პროცესს ვაჩქარებთ თუ რუსეთს ვაძლევთ საქართველოში შემოსვლის საბაბს?

— პრემიერმა საკმაოდ კარგი განცხადება გააკეთა — ეჭვი მაქვს, წინა ხელისუფლება ბოევიკებს ამზადებდაო. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი სახელისუფლო გუნდის პირობებში, პროცესი შეჩერებულია. ლაფანყურის მოვლენები გავიხსენოთ: თურქეთში, სპეცოპერაციიდან რამდენიმე დღეში, ოთხი ჩეჩენი დააპატიმრეს.

ჩნდება კითხვა — ვინ არიან ისინი და რატომ აპატიმრებენ მათ სწორედ ლაფანყურის ოპერაციის შემდეგ? ირკვევა, რომ ვინმე ზოონი, ორ პიროვნებასთან ერთად, პანკისის ხეობაში იჯდა და კავკასიაში საბრძოლველად ახალგაზრდები ევროპიდან ჩამოჰყავდა. ეს ადამიანი საქართველოში რუსლან პაპასკირის სახელით ცხოვრობდა. თურქეთში დაკავებული ოთხი ჩეჩენიდან განსაკუთრებით საინტერესო ფიგურა ჯამაათების ოჯახის წევრი, სუფია ნახმედოვია, რომელიც რამდენიმე წლის წინ, ბრიტანეთში დააკავეს. მან ბრიტანელ სამართალდამცავებთან განაცხადა, რომ ბერეზოვსკის მიერ დაქირავებული მკვლელია და ლონდონში კონკრეტული ადამიანების ლიკვიდაცია ევალებოდა.

— კი, მაგრამ როგორ აღმოჩნდა ბერეზოვსკის მიერ დაქირავებული ქილერი ლონდონიდან საქართველოში?

— სწორედ ესაა საქმე. მოულოდნელად, სუფია ლონდონიდან პირდაპირ პანკისის ხეობაში მოხვდა. ამასობაში, დადგინდა, რომ ნახმედოვი გრუ-ს თანამშრომელი იყო. ამ შემთხვევაში, ორი ვარიანტი არსებობს: ან რუსები საქართველოში ვითარების არევას ცდილობდნენ, ან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი გრუს-თან იყო შეკრული.

— რისი ლოგიკური დასასრულიც ლაფანყურის სპეცოპერაცია იყო?

— ლაფანყურის ოპერაციის სცენარით მოვლენების განვითარება აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. საბოლოოდ გამოვიდა, რომ სპეცოპერაციას ერთი მიზანი ჰქონდა — მაშინდელი ხელისუფლების დისკრედიტაცია. შესაძლოა, პროცესი კრახით ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილს შორის არსებული დაპირისპირების გამო დასრულდა, ან უარეს შემთხვევაში, რუსეთის სპეცსამსახურებმა საქართველოს ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენლის დახმარებით, ნაციონალური მოძრაობის დამხობის ოპერაცია ჩაატარეს.

— არჩევნებამდე ნაციონალური მოძრაობის დისკრედიტაცია, პირველ რიგში, „ოცნების“ ინტერესებში შედიოდა. გამოდის, რუსეთი თქვენ დაგეხმარათ?

— რა თქმა უნდა, ნაციონალების დისკრედიტაცია „ოცნების“ ინტერესიც იყო, მაგრამ ჩვენ მაშინ ნამდვილად არ ვიყავით ორგანიზებული ძალა, რომელსაც მსგავს საქმეში, თუნდაც უმნიშვნელო მონაწილეობა შეეძლო. მართალია, გამოდის, „ქართული ოცნება“ პროცესს ირიბად დაეხმარა, მაგრამ ჩვენ ამის თავი არ გვქონდა. ბოლოს და ბოლოს, არჩევნების წინ, ამ მიმართულებას მე ვხელმძღვანელობდი და, კარგად ვიცი, მაშინ რისი გამკეთებლებიც ვიყავით.

ვფიქრობ, სააკაშვილის გუნდს ვიღაცამ აჯობა და მათ მიერ წამოწყებული საქმე, სულ სხვა ძალამ გამოიყენა.

— თუ ასეა, საინტერესოა, ახალი ხელისუფლების პირობებში, ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიება რატომ ჭიანურდება?

— გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ზღვა მასალაა მოსაგროვებელი. მთავარ კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ ვერ მივიღეთ.

რეალურად, რა მოხდა ლაფანყურამდე და რატომ შეიცვალა გზაში მთავარი სამოქმედო გეგმა — ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს დიდი მნიშვნელობა აქვს. ასევე მნიშვნელოვანია ზოგიერთი ყოფილი მაღალჩინოსნების გაუთავებელი ვიზიტები მინსკსა და დუბაიში, რომელიც მხოლოდ ტურისტული ცენტრი არ არის. სამწუხაროდ, ამ საკითხებზე დეტალურად, ჯერჯერობით, ვერ ვისაუბრებ. პირდაპირ გეტყვით, საქართველოს სპეცსამსახურებს ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიება, ჯერჯერობით, არ აწყობთ.

— რატომ მიმდინარეობს გამოძიება ფორმალურად, როცა დიდი ხანია ცნობილია იმ ყოფილი მაღალჩინოსნების ვინაობა, ვინც სპეცოპერაცია დაგეგმა და განახორციელა, თუ ისევ და ისევ, რუსეთის ფაქტორს ითვალისწინებთ?

— ვერ ვიტყვი რომ გამოძიება ფორმალურად მიმდინარეობს, მაგრამ პირადად მე, ვფიქრობ, ლაფანყურის სპეცოპერაციისას ერთ-ერთი გარდაცვლილის გვამის ეგსჰუმაციას ჩავატარებდი, რომელსაც ვიზუალური დათვალიერების შემდეგ ბრონირებულ ჟილეტზე 12 ტყვია აღმოაჩნდა. დიდი ხანია ვამბობ, რომ ეს ადამიანები მძინარეები ჩაცხრილეს. ლაფანყურის საქმის გამოძიებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, უამრავი ადამიანი ელოდება. ასე რომ, მისი მიჩქმალვა შეუძლებელია. რაც შეეხება რუსეთს, მისი რომც გვეშინოდეს, გამოძიების გაჭიანურების მიზეზად არ უნდა ჩავთვალოთ. უბრალოდ, ახლა პოლიტიკური გადაწყვეტილება რთული მისაღებია: სპეცოპერაციის გამოძიებით საქართველოს იმიჯი დაზარალდება თუ პირიქით, საქმის ბოლომდე მიყვანითა და დამნაშავეების დასჯით საქართველოს პირს მოვწმენდთ. სხვათა შორის, მაისში თურქეთში „შურას“ შეკრება იმართება, სადაც სპეცოპერაციაში მონაწილე ყოფილ მაღალჩინოსნებს ვერდიქტს გამოუტანენ.

გიორგი თარგამაძე: „თუ ივანიშვილი პრინციპული კაცია, დაგვანახოს თავისი თანმიმდევრულობა და თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ...“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ტაიმ აუტი პოლიტიკაში ქრისტიან-დემოკრატებისთვის გასული წლის ოქტომბერში დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა. პრესაში აღებულ რამდენიმეთვიან ტაიმ აუტს კი პარტიის ლიდერი გიორგი თარგამაძე „ვერსიისთვის“ არღვევს და ქართულ პოლიტიკურ ფერხულში საინტერესო შეფასებებით, გეგმებითა და ანონსებით ბრუნდება — საჭიროების შემთხვევაში პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის დატოვება, საპროტესტო აქციები, პიკეტი... „ვერსიის“ რესპოდენტი გიორგი თარგამაძეა.

— თებერვლის დასაწყისში განაცხადეთ, ფიქრის დრო აღარაა, პოლიტიკაში ვბრუნდებიო და თარიღის დაკონკრეტება დაგავიწყდათ?

— გარკვეულმა მოვლენებმა უჩვენოდ იმიტომ გაიარა, რომ თავად ეს მოვლენები მიმაჩნდა ჭიქაში ატეხილ ქარიშხლად. საკონსტიტუციო ცვლილებები ნაციონალებისთვის ხელოვნური სუნთქვის ჩატარება იყო, სრულიად კომიკური დებატების ფონზე, გააზვიადეს საფრთხეები, იყო უსაგნო აქცია და ა.შ. შესაბამისად, ნაცებისა და „ოცნების“ ხელოვნურ კინკლაობაში შესვლას აზრი არ ჰქონდა. ჩვენც დრო უქმად არ დაგვიკარგავს და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავად ჩვენი პარტიის შიგნითაც რთული პროცესები მიდიოდა.

— თქვენ არც სამუშაო-გაბუნიას გასვლა შეგიფასებიათ პარტიიდან. არც ის ვიცით, ახლა რას საქმიანობთ ან მომავალში რას აპირებთ?

— იმ ლიდერთა რიცხვს არ მივეკუთვნები, რომლებიც წევრების პარტიიდან წასვლაზე დიდი არაფერიო, ამბობენ. ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩვეულებრივი პროცესია და ამით არაფერი დაგვაკლდა — დაგვტოვა რამდენიმე ადამიანმა, აქედან ზოგი პოლიტიკიდან წავიდა, ზოგიც სხვის ბანაკში გადაბარგდა. რა თქმა უნდა, ყველას მიმართ ერთი დამოკიდებულება არ მექნება. ზოგზე, გულნატკენთან ერთად, ნაწყენიც ვარ და ეს ჩვენი პირადი ურთიერთობის საკითხია. საქართველოში ისედაც არ იყო ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი, ამიტომაც არ ვღვრი ცრემლებს და არ ვიხოკავ ლოყებს, არიქა, ეს რა პროცესი დაანგრია და გაჭედა ივანიშვილმაო. ბევრი საფუძველი გვაქვს, ივანიშვილისა და მისი ბანაკის ბოსტანში კენჭები ვისროლოთ, მაგრამ არ მინდა.

— გამოტოვეთ ნაძალადევის არჩევნებიც. რატომ?

— ამ ეტაპზე, ეს არ ჩავთვალეთ საჭირო. თუ ზოგადად, თავისუფალ კონკურენციაზე ვსაუბრობთ, მაშინ თვისებრივად საინტერესო იყო ის შედეგები, რაც თუნდაც ნაძალადევში დაიდო. აღმოჩნდა, რომ მეორე ადგილზე გავიდა კახა კუკავა, ადამიანი, რომელიც სულაც არ გამოირჩეოდა ახალი ხელისუფლებისადმი ლოიალურობით. „ოცნებისთვის“ ეს უკვე სერიოზული პრობლემაა — ჯერ ერთი, ისინი თვეების განმავლობაში აქტიურად მუშაობენ ნაციონალების, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის ჩამოყალიბებისთვის. ასე რომ, კუკავას მეორე ადგილი „ოცნებისთვის“ პრობლემაა — კახას ხალხმა მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ ის ბიძინას მიმართ განსაკუთრებული ლოიალობით არ გამოირჩევა. თან ეს ყველაფერი ეპოქალური არჩევნებიდან 6 თვის თავზე ხდება. ამიტომ ნაძალადევის არჩევნების შედეგების შემდეგ უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

— და რა გაძლევთ ამ ოპტიმიზმის საფუძველს, ტოვებთ საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს, სასამართლო რეფორმას და ა.შ. ახლა ისიც აღმოჩნდა, რომ „ოცნება“ არაკეთილსინდისიერად გეთანამშრომლებათ!

— ჩავთვალოთ, რომ ინტერფრაქციულ ჯგუფში ყველა წევრის, მათ შორის, ლევან ვეფხვაძის გარეშე შეხვედრის ჩატარება პატარა შეცდომა იყო, რაც ქართულმა ოცნებამ დაუშვა. „ოცნება“ და ნაციონალები გუგულებივით შეიყუჟნენ დახურულ კარსმიღმა და იმდენი სიეშმაკეც არ ეყოთ, ამის შესახებ შემდეგ ტელევიზიით არ გამოეცხადებინათ. შევარდნაძისა და სააკაშვილის დროსაც კი ასეთი ჯგუფების მუშაობას ინტერპარტიული სახე ჰქონდა და იქ მხარეები პარტიები იყვნენ და არა დეპუტატები. დაგვპირდნენ, მსგავსი რამ აღარ განმეორდებაო, თუმცა თუ კიდევ შევნიშნეთ, რომ კულუარებში პოლიტიკის ბედის გადაწყვეტის მცდელობა აქვთ, არათუ ვამხელთ, საერთაშორისო საზოგადოებას პროცესებში აქტიური ჩართვისკენ მოვუწოდებთ!

— ანუ თუ „თანამშრომლობა“ ასე გაგრძელდა, ჯგუფს არ დატოვებთ?

— ჯგუფს დავტოვებთ კი არა, შეიძლება, გაცილებით რადიკალურ ფორმებსაც მივმართოთ,

> **თუ დავინახავთ, რომ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო — აქციებსაც მოვაწყობთ, ჯგუფის მუშაობის პიკეტირებასაც მოვახდენთ! ამას ნურავინ გაიოცებს, რადგან ჩვენმა ოპონენტებმა, უბრალოდ, მოგვაწებეს „სატელიტების“ იარლიყი. ჩვენ არასწორი სტერეოტიპების მსხვერპლნი ვართ, რადგან იმ დროს ოპოზიციის მიერ ქუჩაში პროცესების ისეთი რადიკალიზაცია მიდიოდა, რთული იყო მათთვის გადაგეჯოკრა! ჩვენ კი არც მაშინ და არც ახლა, პოლიტიკური შეიარაღებიდან არც საპროტესტო აქციები გამოგვირიცხავს, არც პიკეტი.**

მალე უფრო აქტიურებიც გავხდებით და უფრო მეტადაც გამოვჩნდებით. ახლაც, ფაქტობრივად, დღე არ გადის, ჩვენმა რომელიმე ლიდერმა ბრიფინგი არ ჩაატაროს, მაგრამ ჯერ იყო ეს საკონსტიტუციო აჟიოტაჟი და გაუგებარი შიში, მერე რაღაც მოლოდინი ამ ყოვლად გაურკვეველ 19 აპრილთან. სხვათა შორის, თავად ნაციონალურ მოძრაობას უკვე დაავიწყდა ამ აქციის შესახებ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი ამის დავიწყების საშუალებას თავად არ აძლევს საზოგადოებას. ამ ბოლო დროს, ყოველდღე ამ 19 აპრილზე ლაპარაკობს.

— ამის მიზეზი რა არის, როგორ ფიქრობთ?

— არ ვიცი, ამას რამდენად შეგნებულად აკეთებს, მე უფრო მის პოლიტიკურ გამოუცდელობას ვაბრალებ, მაგრამ მინდა, ყველამ იცოდეს: ნაცმოძრაობა დღეს აქტუალური მხოლოდ ერთი მიზეზის გამოა — ეს პარტია თავად ბიძინა ივანიშვილისთვისაა აქტუალური! ალბათ, კომფორტულია, ოპონირების რეჟიმში, ძირითადად, თავშიწამოსარტყამი ნაცმოძრაობა გყავდეს. თან ივანიშვილი მათი პოლიტიკური ოჯახიდან და გარემოცვიდანაა გამოსული და, შესაძლოა, ამ ჯგუფსა და ლიდერებზე რაღაც ისეთი იცის, რაც ჩვენ ვერც წარმოგვიდგენია.

— ივანიშვილსა და ობმუდსმენ უჩა ნანუაშვილს სხვა საინტერესო ინფორმაციაც აქვთ — ქვეყანაში ტერორისტები გვყოლია, თანაც, მათთან ყოფილი ხელისუფლება თანამშრომლობდა. არის თუ არა ეს საფრთხის შემცველი განცხადება?

— ნანახი გექნებათ ისლამისტური მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი შახსეი-ვახსეის პროცესია — როგორ იზიანებენ თავს მათრახის რტყმით. ეს რელიგიური რიტუალის ნაწილია და თვითგვემაში გადადის. მგონი, ივანიშვილის მხრიდან საქართველოს თუნდაც ირიბი დადანაშაულება ჯერ აგვისტოს ომის დაწყებაში და შემდეგ ტერორიზმის ხელშეწყობაში, ამ შახსეი-ვახსეის სიმბოლური გამოხატულებაა! მეც მიმაჩნია, რომ ძველი ხელისუფლება ბევრ რამეშია დამნაშავე, რის გამოც პასუხი უნდა აგოს, მაგრამ აქ მთავარი სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობა და ცალკეული თემების გაჟღერების ფორმაა.

> **თუ ივანიშვილი პრინციპული კაცია, დაგვანახოს თავისი თანმიმდევრულობა და თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ — ჩეჩნური ელემენტების აქტიურობა საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით, სააკაშვილის დროს დაფიქსირდა?! ხომ არ გვაქვს უახლეს ისტორიაში გაცილებით სამწუხარო მტკიცებულებებით გაჯერებული ისტორიები, როცა მსგავსი რამ საქართველოს სინამდვილეში შევარდნაძის დროს ხდებოდა?! მაშინ რას ნიშნავდა რუსლან გილაევის მსხვილი რაზმის მოგზაურობა საქართველოს ტერიტორიაზე და ის პროვოკაციული მოვლენები, რაც აფხაზეთში დაიწყო? მოდი, ესეც გამოვიძიოთ და მაშინდელი დამნაშავეებიც დავსაჯოთ, ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში. ადგეს ბიძინა ივანიშვილი და ედუარდ შევარდნაძისა და იმ ძალოვნების საკითხიც დააყენოს, ვინც იმ დროს სწორედაც ხელს უწყობდა გილაევის ბანდებს ჩვენთან მოგზაურობაში!**

— მაშინ სადაა ლოგიკა, ვინც რჩება მოგებული ამ სიტუაციიდან?

— გულწრფელობა ივანიშვილისთვის რაღაც ტრენდად იქცა. მგონი, მისგან უკეთესს არც არაფერს უნდა ველოდეთ — კაცი ამბობს, არათუ პოლიტიკოსი არ ვარ, პოლიტიკა არ მიყვარსო! ჩათვალეთ, მისი ყველა ეს განცხადება არაკეთილმოსურნე მხრის მიერ უკვე სახეში გვაქვს აფარებული. როცა მოლაპარაკებაზე მიდიხარ, შენი ყველაზე ძლიერი წერტილი მეტოქის ყველაზე სუსტი წერტილია. შენ კი დაინტერესებული უნდა იყო, შენი სუსტი წერტილები უფრო სუსტად შენვე არ აქციო. რუსეთთან ურთიერთობაში შენ მას ევაჭრები შენი ურთიერთობებით ამერიკასთან და რა გამოაცლის საფუძველს ნატოსა და ამერიკასთან შენს ურთიერთობებს — შენი ტერორიზმში ჩართულობა! პოლიტიკოსის მიერ დაშვებული შეცდომა დანაშაულია! გავიგეთ, რომ ივანიშვილს არ აქვს პოლიტიკური გამოცდილება, ამიტომ იკვეთება მისი გარემოცვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხიც!

— სხვათა შორის, ივანიშვილის განცხადებას ყოფილი ხელისუფლებაც დაახლოებით ასე გამოეხმაურა...

— თუ ვინმე მეტყვის, რომ ჩვენი პოზიციები ემთხვევა ნაციონალების პოზიციას, ბოდიში, მაპატიეთ, მაგრამ სულ ფეხებზე მკიდია! ჩემთვის ეს თემა დამთავრებულია და თუ ვინმესთვის ასე არაა, ეს მისი პრობლემაა! იცით რა, შეიძლება ნაციონალების აზრებს რაღაც საკითხებში ჩვენი პოზიცია, მართლაც, ჰგავს, მაგრამ გაჩერებული საათიც კი ორჯერ დღეღამეში სწორ დროს უჩვენებს! ჩვენ გვაქვს სურვილი, პოლიტიკურ მოედანზე კვლავ აქტიურ მოთამაშეებად დავბრუნდეთ და ეს მოხდება ხვალ, როცა მე და გიორგი ახვლედიანი აბაშაში, იმ მიწაზე დავდგებით, რომლის გაყიდვაც ეკონომიკის სამინისტრომ დააანონსა. ეს მოხდება ზეგ, როცა ქრისტიან-დემოკრატები საკანონმდებლო წინადადებას შევიტანთ პარლამენტში. ცვლილება ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელთა მიერ საკუთრებაში შეძენის რეგულირებას. ასევე, ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის პირობების გამკაცრებასა და ა.შ. ეს ის თემებია, რაც ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისთვის! თუ ჩვენი მოთხოვნები ხალხის დიდი ნაწილის ინტერესებს გამოხატავს და მას ხელისუფლება იგნორს უკეთებს, ე.ი. ის იგნორს უკეთებს ხალხის დიდი ნაწილის ინტერესებსაც!

ვერსიანიუსი

პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი დღეიდან იწყება

პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი დღეს დაიწყო და 20 ივნისის ჩათვლით გასტანს, — ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ლევან ქებურიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, რეგისტრაცია ბავშვების მშობლებმა უნდა გაიარონ ვებ-გვერდზე www.mes.gov.ge ან www.registracion.emis.ge.

ლევან ქებურიას თქმით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელია, რომ დოკუმენტები 2013 წლის 21 ივნისიდან 2013 წლის 3 ივლისის ჩათვლით წარადგინონ.

ლევან ქებურიას ინფორმაციით, რეგისტრაციის მესამე ეტაპის ვადად განსაზღვრულია 2013 წლის 10 ივლისიდან 2013 წლის 18 ივლისის ჩათვლით.

„რეგისტრაცია განხორციელდება იმ გამოთავისუფლებულ ადგილებზე, სადაც მშობელი მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელ საბუთებს განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს“, — აღნიშნა ქებურიამ.

რაც შეეხება გამოცდების ექსტერნად ჩაბარების წესს, განათლების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის განმარტებით, ახალი წესი მხოლოდ იმ მე-12 კლასელებს შეეხება, რომელთაც 2012-2013 სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

„ამ კატეგორიის მოსწავლეებს რეგისტრაცია 2013 წლის 29 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრში უნდა გაიარონ. ექსტერნად გამოცდები 2013 წლის 7 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით ჩატარდება“, — განაცხადა ლევან ქებურიამ.

„ინტერპრესნიუსი“

„კერძო იპოთეკარების კორუფციულ გარიგებებს პარლამენტარები მფარველობენ“

რა სკანდალური სიების გამოქვეყნებას აპირებენ იპოთეკური სესხებით დაზარალებული მოშიმშილეები

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრის წინ იპოთეკური სესხებით დაზარალებული აქციის მონაწილეების ბედით „ვერსია“ დაინტერესდა. მოშიმშილეებმა „ვერსიას“ იმ სკანდალური სიების შესახებ უამბეს, რომელიც ძალოვანი მინისტრებისა და პარლამენტარების ოჯახის წევრებს ეხება. მათი თქმით, კერძო იპოთეკარებს ახალი და ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები მფარველობენ, რადგან ამ შემოსავლიანი ბიზნესით სწორედ ისინი არიან დაკავებულნი.

აქციის მონაწილეები ამტკიცებენ, რომ საკუთარი ძალებით ჩაატარეს გამოძიება, რომელმაც ბევრი მაღალჩინოსნის ახლო ნათესავების კვალზე გაიყვანა. მათი თქმით, დაპირების მიუხედავად, ივანიშვილის მთავრობა დაზარალებულების საქმეს არ იძიებს, რადგან იმ ფარული სქემების გამოაშკარავება არ აწყობთ, რომლის მეშვეობითაც ჩინოვნიკების ნათესავები ათობით ბინას მიზერულ ფასებში ყიდულობენ და მილიონობით დოლარის ქონებას აგროვებენ.

„ძველი და ახალი ხელისუფლების წევრები იპოთეკარების კორუფციული სქემების მფარველობისთვის კოჰაბიტირებენ. ჩვენ გამოვიძიეთ და მივაკვლიეთ ისეთ იპოთეკარებს, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში ირიცხებოდნენ და ამავდროულად, ათი ათასობით დოლარის სესხებს გასცემდნენ. აღმოვაჩინეთ, რომ ბევრი მათგანი მართლაც, სოციალურად დაუცველია, თუმცა ძალიან მაღალი რანგის ჩინოსნების მძღოლები ან შინამოსამსახურეები არიან. ვიცით კონკრეტული პარლამენტარები, რომელთა ოჯახის წევრები ამ ბიზნესით მილიონობით დოლარს აგროვებენ“, — აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე მთვარისა ქაჯაია.

აქციის მონაწილეები პრემიერთან შეხვედრას, გამოსახლების პროცესის შეჩერებასა და გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი საბანკო სესხების გაცემას ითხოვენ. ასევე მიიჩნევენ, რომ ახალმა ხელისუფლებამ იპოთეკური სესხების გაცემასთან დაკავშირებული კანონმდებლობა უნდა შეცვალოს და ის საქმეები გამოიძიოს, რის შედეგადაც ათასობით ადამიანმა უკანონოდ დაკარგა საცხოვრებელი ფართი. პირობების არშესრულების შემთხვევაში კი, მოშიმშილეები სიების გამოქვეყნებით იმუქრებიან, სადაც იმ მაღალჩინოსანთა სახელები და გვარები იქნება დასახელებული, რომელთა ოჯახის წევრები აღნიშნული უკანონო ბიზნესით არიან დაკავებულნი.

მთვარისა ქაჯაიას მტკიცებით, ხელისუფლება მხოლოდ კერძო იპოთეკარებს კი არა, იმ ბანკებსაც მფარველობს, რომლებმაც ათასობით ადამიანს ხელშეკრულების პირობების შეცვლით ბინები წაართვა:

„აბსოლუტურად ყველა ბანკი, რომელიც მიკროსაფინანსო სესხებს გასცემს, ხელისუფლებასთან გარიგებულია. მათ გააღატაკეს მთელი საქართველო და განსაკუთრებით — რეგიონები“.

აქციის მონაწილე განმარტავს, რომ ბანკის ხელშეკრულების მიხედვით, სესხის წინასწარ დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელს პირგასამტეხლოს სახით, დამატებითი პროცენტების გადახდა უხდებოდა, ამიტომ ბანკები მათ აიძულებდნენ წინასწარ, ვადაზე ადრე დაეფარათ სესხი და დამატებითი პროცენტი გადაეხადათ. რაც შეეხება კერძო მესაკუთრეებს, ისინი ხელშეკრულების პირობებს თვითონვე არღვევდნენ და დამატებითი პროცენტების გადახდას დაზარალებულებისგან ითხოვდნენ. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიზერულ ფასებში გაცილებით მაღალი ღირებულების ბინებს ყიდულობდნენ და საკუთრებაში იფორმებდნენ. მოშიმშილეების თქმით, იპოთეკარების — ლიანა პავლიაშვილისა და მიხეილ კალაშიანის სახელზე რამდენიმე ათეული ბინა ირიცხება. მიხეილ კალაშიანი გაფიცული ირინე მღვდელაძის იპოთეკარია, რომელმაც შიმშილობის 28-ე დღეს პრემიერის ბიზნესცენტრის წინ ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ რთულია, დამწვარი აქვს სახე და უჭირს მხედველობა. სახიფათოა დანარჩენი გაფიცულების ჯანმრთელობის მდგომარეობაც. აქციის ოთხი მონაწილე: მთვარისა ქაჯაია, მზია ჯიბლაძე, ირინე მღვდელაძე და დავით ლურსმანაშვილი უკვე თვეზე მეტია შიმშილობენ. ისინი ხელისუფლებას ტყუილი დაპირებების გაცემასა და უყურადღებობაშიც ადანაშაულებენ და აცხადებენ, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ტყუის, როდესაც აცხადებს, რომ მოშიმშილეებთან აქტიური კონტაქტი აქვს და მათი პრობლემის გადაჭრაზე მუშაობს. ირინე მღვდელაძე ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მოშიმშილეებს ყოველდღე ისე აუვლის გვერდს, რომ მათი მდგომარეობით არც კი ინტერესდება.

„ჩვენ, ყველანი, „ქართული ოცნების“ წევრები და აქტიური მხარდამჭერები ვიყავით. ქართველმა ხალხმა ახალი ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის მიზნით აირჩია. თუ ესენიც, წინა ხელისუფლების მსგავსად, ადამიანების ბედით არ დაინტერესდებიან, მაშინ რისთვის ვიბრძოლეთ ამდენი?! მოვითხოვთ, მოგვაქციონ ყურადღება და სასწრაფოდ შეაჩერონ გამოსახლების პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროტესტო ტალღა მთელ საქართველოს მოიცავს და პროტესტის უკიდურეს ფორმებს მივმართავთ“, — აცხადებს ირინე მღვდელაძე.

თვითნებურად შესახლებულებმა ბათუმის მერიაში შეჭრა სცადეს

ხელვაჩაურში ყოფილი 53-ე და 25-ე ბატალიონში შესახლებულებმა, ასევე, იპოთეკური და საბანკო დავალიანების მქონე მოსახლეობამ ბათუმის მერიაში შეჭრა სცადეს. მოსახლეობასა და შენობის დაცვის სამსახურს შორის კამათი მცირე ხანს გაგრძელდა, რის შემდეგაც მოსახლეობას ბათუმის მერი გაესაუბრა.

მოსახლეობა ყოფილი 53-ე და 25-ე ბატალიონის ტერიტორიაზე ფიცრულის ტიპის ნაგებობების დანგრევას აპროტესტებს და მერიას სთხოვს, სანამ სპეციალური კომისია შეისწავლის საკითხს, მანამდე მათ საშუალება ჰქონდეთ, იცხოვრონ აღნიშნულ ტერიტორიებზე. აქციის მონაწილეებთან ერთად, უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძეც იმყოფებოდა, რომელმაც აღნიშნა, რომ მერიამ მოსახლეობას პასუხი უნდა გასცეს, რადგან ტერიტორია, სადაც თვითნებურად შესახლებულები ცხოვრობენ, მერიის საკუთრებაა.

როგორც ბათუმის მერმა, ჯემალ ანანიძემ აღნიშნა, იპოთეკური სესხების შემთხვევაში, მერია დახმარებას ვერ გასცემს, ხოლო რაც შეეხება ტერიტორიიდან გასახლებას, როგორც ანანიძემ განმარტა, **„რადგან ტერიტორია ბათუმის საზღვრებშია, მერია ვალდებული იყო, ნებისმიერი უკანონო მიშენების შემთხვევაში შეტყობინება გაეგზავნა იმ მესაკუთრისთვის, ვინც მიწას ფლობდა. რადგან მიწას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო განაგებს, მათ გავაგებინეთ“.**

თვითნებურად შესახლებულები ბათუმში პერმანენტულ აქციებს რამდენიმე თვეა მართავენ.

„ინტერპრესნიუსი“

ზურაბ აბაშიძე: „თურქეთი დაინტერესებულია, სოჭის ოლიმპიადისთვის ტვირთები საქართველოს ტერიტორიაზე გაატაროს“

თურქეთი დაინტერესებულია, სოჭის ოლიმპიადისთვის საკმაოდ დიდი რაოდენობის ტვირთი, ტრანზიტის სახით, საქართველოს ტერიტორიაზე გაატაროს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ განუცხადა. მისი თქმით, ეს საკითხი განსჯის საგანია.

„საუბარია თურქული ტვირთების გატარებაზე საქართველოს გავლით, ყაზბეგი-ლარსის მარშრუტით. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ეს მსჯელობის საგანია და მისი განხილვა საექსპერტო დონეზე მიმდინარეობს. მაგრამ ეს, თავისთავად, საინტერესოა, რადგან საკმაოდ სოლიდური საბიუჯეტო შემოსავალს მოიტანს საქართველოსთვის თუ ეს გაკეთდა“, — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

ამასთან, ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა, თუ რა საკითხებზე გაამახვილა ყურადღება სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მიმდინარე „როუზ-როსის“ სემინარზე სიტყვით გამოსვლისას. აბაშიძის თქმით, საუბარი შეეხო პირდაპირი დიალოგის იმ ფორმატს, რომელიც პრემიერის ინიციატივით შეიქმნა და რომელიც გულისხმობს შეხვედრებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან:

„შეხვედრაზე ვისაუბრე იმ წინგადადგმულ ნაბიჯებზე, იმ გარკვეულ ხელშესახებ შედეგზე, რომლებიც მიღწეულია დიალოგის დაწყების შემდეგ. კერძოდ, ეს არის გარკვეული წინსვლა ქართული პროდუქციის დაბრუნების თვალსაზრისით რუსულ ბაზარზე“.

მისივე თქმით, ასევე მოგვარდება გარკვეული საატრანსპორტო წინაღობები.

„მხედველობაში მაქვს ყაზბეგი-ლარსის გამშვები პუნქტი, რომელიც 1 ივნისიდან დაიწყებს 24-საათიან მუშაობას. ეს საჭიროა იმისთვის, რათა ჩვენი ექსპორტი გავიდეს უმოკლესი გზით“, — განაცხადა აბაშიძემ.

„ინტერპრესნიუსი“

„დედათა კომიტეტი“ ხელისუფლებას მოუწოდებს, გაანახევროს საპატიმროები!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ახალი ხელისუფლების პირობებში, ათასობით პატიმარმა ციხის კედლები დატოვა, თუმცა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მდგომარეობა დღემდე მოუგვარებელია. „ვერსია“ დაინტერესდა, რა ვითარებაა დღეისთვის პენიტენციალურ სისტემაში და რა ცვლილებებია გასატარებელი დარღვევების გამოსასწორებლად. ამ საკითხზე „დედათა კომიტეტის“ თავმჯდომარეს ქეთევან ადამიას ვესაუბრეთ.

— ჩვენ ვითხოვდით ორთაჭალის №1 დაწესებულების დახურვას, რაც ხელისუფლებამ გაითვალისწინა და ეს საშინელი ციხე სასწრაფოდ დახურა. ასეთ მცირერიცხოვან ერს 19 საპყრობილე არ სჭირდება და, ჩემი აზრით, მათი რიცხვი უნდა განახევრდეს. სასჯელთა შეკრებითობის გაუქმებით, რამდენიმე ათასი პატიმარი დატოვებს საპყრობილეს. შესაბამისად, შენობების ნაწილი გამოთავისუფლდება. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება ჩემს ინიციატივას მიიღებს და საპყრობილეები მინი-საწარმოებად და ფაბრიკებად გადაკეთდება, სადაც, ძირითადად, ყოფილი პატიმრები დასაქმდებიან. თუ ასე მოხდება, ქვეყანაში კრიმინალი აუცილებლად მოიკლებს. ტრაგიკულია, რომ 60 მილიონი აიღო ხათუნა კალმახელიძემ, რათა ახალი საპყრობილე აეშენებინა ლაითურში, წარმოიდგინეთ, ამ თანხით რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნებოდა.

— საპყრობილეების დახურვას მოითხოვთ, მაგრამ საკნებში პატიმართა გადავსებულობის პრობლემაა?

— ახალი ხელისუფლების პირობებში, პატიმართა რაოდენობა ძალიან შემცირდა, დაახლოებით 10 000-ია, ამიტომაც ამდენი ციხის საჭიროება აღარ არის. თანაც თითოეული საპყრობილის შენახვა სახელმწიფოს მილიონობით ლარი უჯდება. ჩემი თხოვნაა, ეს თანხა ყოფილი პატიმრების დასაქმებისთვის გამოიყენონ. მერწმუნეთ, ამით კრიმინალი მოიკლებს. თუ არ დასაქმდა ადამიანი და არ მიეცა ელემენტარული საარსებო საშუალება, დანაშაულის ზრდა სულ იქნება.

— რამდენიმე თვის წინ, მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმრების საპყრობილიდან გათავისუფლებას სთხოვდით ხელისუფლებას, თუ გაითვალისწინეს „დედათა კომიტეტის“ რეკომენდაციები?

— ორი პატიმარი გათავისუფლდა — ვალიკო ჩხიკვაძე და ალიკა ოზმანიანი. ალიკა ოზმანიანის დედამ თქვენი გაზეთის საშუალებითაც სთხოვა ხელისუფლებას მძიმე ავადმყოფი შვილის გათავისუფლება. შევეცადეთ, რამდენიმე პატიმარს თავი დაეღწია საპყრობილედან, მაგრამ ძალიან სამწუხაროა, რომ ამნისტირებულები ისევ სჩადიან დანაშაულს.

„დედათა კომიტეტი“ ასევე მოუწოდებს ხელისუფლებას, დავიწყოთ საქართველოში ძლიერი და რეალური ანტინარკოტიკული კამპანია. გავაგებინოთ ნარკომომხმარებლებს, რა უბედურ სენთან აქვთ საქმე. ვინაიდან ციხეში, ძირითადად, ნარკოტიკების მომხმარებლები და ამ ფონზე, ქურდობის ჩამდენი ყოფილი პატიმრები შებრუნდნენ. ასევე ვითხოვთ, ერთხელ და სამუდამოდ, მივიღოთ გადაწყვეტილება, სათამაშო ცენტრების ე.წ. კაზინოების დახურვაზე, ვინაიდან ახალგაზრდების უმეტესობა ცდუნებას ვერ უძლებს; დიდი წილი დანაშაულისა სწორედ ამ წაგებული თანხების მოპოვებაზე მოდის.

ასევე, მინდა ვთხოვო სოზარ სუბარს, ორი პატიმარი რაც შეიძლება მალე გაათავისუფლოს. გამყიდველ გაბილ ბაირამოვს, რომელიც ბითუმად ყიდდა ხახვს, ბრალი დასდეს, თითქოსდა საცალო ფასად ყიდდა. ამის გამო, აბსოლუტურად უკანონოდ დააკისრეს ერთ მილიონამდე ლარის ჯარიმა. რა თქმა უნდა, ვერ გადაიხადა და 5 წელი მიუსაჯეს. მოსახდელი მხოლოდ 1 წელი და 2 თვე დარჩა. ციხეში სასტიკად ნაცემია, დაზიანებული აქვს თავის ქალა. რამდენიმე თვის განმავლობაში, მას მკურნალობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, მაგრამ კვლავ მძიმედ არის, ამიტომაც შეწყალების კომისიას ვთხოვთ, მიიღოს სასწრაფოდ ზომები და გაათავისუფლოს გაბილ ბაირამოვი.

მას საშინელი მდგომარეობა აქვს — მისი ოჯახი ნახევრად დანგრეულ სახლში ცხოვრობს, სადაც სკამი და მაგიდაც კი არ დგას, რომ ბავშვმა იმეცადინოს. ამორტიზირებული მანქანა, მამის მიერ ბანკის ვალით ნაყიდი ტელევიზორი და მაცივარი აღსრულების ბიურომ უკვე წაიღო. ასევე დააყადაღეს მის ეზოში დაწყობილი ნათესავის ხის ფიცრები. აღსრულების ბიურო უკვე ითხოვს ამ ნივთების აუქციონზე გატანას.

ასევე, „დედათა კომიტეტი“ სთხოვს შეწყალების საკითხთა კომისიას, საპატრიარქოსა და სოზარ სუბარს, დაუყოვნებლივ მიიღონ გადაწყვეტილება, 68 წლის მოხუცი, ცნობილი ბიზნესმენი ნუგზარ დათიკაშვილი გაათავისუფლონ საპატიმრო დაწესებულებიდან. მას ათსართულიანი, 4-სადარბაზოიანი საკმაოდ ძვირადღირებული სახლი წაართვეს ვაკეში. გააკოტრეს, დაკარგა ყველაფერი, რაც გააჩნდა და დააპატიმრეს. სასჯელაღსრულების სამინისტროს ძალისხმევით, დროულად და ოპერატიულად, გულის ურთულესი ოპერაცია გაუკეთდა, გულში მე-4 სტენდი ჩაუდგეს, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავაც უკიდურესად მძიმეა. მის გაკოტრებაში მონაწილეობა ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებმაც მიიღეს.

2008 წლის შემდეგ, როცა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო და მშენებლობები გაჩერდა, ბატონი ნუგზარი იძულებული გახდა, საკუთარი ქონება ჩაედო. მუშაობის გასაგრძელებლად მან თანხა კერძო იპოთეკარებისგან აიღო. ნაცმოძრაობის გავლენიანმა დეპუტატებმა ყველაფერი წაართვეს და დააპატიმრეს. მას არა მარტო გულის პრობლემები აქვს, არამედ დიაბეტის უმძიმესი ფორმითაც არის დაავადებული.

ზოგადად, ახალ ხელისუფლებას ციხეებში უმძიმესი მემკვიდრეობა დახვდა. კვლავ პრობლემად რჩება ავადმყოფი პატიმრების ყოფნა საპყრობილეებში. ყოველდღიურად გადაჰყავთ საავადმყოფოში ათობით და ასობით პატიმარი, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ქვეყნის ბიუჯეტს აზარალებს.

მოსამართლეებმა სასამართლოს რეფორმის მხარდამჭერი განცხადება გაავრცელეს

მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი სასამართლო ხელისუფლების რეალურ დამოუკიდებლობას ხელს შეუწყობს. ამასთან დაკავშირებით, მოსამართლეთა ერთმა ჯგუფმა განცხადება გაავრცელა, რომლესაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

„ჩვენ, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები, მივიჩნევთ, რომ საქართველოში დღეს კვლავ აქტუალურია სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობის დამკვიდრების პრობლემა. ამას, თავის მხრივ, საკუთრივ ქართული სახელმწიფოს სრულფასოვანი ჩამოყალიბებისთვის, პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებისთვის, სოციალური კონსენსუსისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია.

ჩვენ გვსურს, მივმართოთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და მოკლედ გამოვხატოთ ჩვენი ხედვა და დამოკიდებულება იმ საკანონმდებლო ცვლილებებისადმი, რომელმაც უნდა შექმნას სახელმწიფო ხელისუფლების ამ უმნიშვნელოვანესი შტოს დამოუკიდებლობის დამატებითი გარანტიები და მისი უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები.

ალბათ, ანბანის, წიგნის შექმნისა და მისი წყალობით, ცოდნის გავრცელების შემდეგ, უფრო გამართლებული და ეფექტური არაფერი მოუგონია ადამიანის გონს, როგორიც ხელისუფლებათა გადანაწილების უნივერსალური მოდელია. ნებისმიერი უფლება და თავისუფლება, თუნდაც, კონსტიტუციური ნორმებით მომხიბვლელად ჩამოყალიბებული, ვერ შექმნის ადამიანთა დაცულობის, სტაბილურობის, სახელმწიფოს შეუქცევადი განვითარების რწმენას და შესაძლებლობებს, თუ იქნა სასამართლოს დამოუკიდებლობის, მოსამართლის მიუკერძოებლობის ხელყოფის საფრთხე.

საზოგადოების წევრთა მიერ კანონის დარღვევაც კი შედარებით ნაკლები საფრთხის მატარებელია მაშინ, როცა ამ კანონით დაცული უფლების ეფექტური აღდგენა გარანტირებულია სამართლიანი, მიუკერძოებელი, მაღალი პროფესიონალიზმისა და მაღალი ნდობის მქონე სასამართლოს არსებობით. სწორედ ასეთი სასამართლო განაპირობებს სახელმწიფო ინსტიტუტების გაკეთილშობილებას, გადაცდომების, დანაშაულის პრევენციას, ქმნის ბიზნესის, მეწარმეობის თავდაჯერებულად წარმოების შესაძლებლობას. ეს, თავის მხრივ, ამაღლებს ნდობას სახელმწიფოსადმი, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, თანმდევი სოციალური შედეგებით.

ვფიქრობთ, რომ ამ მიზნის საბოლოოდ მისაღწევად და სრულიად დამოუკიდებელი, ხელშეუვალი სასამართლო ხელისუფლების საბოლოოდ ფორმირებისათვის, სასურველი და აუცილებელიც კია საქართველოს სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთობლივი, არაკონფრონტაციული ძალისხმევა. ეს არის მიზანი, რომელმაც უნდა გააერთიანოს დაპირისპირებული პოლიტიკური ჯგუფები, რადგან ასეთია საზოგადოების დაკვეთა და ამას მოითხოვს ქვეყნის სტაბილური განვითარება.

სასამართლო ხელისუფლების რეალური ავტონომიურობა, უპირველესად, სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირებაში უშუალოდ, მოსამართლეთა ჩართულობით, რეალური თვითმმართველობის მიღწევითაა შესაძლებელი, რისი დასტურიცაა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების წარმატებული და ჯანსაღი პრაქტიკა.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს სასამართლო სისტემის რეფორმა, რომელიც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ რეალურად უნდა განხორციელდეს, უთუოდ, იმსახურებს ამ სრულიად ჯანსაღი ინიციატივებისადმი, როგორც საქართველოს მოსამართლეთა კორპუსის, ასევე ხელისუფლების სხვა ორი შტოს მხარდაჭერასაც. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ეს ნოვაცია ასევე მოწონებულია კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქართული არასამთავრობო სექტორის მიერ.

მივიჩნევთ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი, რომელიც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი შემადგენლობისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემდეგ, ამ უმნიშვნელოვანესი ორგანოს დაკომპლექტების გაცილებით დემოკრატიულ წესს ითვალისწინებს, მხოლოდ წაადგება სასამართლო ხელისუფლების რეალურ დამოუკიდებლობას და მოსამართლეთა პროფესიონალიზმის განუხრელი ზრდის პირობებში, შექმნის მყარ საფუძვლებს ქვეყნის სტაბილური და სწორი განვითარებისთვის.

გამოვთქვამთ იმედს, რომ საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, საქართველოში გახდება შესაძლებელი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან სასამართლო ხელისუფლებასთან სწორ პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობების ტრადიციის საბოლოოდ ჩამოყალიბება“.

განცხადებას ხელს აწერს 27 მოსამართლე — მაია ბაქრაძე, ბესარიონ სისვაძე, დურმიშხან ჟორჟოლიანი, მიხეილ ბებიაშვილი, ალექსანდრე იოსელიანი, მანანა ჩოხელი, ლელა ცანავა, თამაზ ურთმელიძე, ივანე ყიფიანი, ნანა კობახიძე, მარინა ხოლოაშვილი, ნათია გუჯაბიძე, ქეთევან დუგლაძე, მურთაზ კაპანაძე, ბესარიონ ტაბაღუა, ხათუნა არევაძე, დავით ერქვანია, ივანე ღლონტი, თეა ხამხაძე, მანუჩარ კაპანაძე, ქეთევან კუჭავა, თინათინ ეცადაშვილი, გოდერძი გიორგიშვილი, შორენა გუნცაძე, ნინო შარაძე, თეიმურაზ სიხარულიძე, მურთაზ მეშველიანი.

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს პრეზიდენტმა ვეტო დაადო.

„ინტერპრესნიუსი“

საინგილო გუშინ, დღეს... მაგრამ ხვალ?!

გუგაზ მეგრელიძე

საქართველოს მოურჩენელ სატკივრად რჩება საინგილოში არსებული ვითარება. მართალია, ორი ქვეყნის პრეზიდენტები, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ხათრით, ერთმანეთს „ძმობას“ ეფიცებიან, მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკური ფარსია, რომლის უკან ეროვნული ინტერესების დაცვა არ იკვეთება.
ფერშალ შევარდნაძეს ამ საკითხის წამოჭრა მეზობელი ქვეყნის შინაურ საქმეში ჩარევად მიაჩნდა და თავის „კოლეგის“ — ფერშალ ორჯონიკიძის ეროვნული ღალატის გამოსწორება არც უცდია. სააკაშვილმა კი ჯერჯერობით ვერ მოიცალა... ან რა პატრიოტიზმზე შეიძლება საუბარი, როცა განათლების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ალექსანდრე დიდებულიძემ დაიწუნა ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი რუკა და აკრძალა საინგილოში მისი გავრცელება. მდგომარეობა კი თანდათან მძიმდება. განუკითხავად ითელება საინგილოს ქართული მოსახლეობის უფლებები.

სამწუხაროდ, საქართველოს არც ერთი პრეზიდენტი საინგილოში ერთხელაც არ ჩასულა. სამაგიეროდ, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი საქართველოში სტუმრობისას ქვემო ქართლში მცხოვრებ თანამოძმეთ შეხვდა.

მსგავსმა გარემოებებმა აიძულა ინგილოთა გარკვეული ჯგუფი, 2005 წლის აპრილში, გაზეთ „არგოს“ რედაქციაში, სადაც იმჟამად ვმუშაობდი, ასეთი თხოვნით მოსულიყო: „ჩვენ კატეგორიულად ვითხოვთ, გამოიყოს საპარლამენტო კომისია. კახში მასმედიის წარმომადგენლებიც ჩამოვიდნენ. ყოველივე ადგილზე შეამოწმონ, ნახონ, რა დღეში ვართ. იქნებ ამის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ითქვას სიმართლე! ქართველებო (ვისაც გეხებათ), ნუ გაგვწირავთ საბოლოოდ დასაღუპავად. დიდი იმედი გვაქვს, ჩვენს თხოვნას გულთან ახლოს მიიტანთ და უყურადღებოდ არ დატოვებთ”.

ამ გოდების ადრესატები, პირველ რიგში, ისინი არიან, ვინც ქართული მოსახლეობისთვის მორალური მხარდაჭერა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირი უნდა უზრუნველყონ. 1998 წელს, ილაჯგაწყვეტილმა მოსახლეობამ, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს განცხადება გაუგზავნა, რომელთაგან პასუხი არ მიუღია. საინტერესოა ისიც, რომ არც შევარდნაძესა და არც სააკაშვილს აზერბაიჯანში ვიზიტისას, არც ერთხელ არ დაუსვამთ ინგილოთა საკითხი. მეტიც, ამბავიც არ უკითხავთ და თავიანთ გამოსვლებში არ უხსენებიათ, ადგილზე ჩასვლა, მოსახლეობასთან შეხვედრა ხომ არც უფიქრიათ. ეს საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზე მხოლოდ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას დადგა, როდესაც ორმხრივი კომისია შეიქმნა, მაგრამ პრობლემების მოგვარება ვეღარ განხორციელდა. ამ კომისიაში იყო ცნობილი მეცნიერი და საქართველოს მეგობარი დილარა ალიევა, რომელიც ალიბეგლოდან კახში მიმავალი ავტოავარიაში დაიღუპა.

პრობლემის მოსაგვარებლად, აუცილებელია, საქართველოს საელჩომ კახში საკონსულო გახსნას, რაც შეამცირებს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს, ქართული მოსახლეობის ინტერესებს დაიცავს და პოლიტიკურად სტაბილურ გარემოს შექმნის. კარგი იქნება, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიამ და სხვა საადვოკატო გაერთიანებებმა თავიანთი წარმომადგენლობები გახსნან. სამწუხაროდ, არ ჩამოყალიბებულა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სახალხო დიპლომატიის დონეზე წარმართავდა მუშაობას და გრანტების მოძიებასაც შეეცდებოდა.



აზერბაიჯანის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტის 1999 წლის მონაცემებით, საინგილოში 14.877 ქართველი ცხოვრობდა, თუმცა არაოფიციალური მაჩვენებლებით, დაახლოებით, 30.000-ია. დღეისთვის, მიგრაციის გამო, რეალურად, 8.000 მაცხოვრებელიღაა დარჩენილი. ხელისუფლების მხრიდან ეროვნული ნიშნით ჩაგვრა აშკარად იკვეთება მაშინ, როდესაც საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს სახელისუფლებო ხელშეწყობა აქვთ და, ინგილოთაგან განსხვავებით, ეთნიკურ უმცირესობად ითვლება. აზერბაიჯანს კი ქართველების სახით ეთნიკური უმცირესობა არ ჰყავს და მათი უფლებების დაცვა ხელისუფლებას არ ევალება, ამიტომაც მოურიდებლად ირღვევა ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონმდებლობა. საქართველოს ხელისუფლებას არასოდეს მოუთხოვია თანამოძმეთა დაცვა, თუმცა მოჩვენებითი კეთილმეზობლობის დიპლომატიური ეტიკეტი ფორმალურად შენარჩუნებულია.

2002 წლის იანვარში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე** ამ პრობლემებზე აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს ესაუბრა. ამის შესახებ, ქალბატონი ნინო იგონებს: **„ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი, ჩემთან ინგილოები ჩამოვიდნენ და მითხრეს, რომ ბავშვების სახელმძღვანელოების პრობლემა სერიოზულად ედგათ. ჩემი ინიციატივით, პარლამენტის წევრებს მოვუწოდე, შეგვეძინა საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, ქართველ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებები და საინგილოში გაგვეგზავნა. აზერბაიჯანთან ჩვენი მეგობრობის მიუხედავად, პრობლემები შეიქმნა და ვინც საინგილოს მხრიდან აქტიურობდა, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს ინციდენტი მწარედ და მტკივნეულად მახსოვდა. ჰეიდარ ალიევთან ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო პარლამენტის თავმჯდომარის რანგში. ბევრ საკითხზე საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ. იგი მიუბრუნდა ჩვენს დელეგაციაში მყოფ ორ აზერბაიჯანელ დეპუტატს. ერთს ქართულის ცოდნა მოუწონა, მეორეს კი უსაყვედურა — თუ გინდათ ქართულ სახელმწიფოში აქტიური მონაწილეობა და ღირსეული ადგილის დამკვიდრება სახელმწიფო ენა კარგად უნდა იცოდეთო. ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო მოსასმენი იყო. მან ასევე დელიკატურად დასვა მიწისა და ის პრობლემები, რაც აზერბაიჯანულ მოსახლეობას აწუხებდა.**

ბატონი ჰეიდარი კეთილგანწყობილი იყო და ერთ-ერთ თემად წამოსწია საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული მოსახლეობის უფრო მეტი პროცენტით წარმოდგენა საქართველოს პარლამენტში. გულწრფელად ვუთხარი, რომ ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელი იყო კვოტების გარეშე. ბატონი ალიევი დამეთანხმა, ვინაიდან ასეთი შეღავათი ხაზს უსვამდა ეროვნულ არათანაბარუფლებიანობას. ამასთანავე აღვნიშნე, რომ აზერბაიჯანში მცხოვრები ქართული მოსახლეობიდან აზერბაიჯანის პარლამენტში არც ერთი მათგანი არ იყო წარმოდგენილი. ამ პასუხმა ორივე დელეგაციაში ვითარება დაძაბა. ბატონ ჰეიდარს გაეღიმა, რადგან ჩემი შეკამათება გულწრფელი გახლდათ და თქვა — მართალი ხართ, ეს პრობლემა ნამდვილად მოსაგვარებელია. ქართული მოსახლეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში უნდა ჩავერთოს, რომ მათთან საუბრის მეტი მორალური უფლება გვქონდეს. ალბათ, სწორი იქნება, მათი წარმომადგენელი აზერბაიჯანის პარლამენტში იყოსო. მისმა პასუხმა ამ თემის გაგრძელების შესაძლებლობა მომცა და საინგილოს პრობლემებზე კარგა ხანს ვისაუბრეთ. მოვუყევი ჩემი პირადი გამოცდილება, როდესაც წიგნების შეტანის საშუალება არ მოგვეცა. მეორე პრობლემა გვარების აღდგენის საკითხს ეხებოდა, რაც ქართული მხარისთვის მნიშვნელოვან საკითხად რჩებოდა.

ბატონმა ალიევმა განკარგულება გასცა, რომ ჩემს მიერ დასმული საკითხები შესწავლილიყო და უახლოეს ხანში მოხსენებოდა. მალე, საინგილოში წიგნების შეტანის შესაძლებლობა მოგვეცა. ვერ ვიტყვი, რომ სხვა პრობლემები მოგვარდა, მაგრამ ერთჯერადად, კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული იქნა. ამ შეხვედრის შემდეგ, ჩვენი თანამემამულეთაგან შევიტყვე, რომ პრობლემების წნეხი ცოტათი შერბილდა, რაც სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ განხორციელდა“.

ყველაფერი ძველებურად დარჩა... შეფარვითი პოლიტიკის თვალსაჩინო ფაქტს მოვიყვანთ. 1959 წელს ქართველებს პასპორტები ჩამოართვეს და თითქმის ნახევარი წლის შემდეგ, აზერბაიჯანული გვარებით დაუბრუნეს, ჩანაწერით — ეროვნება აზერბაიჯანელი. დღესაც ბევრს აქვს მამაპაპისეული გვარის აღდგენის სურვილი, მაგრამ არქივებში წინაპართა წარმომავლობის პოვნა თითქმის შეუძლებელია. უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები. ინგილოები აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ სოფელ ალთემურში, ქართულ ოჯახში, ადგილობრივი პოლიციის სამძებროს უფროსი შევიდა, ქმარი სცემა და მის თვალწინ მეუღლის გაუპატიურებას აპირებდა. იგი სხვაგან გადაიყვანეს, მაგრამ მოგვიანებით, ადგილზე დააბრუნეს. მსგავს დანაშაულს კახის პოლიციის თანამშრომლები, გასული საუკუნის 90-იან წლებში, არცთუ იშვიათად სჩადიოდნენ. ქართველები სახლებიდან უმიზეზოდ პოლიციაში მიჰყავდათ და ქრთამის გამოძალვამდე არ უშვებდნენ. საინგილოში კორუფცია მძვინვარებს და ქართველებს უმნიშვნელო შარს გამოძალვის მიზნით სდებენ. სამწუხაროდ, მოსახლეობა დუმს, დაშინებულია, რადგან ადგილობრივ ხელისუფლებასთან სამართლის ძიებას აზრი არ აქვს. მხოლოდ ბაქოში ჩივილის შემდეგაა შესაძლებელი რაიმეს მიღწევა, ისიც — სავარაუდოდ, ვინაიდან ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლებიდან მხარდაჭერა არ აქვთ.

კახში მცხოვრებ რიტა ქევხაშვილ-კუზს მეზობლები, სკოლის დირექტორი ვ. ხალილოვი და ექიმი ი. ხალილოვი 1989-90 წლებში ავიწროებდნენ, ფიზიკურადაც შეეხნენ. ამავე დროს, მოურიდებლად ეუბნებოდნენ — ჩვენს შორის ქართველები ვერ იცხოვრებენო. 1994 წლის ერთ „მშვენიერ” დღეს, როცა რიტა სახლში არ იყო, მეზობლებმა კახის ადმინისტრაციაში მომუშავე ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით, ოროთახიანი ბინა ესკალატორით დაუნგრიეს და ეზოს ტერიტორია გაიყვეს, ხოლო პირადი ნივთები მიითვისეს. ამ ფაქტს ხელისუფლებამ ყურადღება არ მიაქცია, თუმცა საარჩევნო ბიულეტენი მოდიოდა და კომუნალურ გადასახადებსაც არარსებულ ბინაზე იხდიდა. რიტა 1994 წლიდან ჩიოდა უკანონოდ დანგრეული ბინის თაობაზე. საქართველოს საელჩოსაც სამჯერ მიმართა, მაგრამ ამაოდ. 2002 წელს ნაკვეთი დაუბრუნეს, მაგრამ კახის რაიონული სასამართლოს მოსამართლის მ. ნურ-მამედოვის 2002 ნლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ბინის არარსებობის გამო, მისი დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია, მაგრამ მოქალაქეს უფლება აქვს, ბინის ანაზღაურება მოითხოვოსო. დაზარალებულმა, ბინის სადაზღვევო თანხის (3500 დოლარი) მოთხოვნით, კვლავ სასამართლოს მიმართა. მოსამართლე ზ. მამედოვმა ქრთამად 2000 დოლარი მოითხოვა და, თანხის გადაუხდელობის გამო, უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანა. რიტა ქევხაშვილ-კუზმა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან იჩივლა და თავისი სასარგებლო პასუხიც მიიღო, მაგრამ კახის გამგეობა დუმილს ამჯობინებს.

დასასრული მე-14 გვერდზე

საინგილო გუშინ, დღეს... მაგრამ ხვალ?!

მე-13 გვერდიდან

სამაგიეროდ, მას ახალ პასპორტს არ აძლევენ და სოციალური დახმარებაც მოუხსნეს. რიტა აზერბაიჯანის მოქალაქის უფლებებით ვერ სარგებლობს და საქართველოს დიასპორის სამინისტროს თანადგომასა და ევროსტრუქტურებში მისი უფლებების დაცვას სთხოვს, მაგრამ აქაც გულგრილობას წააწყდა. მაშინდელი პენსიონერ-მინისტრის იულონ გაგოშიძის პოზიცია კი ასეთი იყო — აზერბაიჯანთან მეგობრობა გვაქვს და როგორ დაგეხმაროთო.

სამწუხაროდ, მომავალი თაობები წინაპართა შეცდომებს მოიმკიან. საქართველოს ტერიტორიების №1 გამყიდველს, ფერშალ სერგო ორჯონიკიძეს საინგილოს ჩუქება არაფრად მიაჩნდა და ამბობდა: **„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დამყარებით დამკვიდრდება საერთო საზღვრები, ენა და ეროვნება“,** — საბჭოთა კავშირი დაინგრა, მაგრამ საინგილო სხვის ხელში დარჩა...

სარწმუნოებრივი პრობლემები

1997 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საინგილოში მამა ბასილი (კიკვაძე) გაიგზავნა, რომელმაც უმოკლეს დროში მოსახლეობის დიდი სიყვარული დაიმსახურა და მართლმადიდებლური კანონიკური მსახურების პირნათლად აღსრულებისთვის პოპულარული გახდა.

მამა ბასილის დაჟინებული მოთხოვნით, დამკვიდრდა 6 მაისსა და 23 ნოემბერს გიორგობის დღესასწაულის აღნიშვნა. მანამდე კი, კახის ადმინისტრაციისთვის ეს რიტუალი ინტერნაციონალური ღონისძიება იყო. ქართული და აზერბაიჯანული მოსახლეობა ერთად ზეიმობდა და ბაზრობაზე ვაჭრობდა. თუ დღესასწაული სამუშაო დღეებში უწევდა, იგი კვირა დღეს იმართებოდა. დღესაც, კახის ადმინისტრაცია ცდილობს, შედარებით რბილ ფორმებში, გიორგობა უქმე დღეს გადადოს, მაგრამ ხალხი საეკლესიო წესს აღარ არღვევს, თუმცა დაძაბულობა მაინც მატულობს. ამ დღეს ქართული სკოლების დირექტორებსა და სოფლის ხელმძღვანელებს კატეგორიულად აფრთხილებენ, რომ მოსწავლეებმა დღესასწაულში მონაწილეობა გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მიიღონ. რაც მთავარია, მამა ბასილმა კატეგორიული უარი განაცხადა მოლასთან ერთად ეკლესიაში შესვლაზე და ერთობლივი წირვის ჩატარებაზე.

დარწმუნდნენ რა მამა ბასილის ჭეშმარიტ მსახურებასა და ქრისტიანობის აქტიურ ქადაგებაში, მას მაშინვე ბრძოლა გამოუცხადეს, ამიტომაც უმიზეზოდ იძახებდნენ უშიშროებაში, პროკურატურაში, პოლიციასა და გამგეობაში. ეს კეთდებოდა მოძღვრის კეთილსინდისიერი საქმიანობის ჩრდილის მიყენებისთვის. მისთვის სახელის გასატეხად დაიწყო ხმების გავრცელება, თითქოს იგი ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხს დაპირისპირებისკენ მოუწოდებდა და აგორებულმა ტალღამაც მამა ბასილი აიძულა, საინგილოდან წამოსულიყო.

ამის შემდეგ, მამა დავითი (თოდუა) დაინიშნა, რომელსაც ერთ თვეში აზერბაიჯანელმა სამართალდამცავებმა საზღვარზე უმიზეზოდ შეურაცხყოფა მიაყენეს, რაც ზემდგომ ორგანოებს ეცნობა. მამა დავითს ამ დამცირებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. აღსანიშნავია მამა დიმიტრის (სუხიტაშვილი), მამა გაბრიელის (ჯამბაზიშვილი), მამა ბადრის (არჩვაძე) თავდაუზოგავი მოღვაწეობა ადგილობრივ ქართველთა რწმენის განმტკიცების საქმეში. საგანგაშოა ისიც, რომ კახში თითქმის ოცი წელია, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია მოქმედებს, მაგრამ 3 წლის მანძილზე, დაუდგენელ მიზეზთა გამო, რეგისტრაციაში არ ატარებდნენ. სამაგიეროდ, ადგილობრივი ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს, რათა ხალხმა ეკლესიას ზურგი აქციოს. ახალ მოძღვარს, როგორც კი მრევლი უჩნდება, მაშინვე მისი კომპრომეტაცია იწყება,



ზაქათალის რაიონში XVI საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესია



მუშაბას მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია

რათა მრევლმა ეკლესიაში სიარულსა და რწმენაზე გული აიცრუოს. ღვთის შეწევნით, ჯერჯერობით, ხალხის ამ აზრამდე მიყვანა ვერ მოახერხეს. კახის ადმინისტრაცია შიშობს, რომ მოსახლეობა სარწმუნოებაში სულიერ ხსნას დაინახავს და ეროვნული თვითშეგნება გაეღვიძება.

არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, აუცილებელია მრევლის გაძლიერება. თუ 1959 წლის მონაცემით, საინგილოში 10 ათასი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, დღეისთვის ეს რიცხვი 6 ათასამდეა შემცირებული.

წმ. გიორგის სახელობის ქურმუხის ეკლესიაში ყოველ გიორგობას, ქართველებთან ერთად, აზერბაიჯანული მოსახლეობაც მოდის, ეს კეთილი ნების გამოხატვა არ გახლავთ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეკლესიის ცენტრალური კარებიდან ჯვარი ჩამოხსნა, ხატები, მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად, გაიტანა. 1986 წლის 10 აპრილს გუმბათი ჩამოიქცა და მისი აღდგენა წლობით პრობლემად იქცა. მართალია, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ გუმბათი აღადგინა, მაგრამ იგი უწინდელზე დაბალია და ეკლესიის იერსახეს არ შეეფერება. აღსანიშნავია, რომ 1971 წელს ზაქათალის რაიონში XVI საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათი ააფეთქეს და დღეს თითქმის აღარ არსებობს.

ათწლეულების მანძილზე რუსი და აზერბაიჯანელი „მეცნიერები“ ა. პოსერბსკი („ზაქათალის მხარის ნარკვევი“, კავკასიის კალენდარი, 1866), ა. ფონ-პლოტტო („ზაქათალის მხარის ბუნება და მოსახლეობა“), კ. ტრევერი („კავკასიის ალბანეთის ისტორიისა და კულტურის ნარკვევები“, 1959), ა. კარახმედოვა („კავკასიის ალბანეთის ქრისტიანული ძეგლები“, 1986), მ. უსეინოვი, ლ. ბრეტანიცკი, ა. სალამზადე („აზერბაიჯანის არქიტექტურის ისტორია“, 1963), გ. გეიბულაევი („აზერბაიჯანის ტოპონიმიკა“, 1986), შ. აქმედოვი, პ. აზიმოვი („კახის ძეგლები“, 1998) საინგილოს ისტორიას გაყალბებულად აშუქებენ და ქართველი ხუროთმოძღვრების ძეგლებს ალბანურად აცხადებენ, ამიტომაც გიორგობის დღესასწაულს სახალხო ზეიმს უწოდებენ და ასე ცდილობენ, ქართული ტრადიციის მოშლას. ამ სიყალბეს ამხელს გ. ჩუბინაშვილის წიგნი „კახეთის არქიტექტურა“ (1959), თ. პაპუაშვილის ნაშრომი „საინგილოს ისტორიის ნარკვევები“ (2008) და სხვა შრომები.

საინგილოში არსებული უამრავი რელიგიური ძეგლი საქართველოს საპატრიარქოს არ ექვემდებარება და მათი კარიც გამოკეტილია. გამონაკლისია, კახის წმ. გიორგის სახელობის მოქმედი მამათა მონასტერი, რომელიც ადგილობრივ ქართველთა მართლმადიდებლობის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ქართული ძეგლების პატრონობაზე არ ფიქრობს. ქართული მხარის დაუდევრობითა და გულგრილობით, აზერბაიჯანის ხელისუფლება მაქსიმალურად სარგებლობს. 2006 წელს, საერთაშორისო ფესტივალის „ჩვენებურების“ პროგრამით ჩამოსულმა დელეგაციამ პრეზიდენტ სააკაშვილს პირადად გადასცა განცხადება ქურმუხის ეკლესიის პრობლემების შესახებ. მაშინ ეკლესიის გასაღები კახის რაიონის გამგებელს ჰქონდა ჯიბეში, მაგრამ ინგილოებს პასუხი არ მიუღიათ.

აზერბაიჯანის ხელისუფლება შეგნებულად უშლის ხელს ქართული ეკლესიების ამოქმედებას. ალიბეგლოში წმ. ნინოს ეკლესიის გახსნის უფლებას აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი არ იძლევა. 2009 წლის მაისში გამოიცა კანონი, რომ წლის ბოლომდე ყველა ეკლესია საკრებულოს რეგისტრაციაში უნდა გატარებულიყო. ჯერ 20-კაციანი მრევლის (მოგვიანებით, ეს რიცხვი 10-მდე შემცირდა) აუცილებლობას, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არ არიან, ამიტომაც მოსახლეობამ სია ხელმეორედ შეადგინა. ქურმუხის ეკლესია წელიწადზე მეტია დაკეტილია და მხოლოდ გიორგობაზე აღებენ. კახში, ალავერდის სახელობის ეკლესია დიდი ხანია არ ფუნქციონირებს, სადაც ადრე მხარეთმცოდნეობის მუზეუმი იყო გახსნილი. ასევე ეკლესიები დაკეტილია სოფლებში: მუშაბაში (მთავარანგელოზის სახელობის), ქოთოქლოში (წმ. სამების), რომელსაც 1991 წ. სახურავი და გუმბათი შეუკეთდა.

ასეთი დაძაბული ვითარების მიუხედავად, 2005 წლის ივნისში, კავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს, შეიხულ-ისლამ-ალახშუქურ ფაშაზადეს მიწვევით, ბაქოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სტუმრობდა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მას დიდების ჯილდო გადასცა. უწმინდესი და უნეტარესი ეწვია ჰეიდარ ალიევის ფონდს, შეხვდა მილი-მეჯლისის სპიკერს მურთუზ ალესკიროვს, რელიგიური კონფესიების მეთაურებს, ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს. მოინახულა კახის რაიონში მოქმედი მამათა მონასტერი, ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის მღვდელს, საპატრიარქოდან მივლენილ მამა იოანეს (აბასაშვილს) იღუმენის წოდება მიანიჭა. უწმინდესი შეხვდა ადგილობრივ მრევლს და არსებულ პრობლემებს გაეცნო. სათანადო შედეგი არც ამ ვიზიტს მოჰყვა.



ქურმუხის დამწვარი ეკლესია

10 წელია, ბაქოში ქართული სათვისტომო არსებობს, რომელსაც ეროვნული საქმისთვის არაფერი გაუკეთებია. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან მისი თავმჯდომარე რაფიელ ღვალაძე აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეა და საკუთარი კარიერა ურჩევნია თანამოძმეთა დახმარებას.

შექმნილ ვითარებასთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს საერთოდ არ ავიწროებენ. დაუბრკოლებლად შენდება მეჩეთები, რომელთა რიცხვმაც 220-ს გადააჭარბა. მათ რელიგიურ დღესასწაულებს ინტერნაციონალურად არ ნათლავენ და ხელსაც უწყობენ. ბაირამობის დღესასწაულს აწგარდაცვლილი პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია აზერბაიჯანულ ენაზე ულოცავდა. ამ ტრადიციას დღევანდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც აგრძელებს და 1 ოქტომბერს მოსული ახალი ხელისუფლებაც.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

- საქართველოს ერთ-ერთი ბანკი
- 2. მდინარე აფხაზეთში
- 3. ქალაქი ჰოლანდიაში
- 4. სამხრეთ-ამერიკული ნესვი
- 5. ნახევრად ძვირფასი ქვა
- 6. „სამეფო“ ფორტეპიანო
- 7. რომის პაპზე დაბალი სასულიერო პირი
- 8. უმცირესი ლუწი ნატურალური რიცხვი
- 9. ბამბის თხელი ბადურა ქსოვილი
- 10. „მდოგვის გაზი“
- 11. სასულთნო აზიაში
- 12. ფილიპინების ყველაზე დიდი კუნძული
- 13. პავლეს ტრანსპორტი „ვერის უბნის მელოდიებში“
- 14. მეტყველების ნაწილი
- 15. აქლემის მატყლი
- 16. „ნისანის“ მოდელი“
- 17. იგივეა, რაც ალკოჰოლიზმი
- 18. მოგზაური ნიკოლოზ მიკლუხო-...
- 19. ცხოველთა მეფე
- 20. ძველბერძენი მეიგავე
- 21. სოფელი ონის რაიონში
- 22. ადვილი, მარტივი
- 23. ზამთრის ვაშლი ერთგვარი
- 24. ლიდიის სამეფოს მეფე, განთქმული სიმდიდრით
- 25. ძველბერძენთა სიმებიანი საკრავი
- 26. კუდიანების დასაფრთხობი შეძახილი ჭიაკოკონობისას
- 27. ქალაქი ესპანეთში
- 28. გურამ მეგობარი ბიჭუნა „თოვლის დედოფალში“
- 29. ახლად არჩეული პატრიარქის ტახტზე აყვანის ცერემონია
- 30. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
- 31. ჰოლანდიური ლუდის მარკა
- 32. იაპონური საბრძოლო ხელოვნება
- 33. ფოტოგრაფიული ანაბეჭდის შესწორება ფანქრით
- 34. სუფთა მოგება ძიუდოში
- 35. ღომის ამოსაზელი ჯოხი
- 36. კათოლ. მამათა მონასტრის წინამძღვარი
- 37. მთა თბილისში
- 38. ცნობილი ავსტრიელი დირიჟორი
- 39. შავი დრაკონი პერუელთა მითოლოგიაში
- 40. ჩინური ტანვარჯიში
- 41. თმის მცენარეული საღებავი
- 42. ცნობილი ბაღი თბილისში
- 43. დანელიას ფილმი „... იდარდო!“
- 44. ცისკარას სატრფო
- 45. სამხრეთის ქარი ხმელთაშუა ზღვაზე
- 46. ამერ. მწერალი ... აზიმოვი
- 47. სწორი, ბალახით დაფარული სივრცე
- 48. ავსტრალიური ველური ძაღლი
- 49. ძველბერძნული ორყურა ჭურჭელი
- 50. მოკლე ლოცვითი საგალობელი
- 51. ვარდენის ქალიშვილი „უდიპლომო სასიძოში“
- 52. „შევროლეს“ მოდელი
- 53. მხატვრული ნაწარმოები, ნახატი
- 54. მარტო მყოფი, მარტოხელა ბიჭი
- 55. იგივეა, რაც დიაპოზიტივი
- 56. ვარსკვლავთან კავშირის აღმნიშვნელი წინსართი
- 57. ნარინჯისფერი ბოსტნეული
- 58. საგაზეთო წერილი
- 59. მეომარი მხარეების შეთანხმება ომის შეწყვეტაზე
- 60. მეწისქვილე „ოთარაანთ ქვრივში“
- 61. კათოლიკური მესა „..., მარია!“
- 62. მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე
- 63. დიდი რუსული მრგვალი პური
- 64. ბიჭი - ინგლისურად
- 65. იუგოსლაველი ჩოგბურთელი ... მაიოლი
- 66. ჩქარი გადაღებისათვის სხარებული კინოაპარატი
- 67. ირლანდიის რესპუბლიკური არმია
- 68. ვოლტერის ნამდვილი გვარი
- 69. „კბილებიანი“ ბოსტნეული
- 70. ქალაქი ინდონეზიაში, კუნძულ ახალ გვინეაზე
- 71. სამეურნეო მუშაკი
- 72. მოხუცი ... ახალგაზრდა
- 73. არსებული სახელმწიფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე
- 74. ქართული ანბანის პირველი ასო
- 75. ზევსის მიერ ძროხად ქცეული სატრფო
- 76. ტელეგრაფის ასოთსაბეჭდი აპარატი საბეჭდი მანქანის ტიპის კლავიატურით
- 77. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
- 78. ივლისის ხალხური სახელწოდება
- 79. „მამა“ - თურქულად
- 80. მთა კუნძ. კრეტაზე
- 81. 1000 კგ
- 82. ცხენის სხვადასხვაგვა-რი სვლა
- 83. ტბა იტალიაში

ჰოროსკოპი

1 მაისი

ვერძი — დღე თავიდან წარუმატებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ნელ-ნელა სიტუაცია იცვლება და საღამოს ყველაფერი ჩვეულ ადგილს დაუბრუნდება. კარგი დღეა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისთვის. შეგიძლიათ სამსახურიც შეიცვალოთ.

კურო — დღე პროფესიულ გამარჯვებებს გპირდებათ, გაქვთ კარიერული წინსვლის შანსი. კარგი დღეა საკუთარ ბიზნესპროექტებზე სამუშაოდ და სასურველია, თუ მაღალი საზოგადოების წვეულებას დაესწრებით — ბევრ ადამიანთან ურთიერთობა, ახალი ნაცნობობა ძალიან გაგახარებთ.

ტყუპები — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა ოჯახური საქმეებისა და პრობლემების მოსაგვარებლად. სიამოვნებით დაკავდებით სახლის კეთილმოწყობით — ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენით; კარგი დღეა სტუმრების მისაღებადაც. მზად ხართ, დაეხმაროთ მათ, ვინც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, სასიცოცხლო პოტენციალიც საკმაოდ მაღალია.

კირჩხიბი — დღე უამრავ ახალ შესაძლებლობას გპირდებათ. საბედნიეროდ, საკმაოდ ენერგიული და გაბედული ხართ, ამით რომ ისარგებლოთ. შესაძლოა, დღეს თავი ძველმა ნაცნობებმა შეგახსენონ ან საქმიანი ურთიერთობა აღადგინოთ დიდი ხნის პარტნიორებთან. დღე კარგია ნებისმიერი საქმიანობისთვის, რაც თქვენს შემოქმედებით პოტენციალს წარმოაჩენს.

ლომი — დღეს რთული საქმეებით დაკავება მოგიწევთ, რასაც ბოლომდე მიიყვანთ, მაგრამ ამისთვის დიდი ძალისხმევის გაღება მოგიწევთ. დღის მეორე ნახევარი სასურველია, მშვიდ ვითარებაში დასვენებას დაუთმოთ. ორიგინალური იდეებიც გაგიტაცებთ და შესაძლოა, ამან ყოველდღიური მოვალეობები დაგავიწყოთ.

ქალწული — ქალწულებისთვის დღე საკმაოდ წარმატებულია. განსაკუთრებით, პირად ცხოვრებაში. კარგი ურთიერთობა გაქვთ გარშემომყოფებთან, აგვარებთ ბევრ პრობლემას, არ არის გამორიცხული ახალი რომანის დაწყებაც, რაც კარდინალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას.

სასწორი — რთული დღეა, შესაძლოა, ფინანსური პრობლემები გაჩნდეს, მოგიწევთ ხარჯის შემცირებაც, თუმცა მალე, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება. დღეს გაფორმებული ხელშეკრულება შემოსავალს მოგიტანთ.

ღრიანკალი — დღეს გაცილებით სერიოზულად ხართ განწყობილი და ყველა საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებით. კარგად ჩაივლის მოლაპარაკებები, ადვილად იჩენთ ახალ ნაცნობებს, თუმცა სიფრთხილეც გმართებთ, რადგან არაა გამორიცხული მცირე ფინანსური დანაკარგი, წარუმატებელი შენაძენი ან საქმიანი გარიგება.

მშვილდოსანი — დღეს შესაშურ გამბედაობას ავლენთ, რისი წყალობითაც იმ პრობლემებს მოაგვარებთ, რაც აქამდე შეუძლებლად მიგაჩნდათ. კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისთვის, სასარგებლოა ურთიერთობა გავლენიან ადამიანებთან.

თხის რქა — კარგი დღეა ცვლილებებისთვის როგორც პირად, ასევე საქმიან სფეროში. ნუ შეგეშინდებათ სიახლის, ვარსკვლავები მზად არიან, სასიამოვნო სიურპრიზებით გაგაოცონ. გულთან ახლოს მიგაქვთ ყველაფერი, რაც თქვენს ირგვლივ ხდება და ამის გამო დღეს განცდა არ მოგაკლდებათ.

მერწყული — შესაფერისი დღეა სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმისთვის, რაც თვითდისციპლინას მოითხოვს. საკმარისი უნარი და ცოდნა გაქვთ, რათა დასახული ამოცანა გადაჭრათ. ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს ცდილობენ ხარჯის შემცირებას, უარს ამბობენ დაგეგმილ საყიდლებზე, თუმცა ამის აუცილებლობა სულაც არ არის. შესაძლოა სერიოზული უთანხმოება ახლობლებთან, ამიტომ თავი შეიკავეთ საყვარელი ადამიანის გაკრიტიკებისგან.

თევზები — თევზებს კარგი დღე აქვთ ფინანსური საკითხების გადასაჭრელად. ფულს სწორად და აზრიანად ხარჯავთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნუ გამოავლენთ ჩვეულ სიხისტეს, რამაც შესაძლოა, კონფლიქტი გამოიწვიოს.

სასიყვარულო სამკუთხედი დააკანონეს

როგორც ჩანს, ლიბერალიზმს საზღვარი არ აქვს. ბრაზილიაში სასიყვარულო სამკუთხედი უკვე კანონითაც დაამოწმეს — აქ სამი ადამიანი ოფიციალურად დაქორწინდა. არატრადიციული საქორწინო კავშირის სამი მონაწილე, რომელთა ვინაობაც არ ხმაურდება, რიო-დე-ჟანეიროში ცხოვრობს. მათი შეუღლება ნოტარულად იურისტმა კლაუდიო ნაშიმენტო-დომინგესმა დაამოწმა. ჩვენ უბრალოდ ვაღიარეთ ის, რაც დიდი ხნის წინ ისედაც არსებობდა და ამით ახალი არაფერი თქმულა, — განაცხადა ნოტარიუსმა. აღსანიშნავია, რომ პრეცედენტს მაშინვე გამოეხმაურნენ სასულიერო პირები და ბრაზილიის კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლები. მათ განაცხადეს, რომ ასეთი ქორწინების დაკანონება ოჯახის ინსტიტუტს დააკნინებს.



შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საფარი“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

1.ინდიელის ფეხსაცმელი
2.მხარე იმერეთში
3. სისხლნაკლებობა
4.თვითმფრინავის ფანჯარა
5. რვაკუთხედი
6. მწვანილი
7.კათოლ. მამათა მონასტრის წინამძღვარი
8.აშშ-ის პრეზიდენტი
9.ძველებ. პატრუქიანი თოფი
10.გადამდნარი კარაქი
11.მუქი წითელი ძვირფასი ქვა
12.ზნე, ხასიათი
13.იგივეა, რაც მაგნიტი
14.სურამის ციხეში ჩატანებული ყმაწვილი
15. ცხოველთა მეფე
16.რისამე შესწავლა ნაწილებად დაშლის გზით
17.პეკინის სახელწოდ. ჩინურ ენაზე
18.აშშ-ის ჯორჯიის შტატის დედაქალ.
19.ალეგორიული მოთხრობა
20.იგივეა, რაც ალღო
21.ბრილიანტის „წინაპარი“
22. ლევ ტოლსტოის „... კარენინა“
23.ბათუს ცოლი „გამზრდელში“
24.გამოუწვავი აგური
25.ეგვიპტის მეფეთა ტიტული
26. პანდას საყვარელი მცენარე
27.თმის ზოლი თვალის ფოსოს ზევით
28.იაპონ. ეროვნული ჭიდაობა
29.ალადინის მაიმუნი მულტფილმში
30.ხატაეთის მეფე „ვეფხისტყაოსანში“
31.ფიზიკოსი ... ნიუტონი
32.იტალ. ფერმწერი ამედეო ...
33. აღ. ტოლსტოის ფანტასტ. რომანი
34. პირისახის ძვალი
35. ეზინული შეხარაქვრების ვულკანსაც. პროდუქტი
36. ბუნება - ლათინურად
37.განსხვავებულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
38.დიდი ცხოველის ფესი
39.რისამე სპეციალურ. შერჩეული ნაკრები
40. ფირნიში
41.პირის ღრუს ზედა ნაწილი
42. ატმოსფეროს მდგომარეობა გარკვეულ ადგილზე
43.ექიმი აიბოლიტის ძაღლი
44. მუსიკოსი ... ჩარლზი
45. სინტოიზმის უზენაესი ღმერთი
46. მამალი კვიცი
47. ებრაელთა უმარილო ხმიადი
48.მიმართვა ფრანგი ქალბატონისადმი
49.მოდური ტანსაცმლის კატალოგი
50. სახოტბო ლექსი
51. საგანგებო დავალება
52. ჰოლივუდის ლეგენდა ... ჰეპბერნი
53. მცენარეთა სამყარო
54.შავი ფისი
55. სუსტი ქარი
56. ჩინური შაში
57.რქებდახრილი ხარი
58. ხის ჩასაბერი მუსიკალ. საკრავი
59. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი
60. შხამიანი გომბეშო
61.პარკის მსგავსი სიმსივნე, გავსებული სითხით
62.იოანე ბატონიშვილის ცხობილი ნაწარმოები
63.ზევსის და და ცოლი
64. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
65. შებოლილი ხორცი
66.გეოგრაფიული რუკების კრებული

ადვილი

5	2	3	1	4	9	8	7	6
1	9	7	6	8	3	5	4	2
8	6	4	2	5	7	3	1	9
3	7	8	5	1	2	9	6	4
2	1	9	4	3	6	7	5	8
6	4	5	9	7	8	2	3	1
7	5	2	8	6	4	1	9	3
9	3	6	7	2	1	4	8	5
4	8	1	3	9	5	6	2	7

საშუალო

9	4	3	8	1	7	6	2	5
2	6	1	3	9	5	8	7	4
8	7	5	6	4	2	3	1	9
1	9	2	4	8	6	7	5	3
7	8	6	5	3	1	4	9	2
5	3	4	2	7	9	1	6	8
6	5	8	1	2	3	9	4	7
4	2	9	7	6	8	5	3	1
3	1	7	9	5	4	2	8	6

რთული

1	9	7	8	4	3	6	5	2
8	6	5	7	2	1	4	3	9
2	4	3	9	6	5	8	7	1
3	5	6	1	9	4	7	2	8
7	8	4	3	5	2	1	9	6
9	2	1	6	8	7	5	4	3
6	3	9	5	7	8	2	1	4
5	1	2	4	3	6	9	8	7
4	7	8	2	1	9	3	6	5

ექსპერტული

9	1	2	8	7	5	6	3	4
5	8	3	1	6	4	2	9	7
6	4	7	3	2	9	1	8	5
3	7	6	5	1	2	9	4	8
4	5	1	9	8	7	3	6	2
2	9	8	6	4	3	7	5	1
1	6	4	7	9	8	5	2	3
8	3	9	2	5	1	4	7	6
7	2	5	4	3	6	8	1	9



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ჰოროსკოპი
2 მაისი

ვერძი — არის შანსი, რომ დღეს სამსახურში წინ წაიწიოთ, განახორციელოთ დიდი ხნის პროფესიული გეგმები. შესანიშნავი დღეა საქმიანი მოლაპარაკებისთვის, სასურველს აუცილებლად მიაღწევთ. არც პირად ურთიერთობებში გაქვთ საქმე ცუდად. ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, თავბრუდამხვევ რომანში გადაიზარდოს.

კურო — დღე საშუალებას მოგცემთ, თქვენი დიპლომატიური უნარით გაიბრწყინოთ, რისი წყალობითაც არსებულ კონფლიქტს მოაგვარებთ ადამიანთან, ვისაც უნებლიედ აწყენინეთ. დღის პირველი ნახევარი საკმაოდ ნაყოფიერია და ნებისმიერი საქმისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ, სადამო კი, მშვიდად გაატარეთ.

ტყუპები — თქვენი მისწრაფება კომფორტისა და სიამოვნებისკენ ძალიან დიდია. მთელი დღე, შესაძლოა, აღმაფრენაში გაატაროთ. ვარსკვლავებიც გირჩევენ, თვითკონტროლი მოადუნოთ და დღეს უარი თქვათ სამუშაოზე. იუავით თამაში და თავს მეტის უფლება მიეცით, თუმცა ემოციურობის გამოვლენაც არასასურველია. დღის მეორე ნახევარში დიდია ალბათობა რომანტიკული შეხვედრისა.

კირჩხიბი — დღე საქმეში სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან შეცდომების დაშვების ალბათობა საკმაოდ დიდია. შესაძლოა, გაგიფუჭდეთ ურთიერთობა კოლეგებსა და უფროსობასთან. რთულ სიტუაციებში ნუ მოგერიდებათ, რჩევისთვის ძველ მეგობრებს მიაკითხოთ — ისინი პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებიან.

ლომი — თუ მთელი დღის განმავლობაში ენერგიული და საქმიანი იქნებით, კარგ შედეგს მიაღწევთ. მაგრამ არც ერთი წუთით არ მიეშვათ, თუ არ გინდათ, რომ თქვენი შრომის ნაყოფი სხვას დარჩეს. დღე დაკავშირებულია საინტერესო საუბრებთან, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებასთან. მოგლენების განვითარება თქვენს გეგმებსა და მოლოდინს შეესაბამება.

ქალწული — თუკი გადაწყვეტთ, რომ არავინ დაიხმაროთ და უველაფერი თავად მოაგვაროთ, ამისთვის თავდაუზოგავად მოგიწევთ შრომა. შესაძლოა, ფულადი გზავნილი მიიღოთ, პირად ცხოვრებაში კი, დიდია ალბათობა, ისეთ ადამიანს შეხვდეთ, ვის მიმართ სიმპათია სწრაფად განვითარდება სერიოზულ გრძნობაში.

სასწორი — დღე კარგად ჩაიგლის, თუ თავად არ დაუშვებთ შეცდომებს უყურადღებობითა და წინდაუხედაობით. არ არის სასურველი მნიშვნელოვან დოკუმენტებზე მუშაობა, დიდი ფულის განკარგვა, გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება... სამაგიეროდ, შეგიძლიათ თქვენს მიმართ სიმპათიით განაწყოთ ნებისმიერი ადამიანი.

ღრიანცელი — საკმაოდ რთული დღე და, შესაბამისად, ემოციური ფონიც არასტაბილურია. შესაძლოა, თქვენთვის ძვირფას ადამიანთან კამათი მოგვიდეთ, ფინანსური მხარეც არ არის სასიამოვნო, დიდია დანაკარგის ალბათობა, არ ღირს სერიოზულად განიხილოთ წინადადებები, რაც სამსახურის შეცვლას ეხება.

მშვილდოსანი — დღეს გონიერება და აკურატულობა გამოავლინეთ. არის შანსი, რომ დაგროვილი საქმეები მოაწესრიგოთ. შეეცადეთ, მომთხოვნი იყოთ საკუთარი თავის მიმართ, სხვებისადმი კი — შემწყნარებელი. ეს კარგ ურთიერთობებს შეგინარჩუნებთ გარშემომყოფებთან.

თხის რქა — სერიოზულ თემებზე სასაუბროდ, რაც თქვენს პროფესიულ საქმიანობას ეხება, შესაფერისი დღეა. გავლენიანი ადამიანები, ვისი დახმარების იმედიც გაქვთ, არ გიღალატებენ, შესაფერის დროს კი, ინიციატივა გამოიჩინეთ პირად ურთიერთობებში — ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაგადგებათ.

მერწყული — მერწყულებისთვის შედარებით რთული საქმეებით დაკავების დროა. კარგი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის.

თევზები — ფინანსების მხრივ საკმაოდ წარმატებული დღეა. გაქვთ შანსი, არა მხოლოდ გაზარდოთ შემოსავალი, არამედ საიმედო გრძელვადიანი ინვესტიციებიც დაგაბანდოთ. შეგიძლიათ გარისკოთ — პროფესიული ინტუიცია არ გიღალატებთ. პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები არ ხდება. შეეცადეთ, ოჯახის წევრებსაც დაუთმოთ კარგი დრო.

გეებს საქორწინო სალონს გაუხსნიან

საფრანგეთის დედაქალაქში ჯერ არ ჩამცხრალა მღელვარება ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების გამო, თუმცა ამის მიუხედავად, პარიზში ცოტა ხანში პირველი საქორწინო სალონი ამოქმედდება გეებისთვის, სახელწოდებით The G-Day. როგორც დედაქალაქის მედია წერს, სალონი ბუტიკის ფორმატში იმუშავებს, სადაც ფრანგი დიზაინერების საქორწინო პროდუქცია იქნება წარმოდგენილი, ასევე მსურველებს ფოტოგრაფები და იმიჯმეიკერებიც მოემსახურებიან. სალონში მამაკაცის საქორწინო კოსტიუმებისა და ცერემონიისთვის საჭირო დეკორის შეძენა იქნება შესაძლებელი. სალონის ორგანიზატორთა განცხადებით, მონაწილეობას 40-ზე მეტი ფრანგული ორგანიზაცია იღებს, თუმცა გეებისთვის საკუთარი სერვისის შეთავაზების მსურველი უფრო მეტი იყო. ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის მოლოდინში საფრანგეთში სხვა ფირმებიც გაიხსნა, რომლებიც ახალდაქორწინებულებს მომსახურებას სთავაზობენ. ასე, მაგალითად, რამდენიმე თვის წინ ორმა ადვოკატმა გეი-წყვილებს განქორწინების გაფორმებაში დახმარება შესთავაზა.

სპრეი ურთიერთობას ინარჩუნებს

შვეიცარელმა მეცნიერებმა ციურიხის უნივერსიტეტიდან სასიყვარულო და ოჯახური ურთიერთობების შესანარჩუნებელი ჰორმონალური სპრეი გამოიგონეს. ახალი პრეპარატი ეგრეთ წოდებულ ალერსისა და ერთგულების ჰორმონს — ოქსიტოცინს შეიცავს, რისი ზემოქმედებითაც მანდილოსნები უფრო თბილები და დამთმობები ხდებიან, მამაკაცები კი — მეტად ყურადღებიანები და მგრძნობიარენი. ექსპერიმენტში 20-დან 50 წლამდე ასაკის რამდენიმე ათეული წყვილი მონაწილეობდა: მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს, თითოეულს თანაცხოვრების მანძილზე მომხდარი ყველაზე კონფლიქტური სიტუაციის გახსენება და საუბარი მოსთხოვეს. შემდეგ კი ერთ ჯგუფს ახალი სპრეი შეასხურეს, მეორეს — არა. აღმოჩნდა, რომ ის წყვილები, ვინც ახალი ნივთიერება გამოიყენა, უფრო მგრძნობიარე გახდა. მედიკოსების განცხადებით, ამ ჰორმონალური სპრეის დღეში ორჯერ გამოყენება მეუღლეებს შორის სექსუალურ ლტოლვასაც აძლიერებს.

ქალებს ლუდის დალევას უპრეკენ

ასაკოვან მანდილოსნებს ძვლების დაცვა ოსტეოპოროზისგან ლუდის მეშვეობით შეუძლიათ, — განაცხადეს კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულებმა. დღის განმავლობაში ნახევარი ლიტრი ქარვისფერი სასმელი ორგანიზმს მოტეხილობებისგან იხსნის. მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ლუდი დიეტური სილიკონის იდეალური წყაროა, რომელიც აუცილებელია ძვლის მასის ჩამოყალიბების პროცესისთვის. ასაკთან ერთად, ეს მასა დეფორმირდება, რაც ოსტეოპოროზს იწვევს, სილიკონი კი ორგანიზმს მის აღდგენაში ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინგრედიენტს ზოგიერთი მცენარე, მაგალითად პარკოსნები შეიცავს, ყველაზე მდიდარ წყაროდ მაინც ლუდი შეიძლება დასახელდეს. მკვლევარები ექსპერიმენტისას ძვლების ფორმირების პროცესზე ლუდის ზეგავლენას აკვირდებოდნენ და აღმოაჩინეს, რომ ეთანოლი, რომელსაც ასევე შეიცავს სასმელი, ძვლის მასის გალევას ეწინააღმდეგება. სილიკონი კი, თავის მხრივ, ძვლის ახალი მასის ფორმირებას უწყობს ხელს.

პარლამენტის სახურავზე ფუტკარს მოაშენებენ

საფრანგეთის პარლამენტმა, შენობის სახურავზე ფუტკრის მოშენება გადაწყვიტა. ამიერიდან, ფრანგ დეპუტატებს ახალ-ახალი თაფლის დაგემოვნება, კანონშემოქმედებითი პროცესისგან მოუწყვეტლად შეეძლებათ. სამი სკა, რომელიც ეროვნული დროშის ფერებშია, ახალი პროექტის ნაწილია, რომელიც ამ მწერების გადარჩენასა და უპესტიციდო თაფლის მიღებას ითვალისწინებს. პროექტის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ფუტკრები იმ მცენარეების დამტვერვას მოახდენენ, რომლებიც არ მუშავდება ქიმიური ნივთიერებებით. „პარლამენტარი ფუტკრები“ წელიწადში, დაახლოებით, 150 კილოგრამ თაფლს აწარმოებენ. მიღებულ პროდუქტს დეპუტატები ქილებში დაფასოებასა და საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის გადაცემას აპირებენ, ან პარლამენტში ექსკურსიაზე მისულ მოსწავლეებს დაურიგებენ. სკებს ექვსი მოხალისე მოუვლის.

სუდოკუ

ადვილი

	9		8					
		5	4					9
	3	4			6		1	
	2	1	7				8	
	8			4			2	
	7				8	4	6	
	5		2			1	7	
2					7	8		
					5		4	

სტანდარტი

	8	5				4		
	3				8	1		
	9	7	2					5
			8					
		1		6		3		
					9			
8					6	9	2	
		3	4				7	
		9				6	1	

რთული

	3		1	6			8	
		8			3			5
	6		2				7	3
							1	9
			3		9			
4	1							
7	2				1		3	
3			7			2		
	4			3	2		5	

ექსპერტი

3				1			4	
		5			3			
		9	2	5		3		
		1		8			7	5
		2				1		
9	8			7		2		
		7		3	5	9		
			4			7		
	2			9				6

კაცის ხასიათს სასმელი ამხელს

როგორც ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, მამაკაცის ხასიათის ამოცნობა ადვილად, მისი საყვარელი სასმელის მიხედვით ყოფილა შესაძლებელი. მაგალითად, წითელი ღვინის მოყვარული ძლიერი სქესის წარმომადგენელი ნამდვილი ჯენტლმენი ყოფილა. ის ბევრი კარგი თვისებითაა დაჯილდოებული და მანდილოსნებს ღირსეულ პატივს მიაგებს. ვისაც ყავა უყვარს, ის მამაკაცი ეჭვიანი და გაუბედავია, მისი ნდობის მოპოვება რთულია; ლუდის მოყვარული კაცი ბაქია და ეგოისტია — ნებისმიერ სფეროში თავს განსწავლულად მიიჩნევს და სუსტ სქესთანაც თავს ყოვლისმცოდნედ ასაღებს. ძლიერი სქესის ის ნაწილი, ვინც შუშხუნა სასმელს (შამპანური, კოკა-კოლა, ფანტა) ანიჭებს უპირატესობას, ცბიერი და არასანდოა, ნატურალური წვენების მოყვარულებს კი ყველაფრის მიმართ ჩაკირკიტება, ყველაფრის გამოძიება სჩვევიათ. მინერალური წყლები, როგორც სპეციალისტები გვარწმუნებენ, თურმე, მარტოხელა მამაკაცების საყვარელი სასმელია. ასეთების გულის მოგება მშვენიერი სქესის წარმომადგენლებისთვის რთულია.

ბავშვებისთვის „მეზღაპრე“ პიჟამა შექმნეს

აშშ-ში, აიდაჰოს შტატში მცხოვრებმა, ექვსი შვილის მამამ ხუან მურდოსმა საბავშვო პიჟამა შექმნა, რომელიც ზღაპრებს „ყვება“. როდესაც პატარა ამ საღამურს ჩაიცვამს და სმარტფონის ეკრანს მიუახლოვდება, ზღაპარიც იწყება. პიჟამაზე 47 გამოსახულებაა და, შესაბამისად, ამდენივე ზღაპარია დაპროგრამებული. ხუანის თქმით, ეს საღამური განსაკუთრებით მრავალშვილიან ოჯახებს წაადგება, რადგან დედა დროს მოიგებს — სახლს დაალაგებს ან მეორე დღისთვის საჭმელს გააკეთებს, ანდა თავს მოიწესრიგებს. კმაყოფილები არიან ბავშვებიც, — აცხადებს გამოგონების ავტორი. საზოგადოების ერთმა ნაწილმა მრავალშვილიანი მამა გააკრიტიკა, მათი თქმით, მშობელი, რომელიც ბავშვისთვის ზღაპრის წაკითხვას თავს აარიდებს, უბრალოდ, ზარმაცია.

ჰელსინკში ევრო-წვიმა მოვიდა

ქალაქ ზედელჰემის მაცხოვრებლები გასულ უქმეებზე საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ: 50, 100 და 200-ევროიანი ბანკნოტები ჰაერში დაფრინავდა და ქუჩაზე ხალიჩასავით ეფინებოდა. ერთ-ერთი ადგილობრივის თქმით, ეს უბრალოდ, ფულის წვიმა იყო და ათასობით ევროს მოგროვება მოასწრო, ვიდრე შემთხვევის ადგილზე პოლიცია მივიდოდა. სამართალდამცავებმა ხალხს მოგროვილი ფულის ჩაბარება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებით დაემუქრნენ, თუმცა პრაქტიკულად, ყველამ მოასწრო გაქცევა, პოლიცია მხოლოდ ერთ მამაკაცს დაეწია და შეგროვილი 10 ათასი ევრო ჩამოართვა. ამბავი მას შემდეგ გახმაურდა, რაც სამართალდამცავებმა საჯაროდ გამოთქვეს უკმაყოფილება იმ ადამიანთა საქციელის გამო, ვინც ნაპოვნი კუპიურები არ დააბრუნა. როგორც გაირკვა, ამ უჩვეულო ევრო-წვიმის ავტორები მძარცველები იყვნენ, რომელთაც ქალაქის ერთ-ერთი მცხოვრების სახლიდან პატარა ზომის სეიფი გაიტაცეს. როცა დამნაშავეები მიხვდნენ, რომ მდევრებს ვერ დაუსხლტებოდნენ, ღია სეიფი მანქანიდან გადააგდეს. ჰაერის ძლიერმა ტალღამ კი შიგთავსი ქუჩაში მიმოფანტა. გაბნეული ფული სულ რამდენიმე წუთში გაქრა და პოლიციამ პატრონისთვის მხოლოდ 11 ათასი ევროს დაბრუნება შეძლო.

გერმანიაში ყველაზე დიდი ავტობუსი დადის

გერმანელმა კონსტრუქტორებმა მსოფლიოში ყველაზე დიდი ავტობუსი შექმნეს, რომლის სიგრძე 30 მეტრს აღწევს და 256 მგზავრის გადაყვანა შეუძლია. ეს გიგანტური ტრანსპორტი 3 სექციისგან შედგება, თუმცა გზებზე მანევრირებისას არაფრით ჩამოუვარდება მის 12-მეტრიან ანალოგს. აღსანიშნავია, რომ ავტობუსის შიდაწვის ძრავა ნახევრად ელექტრონულია. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ავტობუსის ღირებულება 10 მილიონი დოლარია, უკვე გამოჩნდა მისი შეძენის მსურველი ქალაქები. პირველობა შანხაიმ და პეკინმა არავის დაუთმეს.

რომელი პროდუქტი იწვევს დაღლილობას

ამერიკელმა სწავლულებმა, კვლევის შედეგად დაასკვნეს, რომ ზოგიერთი პოპულარული პროდუქტი ნეგატიურად ზემოქმედებს ადამიანის შრომისუნარიანობაზე, დაღლილობას და ძილიანობას პროვოცირებს. ასეთი ჩამონათვალში ის პროდუქტი მოხვდა, რომელსაც ყველაზე ხშირად ვყიდულობთ: მკვლევარებმა პირველი ადგილი სპირტიან სასმელს მიანიჭეს, რაც ძილიანობას იწვევს, შემდეგაა ტკბილეულობა, რომელიც სისხლში გლუკოზის დონეს ცვლის, მესამე ადგილზე აღმოჩნდა ინდაურის ხორცი. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მასში შემავალი ცილები შრომისუნარიანობის დაქვეითებას იწვევს. სწრაფ დაღლილობას გრძნობს ადამიანი ფქვილის ნაწარმის მიღების შემდეგაც. ჩამონათვალში შევიდა ასევე შემწვარი საკვებიც, ორგანიზმი მის გადამუშავებაზე დიდ დროს ხარჯავს, ეს კი საჭმლის მომნელებელ სისტემაზე უარყოფითად მოქმედებს.

ბერლინში ტურისტებისთვის გადასახადი შემოიღეს

წლეულს, ზაფხულიდან გერმანიის დედაქალაქში ტურისტებისთვის გადასახადი ამოქმედდება, რომელიც სასტუმროში დახარჯული თანხის ხუთ პროცენტს შეადგენს. ამ ნოვაციით ბერლინის მთავრობა იმედოვნებს, რომ ქალაქის ბიუჯეტი ყოველწლიურად 25 მილიონი ევროთი შეივსება. გადასახადი იმ ტურისტებზე გავრცელდება, ვინც სასტუმროებსა და კემპინგებში განთავსდება. ამავდროულად, არ დაიბეგრებიან ის ადამიანები, ვინც დედაქალაქში საქმიანი ვიზიტით ჩავა. თუმცა, ჯერჯერობით, უცნობია, როგორ განასხვავებს ბერლინის ხელისუფლება ჩვეულებრივ ტურისტებს ბიზნესმენებისგან. აღსანიშნავია, რომ გადასახადი ტურისტებზე ევროპის დიდ ქალაქებშია დაწესებული, ასეთი მოსაკრებელია რომში, ფლორენციაში, ბარსელონაში (და მთლიანად კატალონიაში). რეიტინგის მიხედვით, ბერლინი ერთ-ერთი პოპულარული ევროპული ქალაქია, სადაც შარშან, 12 თვის განმავლობაში, 11 მილიონი ტურისტი ჩავიდა.

დიდი გამარჯვება...

ქართველმა ძიუდოისტებმა რუსეთის ნაკრები დაამარცხეს!

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები უნგრული ევროპირველობიდან გამარჯვებული დაბრუნდა. ინდივიდუალურ ჩათვლაში ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ, გუნდურ ჩემპიონატზეც გაიბრწყინა და ბუდაპეშტის გრანდიოზულ სპორტულ დარბაზში შეკრებილ მაყურებელს საქართველოს ჰიმნი ერთხელაც მოასმენინა. ირაკლი უზნაძის გაწვრთნილი გუნდი 15 ქვეყნის ნაკრებს შორის თავიდანვე უმთავრესი ფავორიტი იყო, უნგრეთში ევროპის მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა და მორიგი ტიტული შთამბეჭდავი ჭიდაობით მოიპოვა.

25-28 აპრილს ბუდაპეშტში ჩატარებულ ევროპირველობაზე ქართველმა ძიუდოისტებმა ინდივიდუალურ ჩათვლაში 3 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, ხოლო გუნდურ ჩემპიონატში ზედიზედ მეორედ გახდნენ ევროპის ჩემპიონები და, ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის მსგავსად, ფინალში ისევ რუსები დაამარცხეს. საბოლოო შედეგზე არანაკლებ საამაყო ქართული გუნდის საოცარი საბრძოლო ჟინის ნახვა იყო. მთელი ფინალის განმავლობაში ნაკრების ძიუდოისტები და დელეგაციის წევრები ტატამზე მყოფ თანამემამულეს შეუდარებელი ქომაგობით იმხელა მუხტს აძლევდნენ, წაგება წარმოუდგენელი იყო.

არადა, გადამწყვეტი ბრძოლა რუსებისთვის სასურველი სცენარით დაიწყო — ლაშა შავდათუაშვილმა (66 კგ) მიხაილ პულიაევთან წააგო. ოლიმპიური ჩემპიონი მესამე წუთზე კონტრ-ილეთზე წამოეგო, ვაზარზე დავარდა და დარჩენილ დროში მხოლოდ ის მოახერხა, რომ პულიაევი სამ გაფრთხილებამდე აიყვანა. ერთი შიდოც და რუსს მოხსნიდნენ, მაგრამ ჭიდაობისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა. 73 კილოგრამში ზებედა რეხვიაშვილი მუსა მოგუშკოვს დაუპირისპირდა, რომელიც ბუდაპეშტურ ევროპირველობაზე ერთხელ უკვე ჰყავდა დამარცხებული, რეპეშაჟის ნახევარფინალში. მაშინ რეხვიაშვილმა მეტოქე იპონზე დააგდო. ამჯერად კი, იუკოთი სძლია და ნაკრებს საერთო ანგარიში გაათანაბრებინა. ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ) სირაჟუდინ მაგომედოვს უილეთოდ მოუგო – მსაჯმა ქართველი ძიუდოისტი ორჯერ გააფრთხილა, რუსეთის ნაკრების წევრი კი ერთით მეტჯერ. ჩემპიონობა კი საქართველოს ნაკრებს ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ) გაუნაღდა, გრიგორი სულემინისთვის ბოლო წუთზე შესრულებული იუკოთი. მძიმეწონოსანმა ადამ ოქრუაშვილმა რენატ საიდოვი მსაჯს 4 შიდოს გამო მოახსნევინა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 4:1.

30 აპრილს, გამთენიისას, ევროპის ჩემპიონი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბუდაპეშტიდან თბილისში დაბრუნდა. გუნდის დასახვედრად თბილისის აეროპორტში 150 კაცი შეიკრიბა, მათ შორის ოჯახის წევრები, მოქმედი თუ ვეტერანი სპორტსმენები, ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები.

დავით ქევხიშვილი: „ძნელია სიტყვებით იმ სიხარულის გადმოცემა, ბუდაპეშტურ ევროპირველობაზე რომ განვიცადეთ. ნაკრები სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი ტურნირისთვის ბრწყინვალედ იყო მომზადებული და შედეგიც სახეზეა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ტურნირის ბოლო დღე გამოდგა – ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ჩვენი გუნდი მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა და ამის გამო ცოტა ზედმეტ ზეწოლას განვიცდიდით, მაგრამ ბიჭებმა მორიგი ტიტულის მოსაგებად ყველაფერი გაიღეს".

ირაკლი უზნაძე: „ნაკრები ევროპის ჩემპიონატს კარგად მომზადებული შეხვდა და ბიჭებმა მშვენივრად იჭიდავეს, საერთო შედეგითაც, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, მაგრამ მაინც იყო ეპიზოდები, რომლებზეც გული მწყდება. მაგალითად, სულ ადვილად შეიძლებოდა, 73 ან 81 კილოგრამებში ქართული ფინალი ყოფილიყო. მადლობა ნაკრების ყველა წევრს, ძიუდოს ფედერაციისა და ქართული სპორტის ხელმძღვანელებს".

თბილისში დაბრუნებულ ჩემპიონებს ხელისუფლებამ კიდევ ერთი სიურპრიზი დაახვედრა — როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ძიუდოისტთა ნაკრებთან შეხვედრისას განაცხადა, მალე საქართველოში მსოფლიო სტანდარტების საშეჯიბრო დარბაზის მშენებლობა დაიწყება: **„საოცარ წარმატებას მიაღწიეთ, მთელ საქართველოს ეამაყებით და მინდა, პირადად თქვენგან მოვისმინო იმ პრობლემების შესახებ, რომელთა გადაჭრის შემთხვევაშიც, ძიუდოში კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს ჩავუყრით საფუძველს".** ფედერაციის ხელმძღვანელობამ და სპორტსმენებმა პრემიერ-მინისტრს უთხრეს, რომ ევროსტანდარტების საწვრთნელი კომპლექსი სჭირდებათ, რომელშიც უცხო ქვეყნების ნაკრებების მოწვევა და ერთობლივი შეკრებების გავლა შეეძლებათ და ამასთან, თბილისში არ არსებობს სპორტული დარბაზი, რომელიც უმთავრესი შეჯიბრებების უმაღლეს დონეზე მასპინძლობისთვის საჭირო მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

„ეს საკითხი მართლაც აქტუალურია და კარგი იქნება, თუკი არქიტექტორებთან ერთად, მალე მოამზადებთ პროექტს", — დაავალა ბიძინა ივანიშვილმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანს და იქვე დასძინა, რომ თუ ბიუჯეტში საჭირო თანხა ვერ გამოიძებნება, ახალი დარბაზის მშენებლობისა და სრულყოფილი საწვრთნელი კომპლექსის მოწყობის ხარჯებს თავისი ფონდიდან დააფინანსებს.

მომზადებულია „მსოფლიო სპორტის" ინფორმაციებზე დაყრდნობით

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.